


პედიგოგიაში
სწავლასთან დაკავშირებული
საქმის კონი



ქართული
საქმიანობა



თბილისი
2000

32.001(038)



**საქართველოს სახელმწიფო
ზოოგეანიკურ-სავეგეტიაციო აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა.**

**თბილისის დაყოვილებული
უნივერსიტეტი "იბერია".**

შემდგენელი დოც. ოთარ ღვინთაშვილი
მთარგმნელი ოთარ ბრატიაშვილი

რედაქტორები: პროფესორი ო. ბობიაშვილი
პროფესორი ჯ. ჯალიაშვილი

F 22.952

ქართულ მკითხველს ვთავაზობთ პოლიტოლოგიურ ცნებათა მოკლე ლექსიკონს, რომლის საჭიროება უეჭველად არის, რადგან აქამდე ქართულ ენაზე ის არ არსებობდა. ლექსიკონი შედგენილია ძირითადად შმიდტის რედაქციით გამოსული გერმანული ფილოსოფიური ლექსიკონის მიხედვით. წინამდებარე გამოცემისთვის შერჩეულია მხოლოდ პოლიტოლოგიურ ცნებათა განმარტებანი, რომლებიც შემოკლებულია, ოღონდ არა იდეოლოგიური მოსაზრებით, რითაც, როგორც ჩანს, შმიდტის ლექსიკონის რუსულ ენაზე გამოცემლები ხელმძღვანელობდნენ, არამედ იმისათვის, რათა ლექსიკონი ხელმისაწვდომი ყოფილიყო მკითხველთა რაც შეიძლება ფართო წრისათვის.

ISSN - 0132-9660



ადამიანის უფლებები – ადამიანთა “მარადიული”, განუყოფელი უფლებები, რომელთაც საფუძვლად უდევს ის, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ცხოველთა სამყაროზე მაღლა დგას (ძირითადი უფლებები); მიღებულია სახელმწიფო სამართლის პრინციპად 1776 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1789 წელს საფრანგეთში. ადამიანის სამართალი მოიცავს თავისუფლების, საკუთრების, უშიშროების უფლებებს, აგრეთვე ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევის უფლებას.

ადეკვატური (ლათ. adquare – მიმსგავსება) – ერთნაირი, შეთანხმებადი, თანაზომიერი. წარმოდგენა ადეკვატურია, თუ იგი შეესაბამება ნივთს, რომელსაც ეკუთვნის, თუ ის “სწორია”. ამ აზრით უნდა გავიგოთ თომა აქვინელის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტება არის საგნისა და წარმოდგენის შესაბამისობა (ლათ. adaquatio). საპირისპირო – არადეკვატური, ინადეკვატური.

ადლერი ალფრედ – ფსიქიატრი; დაიბ. 7. II. 1870 (ვენა) – გარდ. 28. V. 1937 (აბერდინი); ინდივიდუალური ფსიქოლოგიის დამაარსებელი, რომლის თანახმად სულიერ გონით ცხოვრებას განაპირობებს მისწრაფება – აღიარება და უპირატესობა მოიპოვონ საზოგადოებრივ ურთიერთობებში. აქედან წარმოშობილი კონფლიქტების გადალახვა დამოკიდებულია ზემოქმედი კოლექტიური გრძნობის ძალაზე და შესაბამისად ცალკეულის უნარზე მოახდინოს ნეგატიური თვითგრძნობის (არასრულფასოვნების კომპლექსი) კომპენსირება.

ადლერი მაქს – სოციოლოგი; დაიბ. 15. I. 1873 (ვენა) – გარდ. 28. VI. 1937 (იქვე). სოციოლოგიის ყველაზე თანამიმდევრულ ფორმად, რომელიც მას მიზეზობრიობის შესახებ მეცნიერებად მიაჩნდა, იგი თვლიდა მარქსიზმს. თეორიულ-შემეცნებითი მხრივ ადლერი ცდილობდა კრიტიკულად დაესაბუთებინა იგი მეთოდის შესახებ კანტის ნააზრევით. ძირითადი ნაშრომებია: “კაუზალობა და თეოლოგია მეცნიერებისათვის

ბრძოლაში”, 1904; “მარქსი, როგორც მოაზროვნე”, 1918; “სოციოლოგია კანტის შემეცნების კრიტიკაში”, 1925 და სხვ.

ავგუსტინე ავრელიუსი – ეკლესიის მამა და ფილოსოფოსი; დაიბ. 31. XI. 354 (ტაგასტი, ნუმიდია) – გარდ. 28. VIII. 430 (ჰიპონი, კართაგენის ახლოს); კათოლიკური ეკლესიის უაღრესად გავლენიანი მქადაგებელი და პოლიტიკოსი. მანიქეველობისა, სკეპტიციზმისა და ნეოპლატონიზმის მეშვეობით მივიდა ქრისტიანობასთან, რომლის მოძღვრებამ ცოდვაში ჩავარდნასა და შეწყალების შესახებ მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ აზრით, კერძოდ იგი იცავს პელაგიუსის წინააღმდეგ, მოძღვრებას განგების ბედისწერის შესახებ. ადამიანს ღმერთი წინასწარ განუსაზღვრავს ნეტარებას ან წყევლას. კაცობრიობის ისტორია, რომელსაც ავგუსტინე გადმოგვცემს თავის წიგნში “ღვთიური სამეფოს შესახებ” პირველ მსოფლიო ისტორიაში, მისი გაგებით, არის ბრძოლა ორი მტრული “სამეფოს – ყოველივე ბიწიერის მომხრეთა, ღვთიურის მტრების სამეფოს

სამყაროს, ე. ი. საერო სამყაროს, და ღვთიურ სამეფოს შორის. ამასთან იგი აიგივებს ღვთიურ სამეფოს, მისი არსებობის მიწიერი ფორმის შესაბამისად, რომის ეკლესიასთან. ავგუსტინეს მიხედვით, ადამიანის ცნობიერებას ახასიათებს თვითუტყუარობა (უტყუარობის უკანასკნელი საფუძველია ღმერთი) და სიყვარულის შემეცნებითი ძალა. სამყაროს შექმნისას ღმერთმა მატერიალურ სამყაროში ჩადო ყველა ნივთის ფორმის ჩანასახი, რომელთაგანაც ისინი თავისთავად განვითარდნენ. ავგუსტინე ნეოპლატონიზმის (ავგუსტინეანიზმის) ფუძემდებელია ქრისტიანულ ფილოსოფიაში, რომელიც ბატონობდა დას. ევროპაში XIII ს.-მდე, როცა იგი შეცვალა ალბერტ დიდის და თომა აქვინელის ქრისტიანულმა არისტოტელიზმმა, ავგუსტინემ დაწერა ავტობიოგრაფია სათაურით “აღსარება“. თხზულებათა სრულ კრებული გამოიცა პარიზში მინიეს მიერ 1845 წ.

ავტორიტეტი (ლათ. auctori-
tas – ძალა, გავლენა) – შემქმნელი, ინიციატორი – მნიშვნელობა ან გავლენა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პიროვნებას, აგრეთვე

საგნებს და რომელიც არ საჭიროებს ამ მნიშვნელობის მუდმივ დადასტურებას, საქმით მის დამტკიცებას. იმის მიხედვით, თუ რა სფეროს ეხება საქმე, შეიძლება ვილაპარაკოთ რელიგიურ, პოლიტიკურ, მეცნიერულ, აღმზრდელობით და სხვა ავტორიტეტებზე.

ავტოკრატია (ბერძნ. autokratos – თვითმპყრობელი) – თვითმპყრობელობა, ერთმმართველობა.

ავტარკია (ბერძნ. autarceia – თვითდაკმაყოფილება) – დამოუკიდებლობა გარესამყაროს ნივთებისა და სხვა ადამიანებისაგან (პლატონი); სოკრატესთან თავისუფლების განხორციელების პირობა, არისტოტელესთან სიკეთე ემყარება ავტარკიას. ავტარკია სახალხო მეურნეობაში არის ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მისი განთავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი მოხმარების საგნების შემოტანისაგან.

ალბერტ დიდი (ლათ. – Albertus Magnus) – გრაფი ალბერტ ფონ ბოლშტედტი, ჰქონდა საპატრიო წოდება “doktor universalis”; დაიბ. 1193 (1207) ღონაუს ლაუნ-

გენში (შვაბია). გარდ. 15 XI. 1280 (კიოლნი). ჰქონდა უფართოესი ცოდნა; სახელი გაითქვა კრიტიკული აზროვნებით, მაგრამ თავისი საკუთარი სისტემა არ შეუქმნია. განათლება მიიღო იტალიაში, ეკლესიის საქმეებზე ხანგრძლივი სამსახურეობრივი მოგზაურობის შემდეგ 1248 წ., თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე შესვენებებს. იყო მასწავლებელი, კითხულობდა ზოგად დისციპლინებს კიოლნის ახლადგახსნილ დომინიკანელთა უნივერსიტეტში. მისი პოპულარობა აისახა სხვადასხვა ლეგენდაში. ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარებას, მკვეთრად გამიჯნა იგი თეოლოგიისგან, კვლევის მეცნიერულ მეთოდად მიაჩნდა დაკვირვება, ანუ სიყვარულით შეღწევა სამყაროს ცოცხალ მთელში, რასაც ადასტურებს მისი ორტომიანი ბიოლოგია. ბევრი მისი ნაშრომი ბუნებისმეტყველების საკითხებზე დაკარგულია. კოსმოსი მას ესმოდა როგორც ძალთა ფორმებით აღსავსე ერთობლიობა და განავითარა მოძღვრება რეალური მთლიანობის შესახებ. მორალი ჩნდება არა განსჯიდან, არამედ მას საფუძველი სინდისში აქვს.



აღენი (ემილ შარტიეს ფსევდონიმი) – ფრანგი ფილოსოფოსი; დაიბ. 3. III. 1868 (მორტანი, ორნი) – გარდ. 3. VI. 1951 (პარიზი). 1933 წლიდან – პროფესორი ჰენრიხ IV ლიცეუმში. მიეკუთვნებოდა თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვან მორალისტებს, იცავდა სიცოცხლის ოპტიმისტურ ფილოსოფიას. “გსურდეს – ნიშნავს რისკს სწევდე და ითმენდე... არაფერია შეუძლებელი; აკეთეთ დღევანდელი დღის საქმეები, და მაშინ, ადამიანური ძალისა და თქვენს საკუთარ შესაძლებლობათა ფარგლებში, მიაღწევთ იმას, რაც გსურთ”. აღენის გამონათქვამები დაიბეჭდა აფორიზმების კრებულში 23 ტომად.

აღთუზიუსი იოან – სამართლის ფილოსოფოსი; დაიბ. 1557 (დიდენჰაუზენი, ვესტფალია) – გარდ. 1638 (ემდენი); 1586 წლიდან – ჰერბორნის უნივერსიტეტის პროფესორი; 1604 წლიდან – ვეჟილი; ავითარებდა მოძღვრებას იმის შესახებ, რომ ადამიანები შეიძლება გააერთიანონ ზრახვებმა და მოთხოვნილებებმა, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ხელშეკრულება.

საღხი – ეს არის “სხეული, რომელიც წარმოადგენს ინდივიდების თანაცხოვრებას” (ლათ. *corpus simbioticum*); მას აქვს ყველა სუვერენული უფლება აგრეთვე მის ნებაზე დამოკიდებული მთავრობის მიმართ; მთავრობა, აღტუზიუსის მიხედვით, უნდა ახორციელებდეს პირველ რიგში ადმინისტრაციულ საქმიანობას სახელმწიფოში, რომელიც “უნივერსალური საზოგადოებრივი გაერთიანებაა” (ლათ. *universalis publika consociatio*); ამასთან ერთად არსებობენ და თავიანთ ცხოვრებისეულ აუცილებელ უფლებებს ახორციელებენ ოჯახი, ფენა, მუნიციპალიტეტი და სხვ. პოლიტიკის ამოცანაა განახორციელოს ბუნებრივი უნებრივი კანონი და ღვთის ნება. ძირითადი ნაშრომი “პოლიტიკა“, 1603.

აღლოგიკური (ბერძნ. *alogos* – არალოგიკური) უღლოგიკო, ლოგიკის კანონების საწინააღმდეგო.

აღტერნატივა (ახ. ლათ. -- *alternativus* – ერთიმეორის შენაცვლება) – არჩევა ორ შესაძლებელს შორის, რაც განპირობებულია აუცილებლობით – გადაწყვიტო ორიდან ერთ-ერთი.

ამორალიზმი (ბერძნ. *a* – არა და ლათ. *moralis* – ზნეობრიობის შესაბამისად) – გულგრილობა ზნეობის მოთხოვნებისადმი, უზნეობა. უარისთქმას ზნეობრიობაზე არა როგორც ასეთზე, არამედ გაბატონებული კლასის მორალზე ამორალიზმი ეწოდება. ამორალიზმის საწყისები შეიძლება ვეძებოთ ბერძენ სოფისტებთან, ახალ დროში შტაინერსა და ნიცშესთან; გაიგება აგრეთვე როგორც ცხოვრებისეული პოზიცია, მიმართული მორალის იქით.

ანალიზი (ბერძნ. *analysis* – დაშლა, დანაწევრება), ანალიზის აქტს უწოდებენ გაანალიზებას, ხოლო ანალიზის ჩატარების წესს – ანალიზურ მეთოდს. ელემენტარული ანალიზი მოვლენას შლის მის ცალ-ცალკე ნაწილებად, ამასთან არ ითვალისწინებს ამ ნაწილების მიმართებას ერთმანეთთან და მთელთან. მიზეზობრივი ანალიზი მოვლენას შლის მის მიზეზობრივ მიმართებათა გათვალისწინებით. ლოგიკური ანალიზი შლის მას ლოგიკურ მიმართებათა გათვალისწინებით, ფენომენოლოგიური ანალიზი მოვლენაში გამოყოფს

ცნობიერების შინაარსს, რათა გამოიკვლიოს ამ უკანასკნელის არსება, ფსიქოლოგიური ანალიზი ცნობიერების ანალიზს შლის მის ელემენტებად (მაგრამ უპირატესობა ეძლევა მოვლენისადმი, როგორც მთლიანისადმი მიდგომის ფსიქოლოგიურ მეთოდს). ანალიზის დროს უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ყოველი მოცემული საგანი, სხვა საგნებთან ბუნებრივი კავშირის დარღვევის შედეგად იცვლის ყოფიერებას.

ანალიტიკა (ბერძნ. *analitike* – ანალიზის ხელოვნება) – არისტოტელესთან არის ცნებათა დანაწევრების ხელოვნება, ლოგიკა. ტრანსცენდენტალური ანალიტიკა კანტის მიხედვით გამოყოფს “წმინდა განსჯითი შემეცნების ელემენტებს, რომელთა გარეშე საერთოდ ვერ გაიაზრება ვერც ერთი საგანი“. ამიტომ ის არის მხოლოდ – საშუალება განსჯისათვის, შინაარსობრივი შემეცნების ინსტრუმენტი.

ანალოგი – ანალოგიური (მსგავსი) საგანი, ანალოგიური მოვლენა, ანალოგიური შემთხვევა.

ანალოგია – (ბერძნ. *analo gon* მიმართ) – მიმართებათა მსგავსება, ტოლობა, აგრეთვე შექმნება შედარების გზით. შესადარ ნივთიერებებს შორის უნდა იყოს როგორც განსხვავება, ისე მსგავსება და ის რაც შედარების საფუძველია, უფრო ნაცნობი უნდა იყოს, ვიდრე ის, რაც უნდა შედარდეს.

ანალოგიური – (ბერძნ. *ana-logos* – ლოგოსის შესაბამისი) – ერთნაირი საზრისის მქონე, შესაბამისი, მსგავსი.

ანარქია (ბერძნ. – *anarchia* – უხელისუფლებობა) – მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება საზოგადოება, როცა მასში გაუქმებულია სახელმწიფო ძალაუფლება. ანარქიზმი არის უტოპიური მოძღვრება საზოგადოების შესახებ, რომელიც როგორც ხელმძღვანელს საწყისს ცნობს მხოლოდ ცალკეული პიროვნების ნებას, ხოლო ყოველგვარ სახელმწიფო წყობილებასა და ავტორიტეტს უარყოფს, რამდენადაც იმის რწმენა აქვთ, რომ შესაძლებელია ყველა ცალკეული ინდივიდის ინტერესებისა და ნების გამოვლინების

კოორდინირება. ანარქისტული აზროვნების წესი გვხვდება უკვე ანტიკურ სამყაროში კინიკებთან და რელიგიური ფორმით ძველ ქრისტიანობაში, აგრეთვე მოგვიანებით შუასაუკუნეობრიობის სექტებში, განსაკუთრებით ხილიაზმში. ანარქიზმის მეცნიერული თეორია წარმოიშვა ახალ დროს, მისი შემქმნელი იყო ინგლისელი უილიამ გოდვინი. გერმანელი ფილოსოფოსი მაქს შტაინერი ანარქიზმს ქადაგებდა თავის თხზულებაში “ერთადერთი და მისი საკუთრება” (1845), იცავდა ინდივიდუალისტურ კონცეფციას ეკონომიკის თეორიაში, მაშინ როდესაც ფრანგმა პრუდონმა, რომელიც თეორიულად აფუძნებდა ანარქისტულ მოძრაობას, წამოაყენა თეზისი “საკუთრება ქურდობაა”, რითაც ეკონომიკური მოძღვრების პოზიციიდან იცავდა კომუნიზმს; ანარქიზმის მთავარი წარმომადგენლები რუსეთში იყვნენ მიხეილ ბაკუნინი, (“ღმერთი და სახელმწიფო”, 1871) და თავადი პეტრე კროპოტკინი (“რევოლუციონერის მემუარები” გერმ. გამოცემა, 1923). ანარქიზმს შეხების წერტილი აქვს ლიბერალიზმთან.



ანთროპო-მორფული (ბერძნ. an tro po morphos – ადამიანის მსგავსი) – ადამიანის შესახედობის მქონე, ადამიანის ხატი და მსგავსი.

ანთროპომორფიზმი (გაადამიანურება) ეწოდება ადამიანის თვისებების, ადამიანის ცხოვრების წესის გადატანას არაადამიანურ ნივთებზე, ცხოველებზე, ბუნებისა და ღმერთის ცნებაზე.

ანთროპოლოგია (ბერძნ. antropos – ადამიანი და logos – მოძღვრება) მეცნიერება ადამიანის შესახებ.

1. ბუნებათმეცნიერული და სამედიცინო ანთროპოლოგია იკვლევს ადამიანის ადგილს ცოცხალ არსებათა სამეფოში და მის სხეულებრივ ორგანიზაციას, რომლითაც იგი განსხვავდება ამ უკანასკნელთაგან. მას მიეკუთვნება ანატომია, ფიზიოლოგია, მოძღვრება რასებს შესახებ და ა. შ.

2. ფილოსოფიური ანთროპოლოგია არა იმდენად ცალკე ფილოსოფიური დისციპლინაა (იმ სახით, როგორითაც იგი თავდაპირველად დააფუძნა ო. კასმანმა), რამდენადაც მაქს შელერის ნაშრომებზე

დამყარებული ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც მოიცავს რეალურ ადამიანურ არსებობას მთელი თავისი სისრულით, იკვლევს ადამიანის ადგილს და დამოკიდებულებას გარემოშცველ სამყაროსთან.

ანტიკური აზროვნება მიმართული იყო კოსმოსისა და ბუნებისაკენ, ადამიანისაკენ კი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი დაკავშირებულია მათთან. შუა საუკუნეების პერიოდში ადამიანი მიჩნეული იყო სამყაროს ღვთაებრივი მოწესრიგებულობის შემადგენელ ნაწილად. ახალ დროში ადამიანი დაჩრდილა მისმა საკუთარმა გონებამ, და ადამიანი გახდა შემეცნებელი სუბიექტი. მოყოლებული შელინგიდან და კირკეგორიდან იწყება ევროპული აზროვნების მობრუნება ადამიანური არსებობის ინდივიდუალური და ისტორიული კონცეფციისაკენ და სიცოცხლის ცნებისაკენ. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მიერ წამოყენებული საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობამ, სხვა მეცნიერებათა განვითარების გათვალისწინებით, წარმოშვა ანთროპოლოგიის მთელი რიგი დარგები: სოციოლოგიური, პედა-

გოგიური, თეოლოგიური ანთროპოლოგია და სხვ.

ანტისტენე – ბერძენი ფილოსოფოსი, ცხოვრობდა დაახლოებით 444-368 წლებში ჩვენს ერამდე, ათენში; კინიკური ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელი. ანტისტენეს მოძღვრება უპირატესად პრაქტიკული მიმართულებისა იყო. მოითხოვდა მოთხოვნილებებზე უარის თქმას (ავტარკია), ძლიერი ხასიათის აღზრდას, დაბრუნებას ბუნებრივი მდგომარეობის უბრალოებისაკენ. უარყოფდა ტრადიციულ რელიგიას და აღიარებდა ერთი ბუნებრივი ღმერთის არსებობას “სახალხო ღმერთები ბევრია, ბუნებრივი – ერთი”. პოლიტიკის სფეროში უარყოფდა სახელმწიფოს და პოლიტიკურ მოღვაწეობას. “ჰერაკლესში” შექმნა ბრძენის იდეალი, რომელიც რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქე კი არ არის, არამედ მთელი მსოფლიოს მოქალაქეა.

აპათია (ბერძნ. *apa+hilia* – უგრძნობლობა) – გულგრილობა, ნორმალურ პირობებში გამოფიტვის, ან სულიერი დაღლილობის შედეგი, ხშირად აგრეთვე მძიმე

დაავადებათა სიმპტომი. სტოიელთა დროიდან აფექტურობისა და ვნებათა უქონლობა, მაშასადამე, თვითაღზრდის მიზანი.

აპოლოგია (ბერძ. – *apologia* – დაცვა) სოკრატეს სიტყვა სასამართლოს წინაშე, აგრეთვე პლატონისა და ქსენოფონტეს თხზულებანი, რომლებიც მიეძღვნება ამ სიტყვას.

აპოკალიფსური (ბერძნ. *apokalypsis* – მოვლენა) – ეწოდება დროის პერიოდს ან მდგომარეობას, როცა ადამიანის არსებობას ემუქრებიან ბედისწერით გამოწვეული ძლიერი საშინელი ძალები (ტექნიკა, ატომური ბომბი, სითბური სიკვდილი), ამასთან იგულისხმება ოთხი აპოკალიფსური მსედარი, რომელთა შესახებაც ლაპარაკია იოანეს გამოცხადების მე-ნ თავში (ჭირი, ომი, შიმშილი, სიკვდილი) და მათი გამოსახულება დიურერისა და ბოიკლინის მიერ.

არგუმენტი (ლათ. *argumentum* – საბუთი) დასაბუთების საფუძველი, დასაბუთების ის ნაწილი, რომელსაც ემყარება მისი სიცხადე.

არგუმენტირება – დამტკიცება, დასაბუთება ადამიანის მიმართ, argumentum e consensu gentum – მტკიცების დასაბუთება იმის დასაბუთების გზით, რომ დასამტკიცებელი “ყველას ჭეშმარიტებად მიაჩნია“, argumentum e kontra rio – დასაბუთება საწინააღმდეგოთი.

არისტოტელე – დაიბ. 384/383 წ. ჩვენს ერამდე სტაგირაში, გარდ. 322/321წ. ჩვენს ერამდე (ეგზეის ხალკიდაში). სწავლობდა პლატონთან, მაგრამ საკუთრივ მისი მოწაფე არ გამხდარა, ალექსანდრე დიდის აღმზრდელი. 335წ. ჩვენს ერამდე ათენში დააარსა ე. წ. პერიპატეტიკული სკოლა (პერიპატოს წელი, რომელსაც მიეკუთვნება არისტოტელეს მოღვაწეობა). ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ დაადანაშაულეს უღმერთობაში და 323/322წ. ჩვენს ერამდე ქალკიდონში გაიქცა.

არისტოტელე საკუთრივ მეცნიერული ფილოსოფიისა და ფილოსოფიური თვალსაზრისით განხილულ ცალკეული მეცნიერებების ფუძემდებელია. არისტოტელემ მოახდინა უდიდესი, შეიძლება ითქვას, ყველაზე ძლიერი გავლენა

ყველა მანამდე მცხოვრებ ფილოსოფოსებთან შედარებით – კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში განსაკუთრებით იმის წყალობით, რომ შექმნა მეცნიერული დისციპლინების კლასიფიკაციის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც შემორჩენილია მხოლოდ ნაწილობრივ დამუშავებული სახით. ამ სისტემის საფუძველს შეადგენს ლოგიკა და მეტაფიზიკა. არისტოტელეს მიერ შექმნილი ლოგიკა, რომელსაც მან “ანალიტიკა“ უწოდა (სახელწოდება “ლოგიკა“ შემოიღეს სტოელებმა) – ეს არის მოძღვრება ძირითადი ლოგიკური კანონების, ცნებების, მსჯელობების, დასკვნების შესახებ, განსაზღვრების, აგრეთვე დასაბუთების ან უარყოფის მეთოდების შესახებ; ეს მოძღვრება გადმოცემული აქვს თხზულებებში, რომლებიც შეადგენენ მის “ორგანონს“. მოძღვრება კატეგორიების შესახებ, (არსება, მიმართება, ადგილი, დრო, თვისება, რაოდენობა, მოქმედება, ვნება, დაუფლება, მდგომარეობა) დგას საზღვარზე ლოგიკასა და მეტაფიზიკას შორის. ამ მოძღვრებაში არისტოტელე განასხვავებს ნივთიერებას (მატერიას) და ფორმას (ძალას, აზროვნებას), რომლებიც

თავდაპირველად წარმოადგენდნენ ერთმანეთთან დაუკავშირებელ შესაძლებლობებს, ერთიანობაში კი შეადგენდნენ სინამდვილეს. უზენაესი სინამდვილეა ღმერთი: აზრის აზრი, წმინდა ფორმა, უძრავი მამოძრავებელი. ფილოსოფიურ დისციპლინებს მათი შინაარსის მიხედვით არისტოტელე ჰყოფს თეორიულ (პირველი ფილოსოფია, შემდგომში მეტაფიზიკად წოდებული, მათემატიკა, ფიზიკა, ფსიქოლოგიის ჩათვლით), პრაქტიკულ (ეთიკა, პოლიტიკა, ეკონომიკა) და პოეტურ (ტექნიკა, ესთეტიკა, რიტორიკა, ანუ პედაგოგიკა) დისციპლინებად. ფიზიკა, ანუ ნატურფილოსოფია, თავდაპირველად იყო მეცნიერება ბოლოვადი დედამიწის შესახებ, რომელიც უძრავია და მარადიულად არსებობს ხილული ვარსკვლავური ცის ცენტრში; ოთხი ელემენტის: ცეცხლის, წყლის, ჰაერის, მიწის შესახებ. ოთხი თვისების ანუ ძალის: სიცივის და სითბოს, სიმშრალის და სისველის შესახებ; მოძრაობის ექვსი სახეობის: წარმოშობა-მოსპობის, ზრდის, დაბერების, არაორგანული ენერგიის და ენტელეხიის შესახებ; “მიზეზობრიობის” სამი გვარეობის: არსების,

კაუზალობის, მიზნის შესახებ. არისტოტელესთან განსაკუთრებით ფართო განვითარება ჰპოვა ორგანული სხეულების ნატურფილოსოფიამ. აზროვნება, გონება არის ის, რაც ადამიანში სპეციფიკურად ადამიანურია; ადამიანს აქვს ცხოველებთან საერთო შემდეგი ძირითადი ფუნქციები: გაღიზიანებადობა, (შეგრძნება) და სივრცეში თავისუფლად გადაადგილების უნარი სხეულის მოძრაობის მეოხებით; და ბოლოს მას აქვს საერთო ფუნქციები მცენარეებთან – კვება და გამრავლება. ადამიანის სული უკავშირდება მცენარეული და ცხოველური სამყაროს საფუძვლებს როგორც “სხეულის პირველი ენტელეხია”. მათთან არ არის დაკავშირებული ინტელექტი, რომელიც პასიურია, როგორც იდეების სამყოფელი, აქტიური და ამასთან ერთად უკვდავია, როგორც ქმედითი აზრი. ეს “თეორიული ცხოვრება”, როგორც ირკვევა არისტოტელეს ეთიკური მოძღვრებიდან, ამავე დროს წარმოადგენს ცენტრს, რომელშიც მოცემულია უმაღლესი თეორიული “დიანოეტიკური სათნოებანი” და ჭეშმარიტინეტარება. პირიქით, პრაქტიკული სათნოებანი სრულიად არ ექვემდებარებიან გონების ბატონობას.

ამიტომ ამ სფეროში მოქმედებს წესი: ერიდე უკიდურესობებს და დაიცავი შუაგული. თავის პოლიტიკურ შეხედულებებში არისტოტელესათვის ადამიანი “ზონ პოლიტიკონია” (საზოგადოებრივი ცხოველი), რომლის ცხოვრების სფეროშიც შედის ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო. სახელმწიფო, ისევე როგორც ეკონომიკა, არისტოტელეს ესმის ბურჟუაზიულად, ძალზე რეალისტურად. სახელმწიფო მოღვაწე ვერ მოიცილის, ვიდრე შეიქმნება იდეალური პოლიტიკური პირობები, იგი უნდა დაეყრდნოს შესაძლებლობებს და საუკეთესოდ, საუკეთესო კონსტიტუციის პირობებში მართოს ადამიანები, ისეთნი, როგორიც ისინი არიან და უწინარეს ყოვლისა იზრუნოს ახალგაზრდობის ფიზიკურ და მორალურ აღზრდაზე. საუკეთესო სახელმწიფო ფორმებია მონარქია, არისტოკრატია, ზომიერი დემოკრატია, რომელთა საპირისპიროდ ე. ი. ყველაზე უარესი სახელმწიფო ფორმებია ტირანია, ოლიგარქია, ოხლოკრატია (ბრბოს ბატონობა). უმნიშვნელოვანესი თხზულებებია: “პოლიტიკა”, “რიტორიკა”, “მეტაფიზიკა”, “ფიზიკა” და სხვ.

ასიმილაცია (ლათ. *asimilis* – მსგავსი) – მიმსგავსება, გათანაბრება; ფსიქოლოგიაში ცნობიერების შინაარსის გაიგივება მსგავს ადრე შეთვისებულ მის შინაარსთან, რაც იმის მეოხებით ხდება, რომ მოქმედემენ მეხსიერებაში ჩარჩენილი კვალები.

ასოციაცია (ლათ. *associare* – შეერთება) – საზოგადოებრივი გაერთიანება. ფსიქოლოგიაში ორი წარმოდგენის ისეთი შეერთება, როცა ერთი წარმოდგენის გაჩენა ცნობიერებაში იწვევს მეორეს (იდეების ასოციაცია). მოძღვრება ასოციაციების შესახებ ცდილობს ახსნას ეს მიზეზები.

ატავიზმი (ახალლათ. *atavus* – წინაპარი) – ადამიანში ამა თუ იმ მიზეზით გამოწვეული ნიშნების გამოვლინება, რომლებიც ოდესღაც ახასიათებდათ მის წინაპრებს და უკვე დაკარგა შთამომავლობამ. შიძლება ვილაპარაკოთ აგრეთვე ფსიქიკური ატავიზმის შესახებაც.

ატიპური (ბერძნ. *a* – არა და *tupos* – ანაბეჭდი) – გადახრა ტიპიდან ან ტიპურიდან.

ატრიბუტი (ლათ. *attributum* – წინასწარგანკუთვნილი) – ნიშანი, არსებითი თვისება.

აუტიზმი (ბერძნ. *autos* – თვით) – ცხოვრებისეული განწყობა, რომლის დროსაც ყველაფერი გადატყდება საკუთარ “მეში“, ამასთან მეოცნებობა ჭარბობს აქტიურ დამოკიდებულებას გარესამყაროს მიმართ; აუტიზმის მიზეზია მეტისმეტად მგრძნობიარე ფსიქიკა ან სულიერი უწონასწორობა; აუტიზმი ხშირად შიზოიდური ტემპერამენტის ნიშანია.

აფექტი (ლათ. *affectus* – განწყობილება) – ისეთი სულიერი მოძრაობა, რომელსაც ახასიათებს გრძობათა ავადმყოფური აგზნება, ნების ჩართვა, ამასთან ერთად აზროვნების სინათლის და მისი გავლენის ძლიერი შესუსტება (მრავალი საქციელის შემთხვევაში აფექტის გავლენით) და ვნებისაგან განსხვავდება ნაკლები ხანგრძლივობით, ნაკლები სულიერი სიღრმით; აფექტი და ვნება ხშირად ისეთივე მიმართებაში არიან, როგორც მოქმედება და მიზეზი. აფექტი არის ადამიანის ბუნების კანონიერი, აუცილებელი გამოვლენა;

აფექტების არარსებობა იმდენადვე მოწმობს არასიცოცხლის უნარიანობას, რამდენადაც აფექტის გამოვლენა მოწმობს მომწიფებულ ცხოველუნარიანობას; თუ აფექტი სავსებით ითრგუნება ან მუხრუჭდება, წარმოიშვება “დათრგუნული“, ანუ “დამუხრუჭებული“ ეფექტი, რომელსაც ხშირად ავადმყოფური შედეგი მოსდევს. ძლიერი აფექტების გარეშე შეუძლებელია შემოქმედებითი წარმატებანი. სიყვარულს, როგორც შემეცნებითს ძალას, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ავგუსტინე ლაპარაკობდა, განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა მაქს შელერთან. XIX საუკუნის დამლევამდე მოძღვრებას აფექტების შესახებ მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ ფსიქოლოგიაში.

აქტუალური (ფრანგ. *actuel* – ნამდვილი) ქმედითი, თანამედროვე, რომელსაც დამოკიდებულება აქვს ჩვენს წამიერ უშუალო საარსებო ინტერესებთან.

აქტივიზმი – (ლათ.) 1. შეხედულება, რომლის თანახმად ადამიანის არსი ის არის, რომ კი არ ჭვრიტოს, არამედ აქტუალურად

გარდაქმნას გარესამყარო. 2. მორალური მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაკვირვებიდან მუდამ უნდა გადავიდეთ საქმეზე – თეორიიდან პრაქტიკაზე. აქტივისტი არის ის, ვინც პიროვნულად, ქმედითად იღწვის თავისი პარტიის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

აქტიურობა (ფრანგ. activite – მოქმედების ძალა) – ქმედითობა, აქტიური ქცევა. საპირისპირო – პასიურობა.

აქტუალიზაცია – ახ. ლათ – განხორციელება, გადასვლა შესაძლებლობის მდგომარეობიდან სინამდვილის მდგომარეობაში

- ბ -

ბაკუნინი მიხეილი – რუსი ჰეგელიანელი; დაიბ. 18.V.1814 (პრიამუხინი, ტევრი) – გარდ. 1.VII 1876 (ბერნი); 1840 წლიდან სწავლობდა ბერლინში, შემოიარა მთელი დასავლეთი ევროპა, მონაწილეობდა სოციალურ აჯანყებებში პოლონეთში, საქსონიასა და ბოჰემიაში (1848-49), გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც 1861წ. გაიქცა

ისევ დასავლეთ ევროპაში. ჰეგელის ფილოსოფიის დიალექტიკურ მეთოდში, რომელიც ბაკუნისათვის განვითარების მწვერვალი იყო, იგი უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდა უარყოფითს, ვიდრე დადებითს; ასე მივიდა მთელი არსებულის უარყოფის ფილოსოფიასთან და გახდა ანარქიზმის შემქმნელი. ძირითადი ნაწარმოებები: “თხზულებათა სრული კრებული” – მ. მეტლაუს გამოცემა, 3 ტომი, 1921-1924, რუსული გამოცემა 4 ტომად 1934-1935 წ.

ბატონობა – ადამიანების მოქმედებათა წარმართვა; სოციოლოგიის ცნება: ყველგან, სადაც გარანტირებულია დაცვა, ჩნდება ბატონობა დასაცავებზე, მაგ. მამის ბატონობა შვილზე, (ანალოგიურად ეკლესიის ბატონობა სინდისზე, სახელმწიფოსი – მოქალაქეებზე და ა. შ), რომ გქონდეს დაცვის შესაძლებლობა, საჭიროა ძალა. ბატონობის ყოველგვარი ურთიერთობა ამავე დროს (თუმცა არა უგამონაკლისოდ) არის ძალის ურთიერთობა, რომელიც შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული და დიქტატურაში გადაიზარდოს. მაქს ვებერი ამას პოლიტიკური ფორმით

გამოთქვამს: “ბატონობა მოასწავებს იმის შესაძლებლობას, რომ აიძულონ პიროვნებანი, რომლებსაც უბრძანებენ, დაემორჩილონ ბრძანებას“.

ბახოფენი იოჰან იაკობ – შვეიცარიელი სამართლისა და რელიგიის ისტორიკოსი, დაიბ. 22. XII. 1815 (ბაზელი) – გარდ. 25. XI. 1887 (იქვე). სახელი მოიხვეჭათხზულებით “დედის უფლება“ (1881) სამართლებრივ მეცნიერებაში შეიტანა შედარებითი მეთოდი; მითებისა და სიმბოლოების მკვლევარი (“მითი არის სიმბოლოს განმარტება“). მსოფლიო ისტორიას განიხილავდა, როგორც მარადიულ ბრძოლას სინათლესა და სიბნელეს, ცასა და მიწას, დაბადებასა და სიკვდილს შორის, მამაკაცურ და ქალურ საწყისს შორის. მიწა “დედობის მატარებელია“, მაშინ როდესაც მზე “ახორციელებს მამობრივი საწყისის განვითარებას“. ძირითადი ნაწარმოებებია: “დედის უფლება“ და “პირველყოფილი რელიგია და მითოსი“.

ბედი – მთელი არსებულის ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს და არ შეუძლია გავლენა

არ მოახდინოს ადამიანის, ხალხის და სხვა ყოფიერებაზე. ბერძნები ახდენდნენ ბედის ჰიპოსტაზირებას და პერსონიფიკაციას მოირას, ტიუხეს, ატეს, ადრასტეას, ჰეიმრენეს ანანკეს და სხვათა სახით. ეს უმაღლესი ძალა შეიძლება გავიაზროთ, როგორც ბუნება და მისი კანონზომიერება ან როგორც ღვთაება. შოპენჰაუერი ლაპარაკობს ინდივიდის ბედში წინასწარდასახულობაზე. ნიცშე ქადაგებს “ბედის სიყვარულს“ (amorfati) თანამედროვე ფხიზელი მოაზროვნენი თავიანთ თეორიებში აკნინებენ ბედის ძალას, თუმცა არ გამორიცხავენ მას განცდათა სფეროდან. “რეალურად მიმდინარე ნაკადი ადამიანს წარმოუდგება საბედისწეროდ, ვინაიდან გრძნობს, რომ თვით იგი, თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ, არაფერში დამნაშავე, ამ ნაკადშია ჩართული. და ეს ჩართვის შეგრძნება თვით ჩვენში მიმდინარე რეალობის უბრალო მოწმობაა, რომელიც გარდაუვალად, ნაბიჯ-ნაბიჯ გვხელმძღვანელობს ჩვენს ცხოვრებაში“ (ნ. ჰარტმანი). ქრისტიანობა ბედის ცნებას ცვლის ღვთის განგების ცნებით. შელინგი ისტორიაში ხედავს აბსოლუტის გამოცხადებას, რომელიც სამ

პერიოდში ხორციელდება: პირველი პერიოდის განმავლობაში ბედი ბატონობს, როგორც სავსებით ბრმა ძალა, მეორე პერიოდში – აბსოლუტი მულავნდება ბუნების სახით და ბუნების ბრმა ძალა ბუნების კანონად იქცევა; მესამე პერიოდი – ყოფიერება, რომელშიც ის, რაც ადრე არსებობდა, როგორც ბედი და ბუნება, წარმოჩნდება განგების სახით. ბედის არსება იმით ხასიათდება, რომ იგი არის მტრული, ბნელი, ავისმომასწავებელი, შემძუსვრელი; ჩვენ ვლაპარაკობთ ხოლმე ბედის მოწყალებაზე, რომელიც გვათავისუფლებს თავისი დარტყმებისაგან, ჩვენთვის რომ იყო განკუთვნილი. ეს პრობლემები განსაკუთრებით აღელვებს ეკზისტენციალიზმის ფილოსოფიას.

ბეკონი ფრენსის, ბეკონ ვერულამელი – ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და ფილოსოფოსი; დაიბ; 22. I. 1561 (ლონდონი) – გარდ. 9. IV. 1626 (ჰეიგეიტი) თანამედროვე ინგლისური ემპირიზმის ფუძემდებელი, დასახა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების გზა. მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა ბუნებაზე გაბატონება და

კულტურის მიზანშეწონილი გარდაქმნა ბუნების შეცნობის საფუძველზე. ამისათვის, მისი აზრით, ადამიანმა აუცილებლად უარი უნდა თქვას ცრურწმენებსა და მცდარ შეხედულებებზე (იდოლებზე). ბეკონის მიხედვით, შემეცნების ერთადერთი საიმედო წყაროა ცდა (დაკვირვება და ექსპერიმენტი), ხოლო შემეცნების ერთადერთი სწორი მეთოდია ინდუქცია, რომელსაც კანონების შეცნობასთან მივყვართ; მისგან შეიძლება კვლავ დავუბრუნდეთ ცდას, მივიღეთ იმ აღმოჩენებამდე, რომლებიც განამტკიცებს ადამიანის ბატონობას ბუნებაზე, ვინაიდან ადამიანს შეუძლია განახორციელოს ის, რის შესახებაც მან იცის: “tantum possumus quantum scimus”.

ბენტამი იერემია – ინგლისელი ფილოსოფოსი; დაიბ. 15. II. 1748 (ლონდონი) – გარდ. 6.VI 1832 (იქვე). უტილიტარიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი; მორალს, აგრეთვე კანონმდებლობას იგი განსაზღვრავს როგორც ხელოვნებას, რომელიც ადამიანის ქცევებს არეგულირებს. იმგვარად, რომ მათ უნდა მოჰქონდეთ რაც შეიძლება მეტი ბედნიერება (“the greatest



F22.952
 2

possible quantity of happiness “). ბენტამის თანახმად, ადამიანის ცხოვრების უმაღლესი მიზანია ადამიანის რაც შეიძლება მეტი ბედნიერება. ბენტამმა ლიტერატურაში შემოიტანა ცნება “ინტერნაციონალური“. ძირითადი ნაწარმოებია: “ზნეობისა და კანონმდებლობის საფუძვლების შესავალი“, 1870 წ.

ბერგსონი ანრი – ფრანგი ფილოსოფოსი; დაიბ. 18. X. 1859 პარიზში, გარდ. 4. I. 1941 (იქვე). 1900 წლიდან პროფესორი ფრანგულ კოლეჯში. 1914 წ. საფრანგეთის აკადემიის წევრი, 1928 წ. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. ახალი დროის ფრანგული ფილოსოფია რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მის გავლენას განიცდიდა. ბერგსონი სიცოცხლის ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელია. იგი ასწავლიდა, რომ აზროვნება ტვინით როგორც ავტომატური იარაღით სარგებლობს და რომ ჭკუა შეიძლება ჩასწვდეს მხოლოდ ყოველივე გაქვავებულსა და მკვდარს, არსებულს არაორგანულ ბუნებაში და არა სიცოცხლეს, რომელიც

თავისი არსებით შემოქმედებითი აქტივობაა და ცნებებით ვერ შეიმეცნება. სულიერი ინდივიდი, ბერგსონის მიხედვით, მდინარი, გონებით შეკავშირებული, განუყოფელი მრავალფეროვნებაა. სიცოცხლეს შეიძლება ჩასწვდე მხოლოდ საკუთარი განცდის, მხოლოდ ინტუიციის მეოხებით. იგივე შეიძლება ითქვას უნივერსუმის შესახებაც, ვინაიდან იგი ცოცხლობს, იზრდება შემოქმედებითი განვითარების პროცესში და თავისუფლად ვითარდება მისთვის შინაგანად დამახასიათებელი სიცოცხლისადმი სწრაფვის, სიცოცხლით აღტკინების (“elan vital”) შესაბამისად. “ბერგსონის სიდიადე ის ძალაა, რომლითაც მან შეძლო სხვა მიმართულება მიეცა სამყაროსა და სულისადმი ადამიანის დამოკიდებულებისათვის”.

ბერდიაევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე – რუსი ფილოსოფოსი; დაიბ. 19. III. 1874 (კიევი) – გარდ. 24. III. 1948 (კლამარი, პარიზის ახლოს); 1922 წ. გაასახლეს რუსეთიდან. 1924 წლიდან ცხოვრობდა ბერლინში, შემდეგ პარიზში. ბერდიაევი განიცდიდა მარქსის, ნიცშეს, იბსენის, კანტის



და კარლაილის ძლიერ გავლენას, იცავდა ექსისტენციალიზმის იდეებს, რომლებშიც ჭარბობდა გონის ფილოსოფიის პრობლემატიკა, ქადაგებდა თავისუფლების პრიმატს ყოფიერებაზე (თავისუფლების დეტერმინირებას ვერ მოახდენს თვით ღმერთიც კი; თავისუფლებას ფესვები არარაობაში აქვს), ყოფიერების გამოცხადებას (ღმერთის მსგავსი) ადამიანის მეშვეობით, ამტკიცებდა ისტორიის გონივრულ მსვლელობას, წერდა ქრისტიანული გამოცხადების შესახებ, სოციოლოგიისა და ეთიკის საკითხებზე. ძირითადი ნაწარმოებები: “შემოქმედების საზრისი“, 1916, გერმ. გამ. 1927; “ისტორიის საზრისი“, 1923, გერმ. გამ. 1925, “ახალი შუა-საუკუნეობრიობა“, 1924; “ადამიანის დანიშნულება“, 1931; “მე და ობიექტური სამყარო“, 1933; “ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში“ 1934.

ბიურგერობა – სოციოლოგიური ცნება, თავდაპირველად აღნიშნავდა ადამიანის კუთვნილებას იმ მოქალაქეობრივი წოდებისადმი, რომელიც წარმოიქმნა ქალაქების პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური მნიშვნელობის

ზრდასთან ერთად, რასაც ადგილი ჰქონდა XIII საუკუნიდან, ხოლო შემდეგ მოსახლეობის ეკონომიკურად დამოუკიდებელ იმ ნაწილს, რომელიც ხელოსნობას მისდევდა; საფრანგეთის რევოლუციის დროიდან – “მესამე წოდება“, როგორც თავადაზნაურობისა და სამღვდელოების საპირისპირო. ბიურგერობა იყო გერმანელი ხალხის განმანათლებლობის, ლიბერალიზმის და კულტურის მთავარი მატარებელი XVIII ს. მოყოლებული იმპერიის შექმნამდე. ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში ბიურგერობასთან ერთად, ამ სიტყვის საკუთრივი აზრით, რომელიც დაკავშირებული იყო უპირატესად საშუალო ფენასთან, წარმოიშვა მსხვილი ბიურგერობა “ბურჟუაზია“ (ერთი მხრივ, იმის მეოხებით, რომ ბიურგერობა ისწრაფვოდა მიეღწია ისეთივე საზოგადოებრივი მნიშვნელობისათვის, როგორიც ჰქონდა თავადაზნაურობას, მეორე მხრივ კი, იმ სურვილის მეოხებით, რომ ცდილობდა გამიჯვნოდა “მეოთხე წოდებას“, სოციალისტურ მუშათა კლასს). მან აიტაცა ეროვნული იდეა, დავიწყებას მისცა ზოგადი ლიბერალური ტენდენციები და ცდილობდა თავისი ბედი გადა-

ეწყვიტა არა საკუთარი ძალებით, არამედ სახელმწიფოს დახმარებით, რომელიც მოქცეულია მის პოლიტიკურ გავლენაში, ან საერთოდ მის ძლიერ გავლენას განიცდის. როცა პირველ მსოფლიო ომში ბურჟუაზიას ხელიდან გამოეცალა სახელმწიფო მართვის საჭე, იგი აღმოჩნდა სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობაში სახელმწიფოსთან, რომელიც მეტნაკლებად “ტოტალური სახელმწიფოა”, სადაც სულ უფრო ნაკლები ადგილი რჩება ინდივიდუალისტური ბურჟუაზიული კულტურისათვის, ისეთი ცხოვრების ფორმისათვის, რომელშიც ადამიანს საკუთარი თავის უნდა სჯეროდეს.

ბიჰევიორიზმი (ინგლისურად *behaviour* – ქცევა, მოქმედება) – მიმართულება ფსიქოლოგიაში, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ამერიკაში (მთავარი წარმომადგენლები: უოტსონი და ტორნდაიკი); ბიჰევიორიზმი სრულიად უარს ამბობს თვითდაკვირვებასა და მისი შეფასების მეთოდზე და ყურადღებას აქცევს მხოლოდ ცხოველებისა და ადამიანების ქცევის იმ ფაქტებს, რომლებიც შეიძლება ზუსტად

დავადგინოთ და აღვწეროთ, ამასთან აუცილებელი არ არის ჩავწვდეთ მათ უკან დაფარულ ფსიქიკურ პროცესებს და აღვწეროთ ისინი. ამიტომ ბიჰევიორიზმის მეთოდს საფუძვლად უდევს გაღიზიანებისა და საპასუხო რეაქციის გამოკვლევა. ამ საფუძველზე ბიჰევიორიზმი ქმნის თავის საკუთარ ეთიკასა და სოციოლოგიას. ბიჰევიორისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანების ქცევა უნდა განვიხილოთ გარკვეულ სიტუაციაში და დაკვირვების საფუძველზე გამოვიყვანოთ ადამიანთა აღზრდისა და ქცევის წესები მათს ერთობლივ ცხოვრებაში.

ბოდენი ჟან – ფრანგი პუბლიცისტი და სახელმწიფო სამართლის მასწავლებელი, დაიბ. 1530 წ. (ანჟე) – გარდ. 1596 წ. (ლიონი). ჰუგენოტების დევნის დროს ქადაგებდა შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ამ უკანასკნელებისადმი და თავის ძირითად ნაშრომში “სახელმწიფო სამართლის შესახებ” (1577 წ.) განსაზღვრა სუვერენიტეტის ცნება, რომლის დარღვევის გამართლება არ შეიძლება არავითარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი კანონით. თავის

ნაშრომში “Colloguium heptaplo - meres” (პირველად დაიბეჭდა 1857 წ.) მან დაასაბუთა ყველა რელიგიის თანასწორუფლებიანობა და ერთიანი ბუნებრივი რელიგიის საფუძვლად დაასახელა შემდეგი: ღმერთის ერთიანობა, მორალური ცნობიერება, თავისუფლების რწმენა, უკვდავება და მისაგებელი იმ ქვეყნად.

ბრაჰმა (სანსკრიტული – “წმინდა ძალა”) – თავდაპირველად ეს სიტყვა აღნიშნავდა ჯადოს, შემდეგ ძალას, რომელიც ქმედობას ანიჭებს მსხვერპლშეწირვის დროს შესრულებულ წესწვეულებებს და ბოლოს, თავისი არსებობის განმსაზღვრელ შემოქმედებითსა და დამამკვიდრებელ პრინციპს, რომელიც ყველაფერს ქმნის, იცავს, ინახავს და შემდეგ კვლავ უბრუნდება თავის თავს. უპანიშადის დროიდან სპეკულაციები ცალკეულ არსების თვისებასთან ბრაჰმას დამოკიდებულების შესახებ შეადგენს ვედანტას მთავარ თემას.

ბრაჰმანიზმი (ბრაჰმანების, მღვდლების მოძღვრება) – ინდოეთის გაბატონებული რელიგია,

რომელიც ამჟამად ინდუიზმის ფორმით გამოდის. თავისი დოგმატებით ეს რელიგია სათავეს იღებს ვედებიდან, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავება არსებობს. ბრაჰმანიზმში სხვადასხვა მიმართულებაა: მონოთეიზმი, პანთეიზმი, და ათეიზმიც კი. როგორც მსოფლმხედველობა ბრაჰმანიზმი წარმოადგენს ევოლუციონიზმს: სამყაროს ქმნის ბრაჰმა შეუქმნელი და წარუვალი პირველ ნივთიერებისაგან (პრაქრიტისაგან) და მარადიულ წრებრუნვაში კვლავ ამ პირველ მატერიად გარდაიქმნება. ბრაჰმანიზმი ექვს ორთოდოქსალურ სისტემას შეიცავს: მიმანსა და ვედანტა, სანჰია და იოგა, ვაი-შეშიკა და ნიაია. მაგრამ ბრაჰმანიზმის ძირითადი მოთხოვნების მიუხედავად – დაიცვას და თაყვანი სცეს კასტურობის პრინციპს და განსაკუთრებით ბრაჰმანიზმის მაღალი ტიპის კასტას – მისთვის უაღრესად დამახასიათებელია თეორიული და პრაქტიკული შემწყნარებლობა.

ბროლოგია – ფილოსოფიაში ეს არის დინამიკური მსოფლმხედველობის ძირითადი ცნება.



ბრძოლის შემოქმედებითი ფუნქცია პირველად ხაზგასმით აღნიშნა ჰერაკლიტემ. („ბრძოლა ყველა ნივთის მამაა“). ბრძოლა ქმნადობის მეტაფიზიკური პრინციპია. ჰეგელთან ბრძოლა დიალექტიკური მოძრაობის არსებაა: სინთეზი მიიღწევა შინაგანი ბრძოლის მეშვეობით. ნიცშესათვის ბრძოლა განუყოფელია დიონისურ საწყისთან ადამიანის ყოფიერებაში. სოციოლოგებთან ეს არის „მე“-ს ბრძოლა თავისი თვითდამკვიდრებისათვის, ბრძოლა სამყაროს წინააღმდეგ, რომელშიც ბატონობს კოლექტივი. „ბრძოლის მეოხებით სიცოცხლე იძენს დიდ შინაარსს: წმინდა არსებობის ნაცვლად სიცოცხლე გადადის სამყაროსთან პოლემიკაზე, შრომასა და შემოქმედების მდგომარეობაზე“ – (ფირკანდტი). დარვინის დროიდან ლაპარაკობენ არსებობისათვის ბრძოლის შესახებ. ეთიკური აზრით ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ პრინციპულად თანასწორთა შორის. (იასპერსი ლაპარაკობს ბრძოლაზე, რომელიც გამსჭვალულია „სიყვარულის სულისკვეთებით“ კომუნიკაციის ფარგლებში).

ბუბერი მარტინ – რელიგიის ფილოსოფოსი და კულტურული

პოლიტიკის წარმომადგენელი, დაიბ. 8. II. 1878 წ. (ვენაში). 1938 წლიდან – პროფესორი იერუსალიმში, გარდ. 13. VI 1965 (იქვე). ბევრ ნაწარმოებში ხასიდიზმის სამყარო გააცნო დასავლეთს და თვითონაც განიცადა მისგან გადამწყვეტი გავლენა.

ბუდიზმი – წმინდა მოძღვრება, რომელსაც დაახლოებით 560-440 წწ. ჩვენს ერამდე ქადაგებდა ბუდა („ნათელმხილველი“) გაუტამა (გოტამა). ამ მოძღვრების თანახმად, ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, არ გააჩნია თვისება (მუდმივი სუბსტანცია), ამიტომ აღსავსეა სევდით (უსიამოვნებით). ყოველი ცალკეული არსება წარმოადგენს იმ მოქმედი ცოცხალი ძალების წარმავალ კომბინაციას, რომლებიც მარადიული კანონების თანახმად, წარმოიშვებიან და კვლავ ისპობიან ურთიერთ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში (დჰარმა). ვინაიდან არც ერთი ბოროტი ან კეთილი საქმე უკვალოდ არ იკარგება, ამიტომ ინდივიდუალური ცხოვრების ყოველი ნაკადი (მოჩვენებითი პიროვნება), როგორც ამას კარმა მოითხოვს, სიკვდილის შემდეგ

განაგრძობს საიქიო არსებობას. მორალური ქცევებით ხდება განწყობა, რაც ხორციელდება ცალკეული საფეხურების გავლის გზით; შემეცნებას და წყურვილის დაძლევას (ცხოვრებისაკენ მისწრაფებას) მივყავართ განთავისუფლებისაკენ. ძველი პლურალისტური მოძღვრება ხსნის შესახებ (ჰინაიანა, ესე იგი “პატარა ეტლი”) დროთა განმავლობაში განვითარდა მონისტურ მაჰაიანად (“დიდი ეტლი”). დჰარმებს არ გააჩნიათ ნამდვილი მნიშვნელობა, ნამდვილად არსებობს მხოლოდ მიუწვდომელი შუნია (სიცარიელე), რომელიც ნირვანას იგივეობრივია და მხოლოდ ილუზიის გავლენით ვლინდება, როგორც სამყარო მისი მრავალფეროვნება. მაჰაიანას აქტივისტურ ეთიკას მიაჩნია, რომ ბუდას მოწაფის უმაღლესი იდეალი უნდა იყოს არა არჰატი (წმინდანი), რომელიც ისწრაფვის მიაღწიოს საკუთარი თავის ხსნას, არამედ ბოდისატვა (ბუდას მომავალი ნაცვალი), რომელიც მიზნად ისახავს ყველა არსებისადმი უანგარო სიყვარულით სხვები წაიყვანოს ხსნისაკენ. დაახლოებით 1200 წელს ბუდიზმის გავლენამ ინდოეთში იკლო, მაგრამ ჰინაიანას

ფორმით შემორჩენილია ცეილონზე და ინდოეთის აღმოსავლეთ რაიონებში, აგრეთვე (მაჰაიანას ფორმით) ჩინეთში, იაპონიაში, ტიბეტში, მონღოლეთსა და ჰიმალაებში.

- ბ -

განათლება – ამ ტერმინით აღნიშნავენ, როგორც ადამიანის გონითს სახეს, რომელიც ყალიბდება მისი კულტურული წრის დონის ზნეობრივი და გონითი ღირებულების გავლენით, ესე იგი აღზრდის სახის ფორმირების პროცესს. ამასთან მთავარია არა ცოდნის რაოდენობა, არამედ ამ უკანასკნელის შერწყმა ადამიანის პიროვნულ თვისებებთან, იმის უნარი, რომ დამოუკიდებლად გამოიყენოს თავისი ცოდნა. განათლებაში ყოველთვის არის როგორც ფორმალური მხარე, ესე იგი გონითი მოღვაწეობა ან გონითი უნარი (რომელიც განიხილება მოცემული დროის შესაბამისი მასალის დამოუკიდებლად), ისე, განათლების დამოუკიდებელი მხარე, ესე იგი შინაარსი. ის მნიშვნელობანი, რომლითაც სიტყვა

“განათლება“ იხმარება აჟამად, მან შეიძინა XVIII საუკუნის დასასრულს. განსაკუთრებით გოეთეს პესტალოცის და ნეოჰუმანისტების გავლენით და მაშინ აღნიშნავდა ადამიანის ზოგადი გონითი ფორმირების პროცესს განმანათლებლების მომხრეთა აღმზრდელობითი ტექნიკის საპირისპიროდ. ამ დროიდან აღნიშნულმა სიტყვამ შეიძინა უფრო ფართო მნიშვნელობა. ჩვეულებრივად ლაპარაკობენ ზოგადი განათლების შესახებ, რომელსაც იძლევა სკოლა და სპეციალური განათლების შესახებ (მაგ. მეცნიერული, ტექნიკური, მუსიკალური). სპეციალური და პროფესიული ცოდნა შეიძლება განვიხილოთ, როგორც განათლება ამ სიტყვის ნამდვილი აზრით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაკავშირებულია ზოგად განათლებასთან. განათლების იდეალი ზუსტად ისევე, როგორც მისთვის საჭირო ცოდნის დონე, შეიძლება განსხვავებული იყოს კულტურის, ხასიათის, ეროვნულ თავისებურებათა, გეოგრაფიული და სოციალური გარემოს მიხედვით და განიცდიდეს ისტორიულ ცვლილებებს (თავადაზნაურული განათლება, უტილიტარული განათლე-

ბა, ბურჟუაზიული განათლება, ჰუმანიტარული, პოლიტიკური განათლება და სხვა). ამჟამად განათლება, როგორც დაცვა ადამიანის იმ ძალებისაგან, რომლებიც ახდენენ ადამიანის გაუსახურებას დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორც ცალკეული ადამიანისათვის, ისე საზოგადოებისათვის, მთლიანად სასიცოცხლო საკითხად იქცა.

განათლება — მოძრაობა კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში მიზნად ისახავს შეცვალოს რელიგიურ და პოლიტიკურ ავტორიტეტზე დაფუძნებული შეხედულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანის გონების მოთხოვნებიდან და შეუძლიათ გაუძღონ თითოეული ცალკე ინდივიდის მხრივ გონივრულ კრიტიკას. ეს ცნება განმანათლებლობისა, რომელიც როგორც განვითარების ისტორიული ეპოქა მეორდება ხოლმე. (ანტიკურ სამყაროში, მაგ. ეს იყო ეპოქა სოკრატეს სიკვდილის შემდეგ), გახდა იმ საერთო პროცესის გამოხატულება, რომელმაც თანდათან მოიცვა მთელი რიგი ქვეყნები და პირველ რიგში ევროპა (XVI-

XVIII ს.). ამასთან სხვადასხვა ქვეყანასა და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ეს პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობდა. ინგლისში – განმანათლებლობის ეპოქა XVI საუკუნიდან იწყება და უპირატესად რელიგიური და პოლიტიკური ხასიათისაა; საფრანგეთში – XVII საუკუნიდან. იგი გამოდის საზოგადოებრივი და მორალური პრინციპების კრიტიკით. შემდეგ XVIII საუკუნეში იმარჯვებს და ერწყმის 1789 წლის რევოლუციას; გერმანიაში XVIII საუკუნიდან გარეგნულად არ აღინიშნება არავითარი მნიშვნელოვანი წარმატებები, გარდა გერმანული ფილოსოფიისა და ლიტერატურისა, სადაც ხდება მათი შინაგანი თვითგამორკვევის პროცესი ამ სიტყვის კანტისეული მნიშვნელობით: განმანათლებლობა არის ადამიანის გამოსვლა არასრულწლოვანების ასაკიდან, რომელშიც იგი თავისი დანაშაულით იმყოფება, არა გვგონია შეიძლებოდეს ლაპარაკი განმანათლებლობაზე იტალიასა და ესპანეთში; იტალიაში იგი ანტიკლერიკალიზმის ტოლფასია. ფილოსოფიაში განმანათლებლობა ილაშქრებდა ყოველგვარი მეტაფი-

ზიკის წინააღმდეგ. მან ხელი შეუწყო ყოველგვარი რაციონალიზმის განვითარებას, მეცნიერებაში – ბუნებისმეტყველების განვითარებას, რომლის მიღწევებს იგი ხშირად იყენებს შეხედულებათა მეცნიერული მართლზომიერებისა და პროგრესის რწმენის დაფუძნებისათვის, მორალისა და პედაგოგიკის სფეროში განმანათლებლობა ქადაგებდა ჰუმანიზმის იდეალებს და დროის მოთხოვნათა შესაბამის ახალგაზრდობის აღზრდის სისტემას, პოლიტიკის, იურისპრუდენციისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სფეროში ადამიანის განთავისუფლებას უსამართლო შეზღუდვებისაგან; ყველა ადამიანის თანასწორობას კანონის წინაშე. ეს წარმოადგენს ცნებას, რომლის დამუშავება უმთავრესად განმანათლებლობის დამსახურებაა. განმანათლებლობის მთავარი წარმომადგენლები არიან: ფრენსის ბეკონი, ჰობსი, ლოკი, იუმი – ინგლისში, მეილი, ვოლტერი, ენციკლოპედისტები, რუსო, მონტესკიე, დიდრო – საფრანგეთში; ვოლფი, ლესინგი, კანტი, ფრიდრიხ დიდი – გერმანიაში. მაგრამ უკვე XVIII საუკუნის დამლევს ფიხტე

აღნიშნა განმანათლებლობის უარყოფითი მხარეები. XIX საუკუნის დამლევს მეტაფიზიკასთან დაბრუნებას მოჰყვა განმანათლებლობის ფილოსოფიის დაძლევა, მაგრამ ეს არ შეეხება განმანათლებლობის, როგორც მეცნიერულ და სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას.

გენიოსი (ფრანგ. Genic) — უმაღლესი შემოქმედებითი ნიჭიერება, რაც ვლინდება როგორც გაგების (ინტუიცია), სხვადასხვა ელემენტის შეერთების (ფანტაზია), შემოქმედებითი ფორმირებისა და გამოსახვის ორიგინალური უნარი, აგრეთვე ამ ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. XVIII საუკუნის გერმანულ პოეზიასა და ფილოსოფიაში, რომანტიზმის ჩათვლით, გენიოსი — ეს არის გამოჩენილი, განსაკუთრებული ადამიანი. კანტი გენიალურ ადამიანს უწოდებს “ბუნების რჩეულს”, ხოლო გენიალობას — თანდაყოლილ სულიერ თვისებას, რომლის მეოხებითაც ბუნება კარნახობს წესებს არა მარტო მეცნიერებას, არამედ ხელოვნებასაც (“მსჯელობის უნარის კრიტიკა” §46-49). გოეთე

იზიარებს ჰამანის, ჰერიდრის, აგრეთვე “ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდის გენიოსის კულტს და კიდევ უფრო გამოკვეთილად განსაზღვრავს გენიოსს როგორც ფორმაშემქმნელ ნიჭიერებას; მის მსგავსად შილერი გენიოსს განიხილავს როგორც შემოქმედებითს მიაპიტობას, ნიცშეც აგრეთვე შემოქმედებითს ბავშვობას თვლიდა გენიალობის ძირითად წყაროდ. ახალ დროში ზოგჯერ იყო ცდები გენიალობა დაეკავშირებინათ სიგიჟესთან (მორო დეტური, ლომბროზო და სხვ.); უკვე პლატონი ლაპარაკობს პოეტების “ღვთაებრივ სიგიჟეზე.“ მართლაც, ბევრი გენიალური ადამიანი ჭკუაზე იშლებოდა (ტასო, სვიფტი, ლენაუ, შუმანი, ჰალერი, ნიცშე); გენიოსს ზოგჯერ აქვს უეცარი შემოქმედების წყურვილი მსგავსი გარკვეულ ორიგინალურ და იდეურად მაღალ მწარმოებლურ ფაზებთან, რომლებიც ესაზღვრებიან მსუბუქ პათოფსიქოლოგიის სფეროს (ჰიპომანიის მსუბუქი ფაზური მერყეობა, შიზოფრენიის საწყისი სტადიები, რომელთაც ახასიათებთ მოჩვენებანი და ა. შ.). მაგრამ თუ ზოგადად დავახასიათებთ გენიოსის ცხოვრებას, რომელიც სხვა

ადამიანებისაგან განსხვავდება როგორც “სიმახინჯე“, ეს აუცილებლად როდია ავადმყოფური, არასწორი, თვითნებური გამონაკლისი, არამედ სოციოლოგიური თვალსაზრისით ეს ამავე დროს არის წესების დამდგენი და კანონთა შემქმნელი ადამიანური არსების შემოქმედებითად ჩამოყალიბებული მწვერვალი.

- დ -

დანტე ალიჰიერი – იტალიელი პოეტი და ფილოსოფოსი; დაიბ. 30. V. 1265 (ფლორენცია) – გარდ. 14. IX. 1221 (რავენა). თავის ნაწარმოებში ”ღვთაებრივი კომედია“ აღწერს სულის მდგომარეობას მისი სიკვდილის შემდეგ საიქიოს სამ სამეფოში: ჯოჯოხეთში, განსაწმენდელსა და სამოთხეში. ამ ნაწარმოებში, როგორც სარკეში, აისახება საუკუნეობრივი აზროვნების წესი. თეოლოგები დანტეს ხშირად საყვედურობდნენ იმას, რომ იგი იზიარებდა ავეროესის შეხედულებებს და მის სინათლის მეტაფიზიკას, რომელიც ენათესავება ნეოპლატონელების მოძღვრებას.

დაო – (ტაო; ჩინ. ღმერთი, გზა, გონება, სიტყვა, ლოგოსი, საზრისი) ლაო-ძის ფილოსოფიის თანახმად, დაო ნიშნავს საყოველთაო ერთიანობას, მას არ გააჩნია არც სახელი, არც ფორმა; არ გაიგონება, უხილავია, შეუცნობადია, გაურკვეველია, მაგრამ სრულქმნილია. იგი განისვენებს, მაგრამ მუდამ მოძრაობს. თვით არ იცვლება, მაგრამ ყველა ცვლილების მიზეზია. მარად ერთიანია, უცვლელია, წარუვალია, არსებულია ყოველთვის და უკუნისი უკუნისამდე. იგი ყოველივეს ფესვია, ყველა ნივთის დედაა. “ადამიანი დამოკიდებულია დედამიწაზე, დედამიწა – ცაზე (კოსმოსზე), ცა – დაოზე, დაო – თავის თავზე.

დაოსიზმი – ლაო-ძის მოძღვრება დაოს შესახებ. მოგვიანებით იმის გამო, რომ შეითვისა შამანობის ზოგიერთი იდეა და უფლებით ბუდიზმს გაუთანაბრდა, უთავბოლო მისტიკად და ცრუმორწმუნეობად გადაგვარდა.

დარვინი ჩარლზ – ინგლისელი ბუნებათმეცნიერი; დაიბ. 12. II. 1809 (შრიესბერი) – გარდ. 19.

IV. 1882 (დაენი, კენტი). შექმნა მიმართულება, რომელსაც ეწოდა მისი სახელი დარვინიზმი — სახეობათა წარმოშობის თეორია, იმ ფორმით, როგორც მას მისცა დარვინმა.

ამ თეორიის საფუძველს შეადგენს ცოცხალ არსებათა ცვალებადობის, მემკვიდრეობითობისა და შთამომავალთა ჭარბწარმოების ცდით დადგენილი ფაქტები. ეს ჭარბწარმოება იწვევს (და ეს არის დარვინის მოძღვრების არსება) ორგანიზმებს შორის ბრძოლას არსებობისათვის, რასაც მოსდევს იმათი გადაშენება, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი თვისებები და ამიტომ ვერ უძლებენ ამ ბრძოლას, იღუპებიან, გადაშენდებიან. ისინი, რომლებიც შესაბამისი თვისებებისა და უნარის მეოხებით უძლებენ ამ ბრძოლას, ქმნიან რასას, მრავლდებიან და თავიანთ თვისებებს მემკვიდრეობით გადასცემენ შთამომავლობას ყველაზე ამტანების შერჩევის გზით (ბუნებრივი შერჩევა). დარვინიზმის ფილოსოფიური მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ცდილობს კაუზალურ-მექანიკურად ახსნას ბუნებისა და ადამიანისა, და ადამიანის სიცოც-

ხლეში არსებული “მიზანშეწონილობანი”.

დასავლეთი — ევროპის დასავლეთი ნაწილი, გადატანითი აზრით სივრცე, დასახლებული იმ ხალხებით, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს დასავლეთის კულტურა. ეს კულტურა ჩამოყალიბდა ბერძნულ-რომაული ანტიკურობის და ქრისტიანობის საფუძველზე, რითაც გააერთიანა დასავლეთის ხალხები. დასავლეთის კულტურამ ძლიერი გავლენა მოახდინა ქვეყნის სხვა ნაწილების კულტურაზე, ამან განსაკუთრებით იჩინა თავი შუასაუკუნეობრიობის ეპოქაში. ახალ დროში დასავლეთს თავი დაეცვა განმანათლებლობის ეპოქის ცალმხრივი რაციონალიზმისაგან. დაწყებული XX ს., ლაპარაკობენ დასავლეთის დაცემასა და დაღუპვაზეც კი.

დასაბუთება — ყველაზე ფართო აზრით ხერხი, რომელსაც მიმართავენ იმ მიზნით, რომ დაარწმუნონ თეზისის სისწორეში. შემეცნების სარწმუნებასა ან — თუ მოცემული დებულება სადაოა — კიდევ შეავსონ და დაადასტურონ იგი. ზუსტ, ანუ დედუქციურ, დასაბუ-



თებას (დემონსტრაციას) ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მოცემული მოსაზრება დასტურდება დებულებით. (დასაბუთების საფუძვლები, არგუმენტები), რომელთა ჭეშმარიტება აღიარებულია ისე, რომ დასამტკიცებელი მათგან გამომდინარეობს, როგორც შედეგი ლოგიკური დასკვნიდან. თუ ასეთი დასაბუთება შეუძლებელი აღმოჩნდება, მაშინ შებრუნებით უნდა მოვიქცეთ, ე. ი. დასაბუთების საფუძვლად მივმართოთ ფაქტებს, რომლებიც გამომდინარეობენ მოცემული თეზისიდან, როგორც მისი კერძო შემთხვევები – ინდუქციური დასაბუთება. ხოლო თუ საქმე ეხება მოცემული თეზისის მხოლოდ სისწორეს ან სიყალბეს და არა ამ ორ თეზისს შორის არჩევანის არარსებობას, მაშინ შეიძლება შემდგომ ვცადოთ დავამტკიცოთ მოცემული თეზისის საპირისპირო ან უარყოფით ის, რაც შემდეგ უარყოფის ან დასაბუთების საფუძვლებს შეადგენს – არაპირდაპირი მტკიცება დასაბუთების საპირისპიროა უარყოფა; ეს იმაში მდგომარეობს, რომ საგნის მიმართ, რომლის შესახებაც რაიმეს ამტკიცებენ, მოჰყავთ ფაქტები,

რომლებიდანაც ეს მტკიცება არ გამოიყვანება.

დასკვნა – ფორმალურად ლოგიკური ხერხი, რომელიც იმით გამოიხატება, რომ რამდენიმე მსჯელობიდან, წანამძღვარებიდან აზრობრივად გამოიყვანება ერთი მსჯელობა – დასკვნა. უმარტივეს შემთხვევაში დასკვნა შედგება ორი წანამძღვრისა და დასკვნისაგან, ასეთ დასკვნას სილოგიზმი ეწოდება. დასკვნა, რომელიც ორზე მეტი წანამძღვრისაგან შედგება, უნდა დაიყოს მთელ რიგ სილოგიზმებად. სილოგიზმში წინადადების სუბიექტს, რომელიც შეადგენს დასკვნას, ეწოდება მცირე ტერმინი, მის შემცველ წანამძღვარს – მცირე წანამძღვარი, დასკვნის პრედიკატს – დიდი ტერმინი, მის შემცველ წანამძღვარს – დიდი წანამძღვარი; ცნებას, რომელიც ორივე წანამძღვარშია, მაგრამ დასკვნაში აღარ არის წარმოდგენილი, საშუალო ტერმინი ეწოდება.

დალუპვის მოლოდინი – “ახლანდელი ფილოსოფიის ისტორიის ლაიტმოტივია აპოკალიფსური დასასრულის იდეა. მსხვრევა,

კატასტროფა, მზის ჩასვენება, მწუხრი, დასასრული – ყველა ეს სიტყვა გვხვდება ნებისმიერ გამოკვლევაში კულტურის ისტორიის საკითხებზე. მათ უკავშირებენ ძველ საზოგადოებრივ წყობას, ძველი მეურნეობის სისტემას, მთელ ღირებულებათა სისტემას ან უფრო ზოგადად, დასავლეთის კულტურას” (ო. ვაიტი) – ამ იდეის ყველაზე ცნობილ გამოხატულებას ვხვდებით ნიცშესთან. მისი ნაშრომის “ძალაუფლების ჟინი” წინასიტყვაობაში: “მთელი ჩვენი დასავლური კულტურა უკვე დიდი ხანია მოძრაობს გაწამებული რაღაც დაძაბულობით, რომელიც სულ უფრო მატულობს ათწლეულიდან ათწლეულამდე, თითქოს კატასტროფისაკენ მიემართება: მოუსვენრად, ძალადობით, მძაფრად იმ ნაკადის მსგავსად, თავისი დასასრულისაკენ რომ ისწრაფვის, დაუფიქრებლად, რადგან დაფიქრება შიშს ჰკვირის.” ა. ვებერს მიაჩნია, რომ მთელი წინა ისტორიის შედეგია დაბრუნება პირველყოფილი ხალხების შიშისაკენ სამყაროსა და არსებობის წინაშე. XVI ს. დამდეგს ულრიხ ფონ გუტენს ჯერ კიდევ შეეძლო განეცხადებინა “ო, საუკუნევ! ო,

მეცნიერებავ! რა სიამოვნებაა იცოცხლო!”, რითაც ამჟღავნებდა პროგრესისადმი რწმენას, რომელმაც შემდეგ დასაყრდენი ჰპოვა აღორძინების ფილოსოფიასა და დიალექტიკური მატერიალიზმის იმანენტურ ოპტიმიზმში. ამ რწმენას დღეს მისდევენ და უნდა მისდიონ ფართო მასებმა, ვინაიდან სრულიად ბუნების საწინააღმდეგოა იცხოვრო მომავლის იმედების გარეშე. ეს იმედები იმ მოსაზრებებს ემყარება, რომ ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ მდგომარეობაში: ბატონობა ბუნებაზე და ტექნიკა წინ უსწრებს ადამიანის მორალურ უნარებს თავის განვითარებაში და ყველა უბედურება არის აქედან წარმოშობილი დაძაბულობის შედეგი. უკვე კანტი ნაშრომში “ყველა ნივთის აღსასრული” ლაპარაკობდა იმის “ბუნებრიობის” შესახებ, რომ ადამიანის მოდგმის, კულტურის, ტალანტების, უნარებისა და გემოვნების პროგრესი წინ უსწრებს მორალურობის განვითარებას”. მაგრამ მას არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ ამ დაძაბულობის კომპენსირება შეიძლება აღზრდით და დედამიწაზე დამყარდეს ახალი ჰარმონია



მატერიალურ და სულიერ ძალებს შორის. სოციოლოგიაში ლაპარაკობენ ჩვენი სოციალური აზროვნებისა და სოციალურ დაწესებულებათა უუნარობაზე – მიჰყვეს მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს.

დეზინტეგრაცია (ლათ. de – იქით და Entegreitio – განახლება, გაფანტვა) – ინტეგრაციის საპირისპირო. დეზინტეგრაციული, გახსნილი, გაყოფილი, გახლეჩილი

დეკადენტობა (ფრანგ. decadence – დაშლა, დაცემა) – ცნება, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება ფილოსოფიის ისტორიაში კულტურებისა და ხალხების, აღმავლობის და დაცემის განხილვისას, (მაგ. მონტესკიეს ნაშრომი “მსჯელობა რომაელების სიდიადისა და დაცემის შესახებ”, 1734). ლაპარაკობენ აგრეთვე დეკადენტობაზე ხელოვნებაში, ლიტერატურაში, პოლიტიკაში და ა. შ. აგრეთვე დეკადენტობაზე ადამიანის ქცევაში, ცხოვრებაზე მის შეხედულებებში და მის დამოკიდებულებაში სამყაროსადმი, ამასთან დეკადენტობის “სიმ-

პტომებს” ჩვეულებრივ უკავშირებენ თვითნებობას.

დემოკრატია – (ბერძ. Demokratia ხალხის ხელისუფლება) – სახელმწიფოს ფორმა, რომლის დროსაც ხალხის უმრავლესობა კატეგორიულად მხარს უჭერს ხელისუფლების მართვის გადაცემას ხალხის ცალკეული წარმომადგენლებისათვის.

დემოკრიტე – ბერძენი ფილოსოფოსი; დაიბ. 460 (აბდერა, თრაკია) გარდ. 371 (იქვე). ატომიზმის ფუძემდებელი. დემოკრიტე ასწავლიდა, რომ უმაღლესი სიკეთეა ნეტარება. ეს არის სულის სიმშვიდე და სილალე, რასაც შეიძლება მივაღწიოთ სურვილების მოთოკვით, ზომიერი ცხოვრების წესით. თვით დემოკრიტეს უკვე ძველად “მომცინარე ფილოსოფოს” უწოდებდნენ. დემოკრიტეს შემორჩენილი თხზულებანი შეკრებილია წიგნში: დილსი, წინასოკრატელების ფრაგმენტები.

დემონსტრაცია (ლათ. Demonstratio მითითება) – დასაბუთება; XVIII საუკუნეში, მაგალითად ვოლფთან და კანტთან, ეს ტერ-



მინი აღნიშნავდა რომელიმე თეზისის დასაბუთებას ზუსტი მეცნიერული ცნებების საშუალებით; ამჟამად იგივეა, რაც პროცესის საგნის თვალსაჩინო ილუსტრაცია (მაგალითად, ექსპერიმენტის გზით); პოლიტიკური აზრით — საზოგადოებრივი მანიფესტაციები;

დემონი (ბერძნ. — ღვთაება) — იდუმალი ძალა, რომელსაც ადამიანი მიაწერს ისეთ მოვლენებს, თვითონ რომ ვერ გაიგებს თავისი ყოველდღიური გამოცდილებით. ჰერაკლიტეს, პლატონის და სტოელების დროიდან დემონი ადამიანში მიჩნეულია მის თავისებურებად, მის საბედისწერო განსაზღვრებად (დემონური). ჰომეროსთან ამ სიტყვით ხშირად აღინიშნება ღვთაება, რომელიც უფრო ზუსტად არ განისაზღვრება, მაგრამ რომლის შესახებ ადამიანი იგებს იდუმალი (არა აუცილებლად ბოროტი) ზემოქმედების მეოხებით ადამიანზე. ბოროტის ავბედის (დემონიტიის) თანაური მნიშვნელობა წარმოიშვა მხოლოდ ქრისტიანობაში და გვიან ანტიკური ჯადოსნობის რწმენაში. “დემონური”, რაღაც იმდენად აუხსნელია მისი ზემოქმედების

თვალსაზრისით, რომ თავზარს სცემს, ხოლო ხშირად დამანგრაველი ძალის როლს ასრულებს. ამ აზრით ლაპარაკობენ ტექნიკის დემონიაზე, ომის ან სახელმწიფოს დემონიაზე, აგრეთვე თანამედროვე ადამიანის დემონიაზე. ამ ადამიანს თითქოს წარმართავენ ზებუნებრივი, უცნობი ძალები უცნობი მიზნისაკენ.

დემპფი ალოიზ — კულტურისა და ისტორიის ფილოსოფიის წარმომადგენელი; დაიბ. 2. I. 1891 (ალტომიუნსტერი); 1933-1938 წლებში — პროფესორი ბონში; ცდილობდა შუასაუკუნეობრივი კათოლიკური ფილოსოფია თანამედროვე კულტურისათვის გამოსადეგად ექცია. ძირითადი ნაწარმოებები: “მსოფლიო ისტორია როგორც საქმე და ერთობა”, 1924; “შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის მთავარი ფორმა”, 1925; “შუა საუკუნეების ეთიკა”, 1927; “კულტურის ფილოსოფია”, 1934; “კირკეგორის მიმდევრები”, 1935; “რელიგიის ფილოსოფია”, 1937; “ქრისტიანული ფილოსოფია”, 1938, 1922; “ფილოსოფიის ეთიკა”, 1949; “თეორიული ანთროპოლოგია”, 1950; “მსოფლიო

იდეები”, 1955; “მეცნიერების ერთიანობა”, 1955; “ისტორიული მეცნიერების კრიტიკა”, 1957.

დეპრესია (ლათ. Depresio – დათრგუნვილობა) – დათრგუნული სულიერი მდგომარეობა; ფსიქოლოგიური აზრით დადარდიანება, სევდიანობა, ნალვლიანობა, რომელიც შეიძლება იყოს ეგზოგენური (როგორც ფსიქიკური რეაქცია, უსიამოვნო დამრთგუნველ განცდაზე) ან ენდომენური (როგორც განწყობილების წახდენა ავადმყოფობის გამო).

დეტერმინიზმი – (ლათ. Determinare – შეზღუდვა). – მოძღვრება იმის შესახებ, რომ დასაბამიდან განსაზღვრულია სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესი, ადამიანის ცხოვრების ყველა პროცესის ჩათვლით ღმერთის მიერ (თეოლოგიური დეტერმინიზმი, ანუ მოძღვრება განგების შესახებ), ან ბუნების მოვლენების (კოსმოლოგიური დეტერმინიზმი), ან ისტორიის (ისტორიული დეტერმინიზმი) და განსაკუთრებით ადამიანთა ნება (ანთროპოლოგიურ-ეთიკური დეტერმინიზმი), რომლის თავისუფლებისათვის, ისევე როგორც

პასუხისმგებლობისათვის, მაშინ ადგილი აღარ რჩება. დეტერმინიზმი შეიძლება გადავიდეს ფაქტალიზმში. საპირისპიროა ინდეტერმინიზმი. დეტერმინიზმსა და ინდეტერმინიზმს შორის არსებობს აგრეთვე გადასვლები, მაგალითად ლუთერის, ცვინბლისა და კანტის მოძღვრებებში: თუ დეტერმინიზმის მოძღვრება ვრცელდება ადამიანის ემპირიულ (ბუნებრივ) მხარეზე, მისი მორალური მხარე იცვლება ინდეტერმინიზმის ნაირსახეობის ობიექტად.

დიალექტიკა (ბერძნული dialektikē [techne] – საუბრის გამართვის ხელოვნება – არგუმენტაციის ხელოვნება, ლოგიკის მეცნიერება. სოკრატესათვის – დიალექტიკა საუბრის ხელოვნება ცნებათა გამორკვევის მიზნით, პლატონისათვის – უმაღლესი მეცნიერება, იდეების შემეცნების მეთოდი, სოფისტებთან დიალექტიკა იქცა ინტელექტუალურ იარაღად არსებობისათვის ბრძოლაში. შუა საუკუნეებიდან – XVIII ს. დიალექტიკა იხმარებოდა ჩვეულებრივი (სასკოლო) ლოგიკის აღსანიშნავად.

დიალოგი (ბერძნ. dialogos საუბარი) – ლაპარაკი. ანტიკურ ფილოსოფიაში – ლიტერატურული ფორმა, რომელიც იხმარებოდა პრობლემების გადმოსაცემად დიალექტიკის შემწეობით. სათავეს იღებს სოფისტებთან. სოკრატემ და მისმა მოწაფეებმა, განსაკუთრებით პლატონმა აიყვანეს სრულყოფის მაღალ საფეხურზე. პლატონის “დიალოგებში” – აისახება მასწავლებლის, – სოკრატეს სწავლების მეთოდი.

დიდაქტიკა (ბერძნ. didaktike [techne] – სწავლების ხელოვნება ანუ მეცნიერება) – სწავლების თეორია, რომლის განვითარებას – მეცნიერების სხვადასხვა დარგში მისი გამოყენების დიფერენცირება მოჰყვა.

დილემა (ბერძნ. ὀρθογώνιος) – მტანჯველი მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ის, ვინც უნდა გააკეთოს ან ვალდებულია გააკეთოს არჩევანი ორ ერთნაირად არასასიამოვნო რაიმეს შორის.

დინამიზმი – შეხედულება სამყაროსა და ბუნებაზე, რომლის თანახმად მთელი სამყარო

გვევლინება, როგორც ძალთა და მოძრაობათა თამაში (ან წარმოიშვება მათგან).

დინამიკა (ბერძნ. dynamike [episteme]) – მოძვრება ძალებისა და მათ მიერ გამოწვეულ მოძრაობათა შესახებ. არისტოტელესთან dynamik – ეწოდება მოქმედების პოტენციას (შესაძლებლობას), რომელსაც შეიცავს ძალა (ლატენტური ძალა), ენერჯის ანუ ენტელეხისაგან განსხვავებით, აქტიური, ფაქტიურად მოქმედი ძალა.

დინამიკური – ძალისმიერი, წარმოშობით მოძრაობის კუთვნილი, დინამიზმის – შესაბამისი, მაგალითად, დინამიკური მსოფლმხედველობა. დინამიკას მოიაზრებენ, როგორც ფიზიკის შესატყვისი დისციპლინის სახელს. ო. კონტი ლაპარაკობს სოციალური სტატიკისა და დინამიკის შესახებ.

დისონანსი (ლათ. dissonus სხვადასხვახმიანი, შეუწყობელი) – არაკითილხმიანობა, განხეთქილება, უთანხმოება.

დისციპლინა (ლათ. disciplina, აღზრდა) – სასწავლო საგანი,

მეცნიერების ან რამდენიმე მეცნიერების დარგი.

დიფერენციაცია (ლათ. differentia – განსხვავება) – სხვადასხვა მომენტის გამოყოფა ერთიანი პრინციპის მიხედვით, ერთი ამოსავალი წერტილის საფუძველზე.

დრო – სამყაროსა და ყოველივე მისი კუთვნილის წარმოშობის, ქმნადობის, მიმდინარეობის, ნგრევის ფორმა. “ობიექტური” დრო, რომელიც იზომება ციურ სხეულთა გზების მონაკვეთებით, უნდა განვასხვაოთ “სუბიექტური” დროისაგან, რომელიც ემყარება დროის ცნობიერებას. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია განცდათა შინაარსზე და უმთავრესად რაიმეს გაკეთების, განცდის შესაძლებლობაა. გამოთქმა “მე ამის დრო არა მაქვს”, ნიშნავს, რომ “ჩემსკენ მავალი, ე. ი. მომავალი, ქმნის “დროში შეკავშირებულ” მოქმედებათა, განცდათა უწყვეტ ჯაჭვს. იგი ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ამ დროის მდინარეებაში ჩემთვის შეუძლებელია “გადავწიო” ერთ-ერთი ეს წევრი წინ ან უკან, ისე რომ “განვახორციელო შემდეგი მოქმედება. გამოთქმა “ჯერ აღ-

რეა” – ნიშნავს რომ ჯერ დრო არ დამდგარა (შესაძლებლობა ჯერ არ არის); “უკვე გვიანაა” – რომ აღარ არის შესაძლებლობა. მხოლოდ “ახლა” არის “დრო და შესაძლებლობა”. “ახლა” იმყოფება “ჯერ აღრეას” და “უკვე გვიანაას” შორის და უნდა აღვიქვათ, შევნიშნოთ, ჩავწვდეთ, რათა საერთოდ შევძლოთ რაიმეს გაკეთება. მომავალი, აწმყო, წარსული არის აბსტრაქციები დროის ამ ბუნებრივი ცნებიდან, რომლებშიც ნაწილაკები “ჯერ” და “უკვე” წარმოადგენენ არსებობის, როგორც ზრუნვის ხასიათის გამოხატვის ნიშნებს. ამასთან მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ადამიანის ასაკის მომატებასთან ერთად ჯერ კიდევ არსებული შესაძლებლობანი სულ უფრო ნაკლებ ადგილს ტოვებენ მოქმედებისათვის, ვინაიდან ადამიანი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული წარსულ მოვლენებზე (“ადამიანი ატარებს წარსულის ტვირთს”). ამრიგად, მომავალს სულ უფრო მეტად მსჭვალავს წარსული და ამიტომ სიცოცხლეს, რომლის მომავალი მხოლოდ წარსულისაგან შესდგება, უმომავლო ცხოვრება ეწოდება. ამაში იგულისხმება წარსულის

სიმძიმით დათრგუნვილი, უაზროდ ქცეული არსებობა. ჰაიდეგერი, სარტრი, ფოლკელტი და სხვები დროს რეალისტურად განიხილვენ. ჰაიდეგერის მიხედვით, დრო არ არსებობს, იგი არ არის არც სუბიექტში, არც ობიექტში, არც “შიგნით”, არც “გარეთ”, იგი არის ყოველ სუბიექტურსა და ობიექტურზე ადრე, ვინაიდან იგი თვით ამ “ადრეს” შესაძლებლობის პირობაა. დიდ როლს, როგორც ამას უკვე ავგუსტინე და ლაიბნიცი აღნიშნავდნენ, ასრულებს დრო, როგორც ადამიანის არსებობის წესი, რომელშიც მან აუცილებლად უნდა განიცადოს წარსული, აწმყო და მომავალი, ამიტომ დრო შეიძლება განვიხილოთ როგორც ადამიანის ყოფიერების აუცილებელი წანამძღვარი. კანტის მიხედვით დრო არის საერთოდ ყველა მოვლენის ფორმალური აპრიორული პირობა. თანამედროვე ფიზიკას მიაჩნია, რომ ობიექტური დრო არ არსებობს, ხოლო ის, რაც ასეთად მიაჩნიათ, სინამდვილეში მხოლოდ კოორდინანტია ოთხგანზომილებიან კონტინუუმში. ე. წ. ისტორიის ეპოქა მოიცავს დაახლოებით ექვსი ათას წელს. წინაისტორიული დროისა – რამ-

დენიმე ასეულ ათასწლეულს; გეოლოგიური დროისა – რამდენიმე მილიარდ წელიწადს; კოსმოსური დრო უსასრულოა.

- ე -

ევდემონიზმი – ეთიკა, რომელსაც ნეტარება, ბედნიერება მიაჩნია ყველა მისწრაფების მოტივად და მიზნად. ევდემონიზმს მისდევდნენ განსაკუთრებით ბერძნები. მათი აზრით, ბედნიერი და ამავე დროს კეთილია ადამიანი, რომლის სხეულებრივი და სულიერი უნარები შეიძლება დაუბრკოლებლად განვითარდეს, რომელიც ამ უნარების ყოფელმხრივი ვარჯიშით სიამოვნებას ანიჭებს თავის თავსაც და სხვებსაც, ისე რომ უზრუნველყოფილი აქვს თანამედროვეთა პატივისცემა და შთამომავალთა ხსოვნა. ევდემონიზმის წარმომადგენლები არიან სოკრატე, ეპიკურე, სპინოზა, ფოიერბახი, ლაიბნიცი და სხვ. ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული სოციალური ევდემონიზმი, რომელიც ესწრაფვის რაც შეიძლება მეტ ბედნიერებას რაც

შეიძლება მეტი ადამიანისათვის. ცალკეული ინდივიდის ყველა სათნოებას აზრი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ემსახურებიან ამ მიზანს. სახელმწიფო, ყველა მისი ინსტიტუტი, ღონისძიება და კანონი აგრეთვე ამ უმაღლესი მიზნის მიღწევის საშუალებაა. ევდემონიზმი იქცა სოციალურ ევდემონიზმად.

ევოლუცია (ლათ. *evolucio* – განვითარება); პროგრესი, ევოლუციონიზმი – მსოფლმხედველობა, რომელიც ყველაფერს განიხილავს განვითარების თვალსაზრისით.

ევრიკა (ბერძ.) – “ვიპოვე“, თითქოს ასე წამოიძახა არქიმედემ, როცა ბანაობის დროს აღმოაჩინა ჰიდროსტატიკური კანონი, რომლის თანახმად სითხეში ჩაშვებული სხეული კარგავს იმდენ წონას, რამდენსაც იწონის მის მიერ განდევნილი სითხე.

ევსებია (ბერძნ.) – ვალდებულებათა მოხდა ღმერთების წინაშე; ღვთის მოშიშობა, ღვთისმოსაობა;

ევჰემერი – ბერძენი ფილოსოფოსი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა IV-III ს.-ში ჩვენს ერამდე,

კირენიელთა სკოლის წარმომადგენელი. ცნობილია თავისი მოძღვრებით (რომელიც მოგვიანებით რელიგიის ისტორიაში შევიდა, როგორც ევჰემერიზმი) იმის შესახებ, რომ ღმერთები უძველესი დროიდან ძლიერი, გამოჩენილი ადამიანები არიან, რომელთა იდეალიზაცია შემდგომ მოახდინა ხალხმა.

ეთიკა (ბერძნ. *ta ethika* – მოძღვრება ზნეობის შესახებ) – პრაქტიკული ფილოსოფია, ვინაიდან იგი ცდილობს უპასუხოს კითხვაზე: რა უნდა ვაკეთოთ? ეთიკა გვასწავლის შევაფასოთ ყოველგვარი სიტუაცია, რათა შესაძლებელი იყოს ეთიკურად (ზნეობრივად) სწორი ქცევები. იგი ადამიანში ნერგავს მოწოდებას დაასრულოს სამყარო. არსებულ სამეფოზე იმის დაშენებით, რაც ჯერ არს. ეთიკა იკვლევს, ცხოვრებასა და სამყაროში რასა აქვს ღირებულება, ვინაიდან ეთიკური ქცევა ეთიკურ ღირებულებათა განხორციელებაა. ეს ღირებულებანი უნდა ვეძიოთ როგორც ყველა სიტუაციაში, ისე პიროვნებებშიც. თნამედროვე ადამიანის ცხოვრებაში ეთიკური შეხედულებანი და

მრწამსი ძნელად პოულობენ ადგილს. თანამედროვე ადამიანი გაოგნებულია და მუდამ იჩქარის. ეთიკურმა ადამიანმა, პირიქით, იცის ღირებულებათა ყადრი, იგი ბრძენია, აქვს დახვეწილი გემოვნება, საღი ორგანო სიცოცხლის ღირებულებათა აღსაქმელად.

ენტუზიაზმი (ბერძნ. ღმერთით აღვსება, ექსტაზი) – აღფრთოვანება მგზნებარე გატაცება იდეით, იდეალით. დიდი სულიერი აღმაველობა, რომელიც გამოხატავს სწრაფვას უფრო ზოგადი და მაღალი, განსაკუთრებით რელიგიური, ეთიკური ან ესთეტიკური ღირებულებებისაკენ. “ძალების იდეების გავლენით, როცა ადამიანს “ესხმება ფრთები“. ეს აგზნება უფრო ძლიერია, უფრო ქმედითია და უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე ჩვეულებრივ გრძნობადი წარმოდგენით გამოწვეული აგზნება“ (კანტი). XIX ს. შეინიშნება ენთუზიაზმის მზარდი გაუფასურება, და მას მხოლოდ იდეოლოგიურად ორგანიზებულ ერთობებში აქვს კიდევ ადგილი

ენტელეხია (ბერძნ. en – ში, telos – მიზანი და echein – ქონა.

ის, რასაც მიზანი აქვს თავის თავში) – ასე უწოდებდა არისტოტელე ფორმას, რომელიც ხორციელდება ნივთიერებაში, აქტიური საწყისი, რომელიც ჯერ შესაძლებლობას აქცევს სინამდვილედ, ხოლო ამ უკანასკნელს შესაძლებლობის არსებობა მიჰყავს დასრულებამდე, ენტელეხიას, როგორც აქტუალურ მოქმედებას, არისტოტელე ენერგიასაც უწოდებდა

ეონი (ბერძნ. aion – სიცოცხლე) დროის ძალიან ხანგრძლივი პერიოდი, მარადისობა, სამყაროს განვითარების პერიოდი; დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ბუნიობის წერტილი მთელ ზოდიაქოს გადის, ე. ი. იგი უდრის 26 000 წელიწადს.

ეპიკურე – ბერძენი ფილოსოფოსი; დაიბ. 342/41 წელს ჩვენს ერამდე (სამოსი) – გარდ. 271/70 წელს ჩვენს ერამდე; იყო მის მიერვე ჩვენს ერამდე 306 წელს დაარსებული ფილოსოფიური სკოლის მეთაური. მას პრაქტიკული ცხოვრების სახელმძღვანელოს, ეთიკის შექმნა უნდოდა; ამისათვის იყენებდა ფიზიკას, მისი დაფუძნებისათვის კი ლოგიკას. ეპიკურეს

მოძღვრება ბუნებაზე არსებითად დემოკრატიული მოძღვრებაა: უსასრულო რაოდენობის სპონტანურად გნვითარებადი სამყაროები, რომლებიც წარმოადგენენ ატომების თავმოყრას და დაშლას, ავსებენ ცარიელ სივრცეს და მათ გარდა არაფერი არ არსებობს. ამ სამყაროთა შორის სივრცეში (სამყაროთაშორისეთში) ბინადრობენ ღმერთები მარადიულად და ნეტარად. ამგვარადვე წარმოიშობიან და ქრებიან ცოცხალი არსებანი, აგრეთვე სული, რომელიც შედგება უნაზესი, უმჩატესი, მრგვალი და მოძრავი ატომებისაგან. ბუნების შემეცნება თვითმიზანი როდია, იგი ადამიანს ათავისუფლებს ცრურწმენათა შიშისა და საერთოდ რელიგიისაგან, აგრეთვე სიკვდილის შიშისაგან. ეს განთავისუფლება აუცილებელია ადამიანის ბედნიერებისა და ნეტარებისათვის, რომელთა არსებაა სიამოვნება, მაგრამ ეს უბრალო გრძნობადი სიამოვნება კი არ არის, არამედ სულიერი, თუმცა საერთოდ ყოველგვარი სიამოვნება თავისთავად არ არის ცუდი: მაგრამ სულიერი სიამოვნება უფრო მყარია, ვინაიდან იგი დამოკი-

ლებული არ არის გარეგან დაბრკოლებებზე. გონების ღვთიური მადლის მეოხებით, რისთვისაც ღმერთი არავითარ სარგებლობას არ მოითხოვს, უნდა დამყარდეს მისწრაფებათა თანხმობა (სიმეტრია), როგორც სიამოვნების პირობა, რის შედეგადაც ამავე დროს მიიღწევა სიმშვიდე და უშფოთველობა (აბსტრაქცია), რომელსაც არ არღვევენ უსიამოვნო განცდები და რომელიც ჭეშმარიტი ღვთისმოსაობაა. საზოგადოებრიობას (განსაკუთრებით სახელმწიფოსა და კულტს) ბრძენი მეგობრულად, მაგრამ თავშეკავებით უნდა ეკიდებოდეს. ეპიკურეს დევიზია: იცხოვრე განმარტოებით! 300 ნაწარმოებიდან, რომლებიც, როგორც ვარაუდობდნენ, ეპიკურემ დაწერა, შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები.

ეპიკურეზმი – ეპიკურეს და მის მიმდევართა მოძღვრება და ცხოვრების წესი. ეპიკურელებს უწოდებენ იმათ, ვინც უყოყმანოდ უპირატესობას ანიჭებს ცხოვრების მატერიალურ სიხარულს.

ეპოქა (ბერძ. გაჩერების აღგილი) – დროის წერტილი, რომლიდანაც იწყება ახალი განვითა-

რება ან დროის გარკვეული მონაკვეთი. ეპოქალური, ანუ ეპოქის შემქმნელი, ეწოდება მოვლენებს ან პიროვნებებს, რომლებიც იწყებენ მნიშვნელოვან ეპოქას. გაბატონებული იდეების ძალთა დროით განსაზღვრული (შემოსაზღვრული) ველი.

(ბერძ. epoche – შეკავება, თავის თავის დაუფლება) – თავშეკავება მსჯელობისაგან ანტიკური სტოიკოს, ხოლო შემდეგ სტოელების (განსაკუთრებით, სექსტ ემპირიკოსის ძირითადი ცნება. ფენომენოლოგიურ მეთოდში ეპოქა (ისტორიული ეპოქა) არის აზროვნების მსვლელობაში საგნის შესახებ მიღებული ყველა შეხედულების უკუგდება იმ მიზნით, რომ მისაწვდომი გახდეს ამ საგნის არსება.

ერაზმ დეზიდერიუს როტერდამელი – ნამდვილი გვარ-სახელი გერჰარდ გერჰარდსი – გამოჩენილი ჰუმანისტი; დაიბ. 28. XI. 1466 წ. (ყველაზე უფრო სავარაუდოა, მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე 1465 ან 1469) (როტერდამი) – გარდ. 17. VII. 1536. (ბაბელი). “XVI საუკუნის ვოლტერი” (დილთაი); თომას მორის მეგობარი;

დაკავშირებული იყო პლატონიკოსების ფლორენციის აკადემიასთან. იცავდა რჯულშემწყნარებლობას და პოლემიკაში, რომელიც მიმდინარეობდა რეფორმაციის საკითხზე, იღვა პარტიების გარეთ. “ადამიანის გულგრილობა ღმერთის მიერ მის განსაზღვრულობაში, აღტაცება, რომელიც შესაძლებლობას უსპობს ადამიანს ისარგებლოს მიწიერი სამყაროთი და ქვეყნის გარყვნილების მიხედვით აქცევს ღმერთის სრულ განკარგულებაში, – აი ის, რასაც ერაზმ როტერდამელი უწოდებს ლუთერის მიერ შემოღებულ “სიახლეს“. იგი აგრეთვე ჩივის: “იმას, რასაც მე თავშეკავებულად ვამბობ და მის მნიშვნელობას მხოლოდ გარკვეულ შემთხვევას მივაწერ, ლუთერი პირწმინდად ყველაფერზე ავრცელებს“. ბიბლიის შედარებით ანტიკური კლასიკოსების ნაწარმოებებთან (განსაკუთრებით სოკრატესა და პლატონის ნაწარმოებებთან) ერაზმ როტერდამელს სურდა მოეცვა “უნივერსალური გამოცხადება“, “წმინდა სახარება“, “ქრისტიანული ფილოსოფია“ და, ამრიგად, თეოლოგიური რაციონალიზმის ფუძემდებელია. განათლების მისი იდეალი იყო ესთეტიკური,

მორალური და რელიგიური ინდივიდუალიზმი.

ერთობა – მეტაფიზიკური აზრით ერთობლივი ყოფიერების ან ურთიერთმოქმედების კატეგორია – (ლათ. commercium), გვხვდება უკვე ლაიბნიცთან და კანტთან; სოციოლოგიური აზრით – ეს არის იმ ადამიანთა ჯგუფის ბუნებრივი (ორგანული) ერთობლივი ცხოვრება, რომლებსაც აკავშირებთ საერთო წარმოშობა, მსგავსი შეხედულებანი, ერთნაირი ბედი და მისწრაფებანი, საზოგადოების საპირისპიროდ, რომელსაც აქვს რაციონალური ორგანიზაცია, გარკვეული მიზანი. საზოგადოებას და ერთობას განასხვავებდა ტოენიესი. ტიპიური ერთობაა ოჯახი და ხალხი; ოჯახი როგორც სიყვარულის, ქონების და ბედის ერთობა, ხალხი როგორც საერთო გონის მატარებელი, როგორც ენის, კულტურისა და ბედის ერთობა.

ერი (ლათ. natio – ხალხი, ტომი) – ხალხი, რომელიც ისტორიულ, უმეტესწილად აგრეთვე ენობრივად და აზრობრივად შეკავშირების ერთიანობას წარმოადგენს, რომელსაც ჰყავს თავისზე დამო-

კიდებული მთავრობა და თავის განკარგულებაში აქვს ტერიტორია, რომლის საზღვრებსაც მეტნაკლებად პატივს სცემენ სხვა ერები (სახელმწიფოში ორგანიზებული ხალხი). ერი შეიძლება წარმოქმნას რამდენიმე ხალხმა ან სხვადასხვა ხალხის ნაწილებმა; მაგალითად: დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია;

ერისტიკა (ბერძნ. *eristike* [techne]) – დავის ხელოვნება, დისპუტების წარმოების ხელოვნება, გონებრივი ფარიკაობის ხელოვნება, რომელიც წესებს ემორჩილება“ – (შოპენჰაუერი).

ესთეტიკა (ბერძნ. *aistetiko* [episteme]) – მეცნიერება, რომელიც ეხება გრძნობების სფეროს) – მოძღვრება მშვენიერის შესახებ; უფრო ზოგადი გაგებით – ესთეტიკურად მნიშვნელოვანისა და მისი სინამდვილის (რომელიც უნდა გავიგოთ არა როგორც რაღაც უსეშად ნივთიერი, არამედ როგორც “ესთეტიკური ჩვენება“), მისი კანონებისა და ნორმების შესახებ (ცოცხალი ფორმა, შინაარსის გრძნობადი სისრულე, ჰარმონიული დანაწევრება, მნიშვნელოვანი, ყოველ შემთხვევაში

გაკეთილიშობილებული შინაარსი და ა.შ.), მისი ფორმებისა და ტიპების (მშვენიერის გარდა – ამაღლებული, გრაციოზული, ტრაგიკული, კომიკური, სახასიათო, იდილიური და ა. შ.), ბუნებისა და ხელოვნებისადმი მისი დამოკიდებულებას, მისი წარმოშობისა და როლის შესახებ მხატვრულ შემოქმედებასა და ტკობაში. ესთეტიკის მკვლევარების ფილოსოფიური შეხედულებებისა და მეთოდოლოგიური მიზანდასახულობის მიხედვით განასხვავებენ ემპირიულ, ფსიქოლოგიურ, ფორმალურ, ნორმატიულ და სპეკულაციურ ესთეტიკას. ძველად მეცნიერები ცდილობდნენ აგრეთვე გადაეწყვიტათ ესთეტიკის სფეროში შემავალი საკითხებიც; პლატონი (ესთეტიკურში მშვენიერის, კეთილის, გონიერისა და სიყვარულის ერთიანობის იდეა), არისტოტელე (მოძღვრება დრამისა და ეფექტებზე მისი გამაკეთილიშობილებელი გავლენის შესახებ), უფრო ადრე პითაგორელები (რიცხვებში გამოხატული ჰარმონია როგორც მშვენიერის ძირითადი კანონი), მოგვიანებით ეს იდეები თუკი განავითარეს, მხოლოდ ნეოპლატონიკოსებმა (პლატონი თავის

ტრაქტატში მშვენიერის შესახებ წერდა, რომ სილამაზე არის ნივთთა შინაგანი ღვთაებრივ-გონითი ჰარმონია). შუა საუკუნეობრივ ეპოქაში ესთეტიკა თითქმის სრულიად არ განვითარებულა. ჰუმანიზმისა და აღორძინების ეპოქამ, აგრეთვე ფრანგმა კლასიკოსებმა აღორძინეს და განავითარეს ანტიკური ესთეტიკა. ინგლისში XVII და XVIII საუკუნეებში წარმოიშვა ესთეტიკის ფსიქოლოგიური მიმართულება; გერმანიაში XVIII საუკუნეში ესთეტიკამ პირველად ჰპოვა თავისი ზუსტი განსაზღვრება შესაბამის ცნებებში. (ბაუმგარტენის ესთეტიკა როგორც მშვენიერის შესახებ აზროვნების ხელოვნება, ზულცერის მშვენიერის ფორმის ესთეტიკა, კანტის ესთეტიკა როგორც მოძღვრება სულის ესთეტიკური მდგომარეობის შესახებ), დიდი პოეტების (ვინკელმანის, კლოპშტოკის, ლესინგის, ჰამანის, ჰერდერის, გოეთეს, შილერის) ესთეტიკური შეხედულებანი, მათი შემოქმედება აგრეთვე ხელს უწყობდა ესთეტიკის განვითარებას; ორივე ესთეტიკის სინთეზს მიზნად ისახავდა XIX საუკუნის გერმანული იდეალიზმის ესთეტიკა

(შელინგი, ჰეგელი, რომანტიკოსები, შოპენჰაუერი, მოგვიანებით ფ. თ. ფიშერი). ფეხნერი და რ. ციმერმანი ავითარებდნენ ესთეტიკას როგორც მოძღვრებას ფორმის შესახებ, თ. ლიფსი — როგორც გამოყენებითი ფსიქოლოგიის ერთ-ერთ დარგს. ამჟამად ესთეტიკური განცდა ესმით როგორც ღირებულების განცდა და განიხილება ღირებულების ფილოსოფიის ფარგლებში.

ესთეტიკური (ბერძნ. *aisthetos* გრძნობადად აღქმადი) — გრძნობადი ჭკრეტიზატვის მისაწვდომი; გემოვნებით შესრულებადი, მხატვრული, ის რაც მშვენიერს მიეკუთვნება (ან მის დაპირისპირებულს), ის, რასაც ნიმუშად, მშვენიერი აქვს.

ექსპერიმენტი (ლათ. შემოწმება, ცდა) — გეგმაზომიერად ჩატარებული დაკვირვება; პირობების გეგმაზომიერი იზოლაცია, კომბინაცია და ვარიაციების შექმნა მათზე დამოკიდებული მოვლენების შესწავლის მიზნით. ამით ადამიანი ქმნის დაკვირვებათა შესაძლებლობას, რომელთა საფუძველზე ყალიბდება მისი ცოდნა დასაკვირ-

ვებელი მოვლენის კანონზომიერებათა შესახებ. ექსპერიმენტი თანამედროვე აზრით გალილეისა და ფრ. ბეკონის დროიდან კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ექვი — დაურწმუნებლობის, გაუბეჯდაობის, ყოყმანის მდგომარეობის თაობაზე, თუ რა უნდა მივიჩნიოთ ჭეშმარიტად ან სწორად (თეორიული, ზნეობრივი, რელიგიური ეჭვი). ეჭვს შეიძლება ჰქონდეს მეთოდური მნიშვნელობა და იყოს შემეცნების წინასწარი საფეხური, როგორც ეს არის ავგუსტინესთან და დეკარტთან.

- 3 -

ვარაუდი — ლოგიკაში — დებულება, რომელიც დროებით საპირისპირო დასაბუთებამდე, სწორად ითვლება.

ვებური აღფრედ — სოციოლოგი დაიბ. 30. VII. 1868 (ერფურტი) — გარდ. V. 1958 (იქვე). 1904 წლიდან პროფესორი ჰაიდელბერგში. სოციოლოგიას აერთიანებს სტრუქტურალისტურ მოძღვრე-

ბასთან ისტორიულ მეცნიერებაში. ვებერის კულტურის სოციოლოგიაში ნაჩვენებია, რომ ყოველგვარი დიდი კულტურის ჭეშმარიტი სფუძველია სოციალური ორგანიზაციის გარკვეული, დამახასიათებელი ტიპი, აგრეთვე აღწერილია ამ ტიპების განვითარების ისტორიული საფეხურები. მისი სოციოლოგია გვაძლევს ახალ საშუალებას ჩავწვდეთ ისტორიის საზოგადოებრივ სინამდვილეს. ძირითადი ნაწარმოებებია: “კულტურის ისტორია როგორც კულტურის სოციოლოგია“, 1943, “ისტორიის სოციოლოგიისა და კულტურის სოციოლოგიის პრინციპები“, 1951.

ვებერი მაქს – პოლიტიკონომი, სოციოლოგი და პოლიტიკოსი; დაიბ. 21. IV. 1886 (ერფურტი) – გარდ. 14. VI. 1920 (მიუნხენი); 1894-1897 წწ. პროფესორი ფრაიბურგში. შემდეგ, ჰაიდელბერგში, 1919-1920 წ. მიუნხენში. რელიგიის სოციოლოგიის ფუძემდებელი. ესწრაფოდა სოციალური მეცნიერებანი აეყვანა ზუსტი მეცნიერების დონეზე, ამოწმებდა მათ მეთოდებს და ისინი მიაჩნდა მხოლოდ და მხოლოდ აღწერილო-

ბით მეცნიერებებად. ცდილობდა ზუსტად გაემიჯნა ცდისეული ცოდნა და შეფასებითი მსჯელობა, ცალმხრივი, კერძო შემეცნება და ტოტალური წვდომა, ემპირიული სინამდვილე და ყოფიერების არსება. აღწერილობითი სოციოლოგია, ვებერის აზრით, არის “მეცნიერება რომელსაც სურს სოციალური მოქმედების მნიშვნელობა გაიგოს და ამით მისი მიმდინარეობა და შედეგები მიზეზობრივად ახსნას“. ძირითადი ნაწარმოებია: “მეცნიერება, როგორც პროფესია“, 1917, “მეურნეობა და საზოგადოება“, 1921 “სოციოლოგიისა და სოციალ-პოლიტიკის საკითხებზე თხზულებათა სრული კრებული“, 1924 და სხვა.

ვიკო ჯამბატისტა – იტალიელი ფილოსოფოსი; დაიბ. 23. VI. 1668 (ნეაპოლი) – გარდ. 23. I. 1744 (იქვე). ისტორიის ფილოსოფიის და ხალხთა ფსიქოლოგიის შემქმნელი. “იგი ადრევე გრძნობდა მთელ ეთნოლოგიასა და სამართლის საყოველთაო ისტორიას“ (ი. კოლერი). მან შემოიტანა ისტორიულ მეცნიერებაში შედარებითი კომპარატიული მეთოდი და

მიაჩნდა, რომ ყველა ხალხი ვითარდება პარალელურად, ამასთან გადის განვითარების ღვთაებრივ გმირულ და ადამიანურ, სტადიებს, არ სცნობდა კარტეზიანელობას. ძირითადი ნაწარმოებებია “ახალი მეცნიერების საფუძვლები ერების საერთო ბუნების შესახებ”, 1725, “განათლების არსებისა და გზის შესახებ”.

ვერიფიკაცია (ლათ. veripicatio — დასაბუთება) — დადასტურება, ვარაუდი, ჰიპოთეზა, შეიძლება ვერიფიცირებული იქნეს, ე. ი. მისი ჭეშმარიტება შეიძლება დამტკიცდეს როგორც ცდის დახმარებით, ისე ლოგიკური დასაბუთებით.

ვიზე ლეოპოლდ — სოციოლოგი; დაიბ. 2. XII. 1876 (გლადცი); პროფესორი კელნში (1919 წლიდან); ურთიერთობათა შესახებ სოციოლოგიური მოძღვრების შემქმნელი, ემყარებოდა შემდეგ დებულებებს: 1) სოციალური ანუ ადამიანთაშორისი არის ადამიანთა შორის ურთიერთობათა დახლართული ქსელი, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს სოციალუ-

რი პროცესების შედეგს; 2) ადამიანთაშორისი ურთიერთობიდან მომდინარეობს ყველაფერი, რასაც ჩვენ კულტურას ვუწოდებთ, ამ სიტყვის უფართოესი აზრით, 3) განცდაში — სოციალური მჭიდროდ უკავშირდება ადამიანთა სულსა და სხეულს. ძირითადი ნაწარმოებები: “ზოგადი სოციოლოგიის სისტემა“, 2 ნაწილი, 1924-1929, 1955; “სოციალური პოლიტიკის შესავალი“, 1910, 1921, “სახელმწიფო სოციალიზმი, 1916; “ლიბერალიზმი წარსულსა და მომავალში“, 1917; “სოციოლოგია, ისტორია და მთავარი პრობლემები“, 1926, 1954, “ურთიერთობათა სოციოლოგია“, 1931, 1940; “ეთიკა ადამიანის შესახებ მეცნიერებასა და საზოგადოებაში“, 1951; “გერმანული სოციოლოგიის მდგომარეობა“, 1952; “სოციალურ, ცხოვრებასა და აზროვნებაში“, 1956; “მოგონებანი“, 1958.

ვიზუალური (ლათ. visum — ხილული) — უბრალო თვალთ დანახული; მეხსიერება და ფანტაზია ვიზუალურია, თუ ისინი უმთავრესად წარმოსახვენ იმას, რაც მხედველობისათვისაა მისაწვდომი.

ვოლტერი ფრანსუა მარი – ფრანგული განმანათლებლობის ეპოქის დიდად სახელგანთქმული მწერალი და ფილოსოფოსი; დაიბ. 21. XI. 1694 (პარიზში) – გარდ. 30. V. 1778 (იქვე). 1750-1752 წწ. იყო ფრიდრიხ II-ის კარზე, 1758 წლიდან ცხოვრობდა თავის მამულ ფერნეში (ჟენევის ახლოს). განიცდიდა ინგლისური განმანათლებლობის ფილოსოფიის გავლენას. მიაჩნდა, რომ ტრანსცენდენტურის შემეცნება შეუძლებელია, და განსაკურებით თავგამოდებით ებრძოდა ეკლესიას მისი დოგმატიზმისათვის. რუსოს საპირისპიროდ, ყოველთვის ხაზს უსვამდა კულტურის ღირებულებას და თავის მთავარ ისტორიულ თხზულებაში “ხალხთა ზნეობისა და სულის შესახებ” კაცობრიობის ისტორია წარმოსახა როგორც ადამიანის ბრძოლის ისტორია პროგრესისა და განათლებისათვის, შემოიტანა მეცნიერებაში გამოთქმა “ისტორიის ფილოსოფია.” მისი სატირული რომანი “კანდიდი” (1759) მიმართულია სულის

უკვდავების იდეისა და ლაიბნიცის ოპტიმიზმის წინააღმდეგ.

ვოლუნტარიზმი – (ბერძ. voluntars – ნება) – მეტაფიზიკის და ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც ფსიქოლოგიური მხრივ ფსიქიკური ცხოვრების მთავარ ფუნქციად, ხოლო მეტაფიზიკური მხრივ ძირითად პრინციპად მიაჩნია არა ინტელექტი, არამედ ნება. ტერმინი ვოლუნტარიზმი შემოიტანა ტენიესმა (1883). ვოლუნტარიზმის კლასიკური წარმომადგენელია შოპენჰაუერი, რომელისთვისაც ნება მთელი სინამდვილის ძირითადი პრინციპია. ვოლუნტარიზმის ელემენტები უკვე იყო სტოელებთან, ავგუსტინესთან, დ. სკოტთან (“ნება, აზროვნებაზე მაღლა დგას”). ე. ჰარტმანის თანახმად, ნება ყველაფერშია და ყველგან მოქმედებს არაცნობიერად, ატომები ნების ერთეულებია; ნიცშე ყოველივე ცოცხალში ძალაუფლებისკენ სწრაფვის ნებას ხედავდა.

- ზ -

ზარათუსტრა – (ზოროასტრი), ცხოვრობდა ჩვენს ერამდე VI საუკუნის შუა ხანებში; რელიგიის დამაარსებელი ძველ ირანში. თავდაპირველად მასში თაყვანს სცემდნენ აჰურამზადას (ორმუზდს) – კეთილ სულს, რომელსაც შემდგომ დაუპირისპირდა ბოროტი სული ანჰრა-მაინუ (არიმანი). პირველის მხარესაა ექვსი კეთილი სული (გენია) – სიმართლე, კეთილგონიერება, სიბრძნე, ძალაუფლება, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, არიმანის მხარეზე კი – მრისხანება და სიცრუე – ადამიანის ამოცანაა დაეხმაროს აჰურამზადას ანჰრა-მაინუს წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიცშემ ზარათუსტრას სახელი უწოდა თავის ცნობილ წიგნს, ვინაიდან მან (ზარათუსტრამ) პირველად დაინახა “კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში საგანთა მოძრაობის ნამდვილი მიზეზი”.

ზიზღი – არასასურველობის უმაღლესი ხარისხი, რომელიც ხშირად დაკავშირებულია გარკვე-

ულ ფიზიოლოგიურ მოვლენებთან. (მაგ გულისრევასთან).

ზნეობა – ზნეობრივის, ე. ი. იმის არსება, რაც “კეთილია“. ზნეობრივი გრძნობა, კანტის მიხედვით, არის “საერთო ნებაზე კერძო ნების ერთგვარი დამოკიდებულების შეგრძნება“

ზნეობის კანონი – მორალური კანონი. წესი – აკეთოს სიკეთე და არ აკეთოს ბოროტება, რომელიც სამყაროს მორალური წესრიგისაკენ ადამიანის სწრაფვიდან გამომდინარეობს. კანტის თანახმად, ზნეობრივი კანონი თავისუფლების მეოხებით კაუზალური კანონია და შესასრულებელია უპირობოდ, კატეგორიულად, ემპირიული მიზეზების გაუთვალისწინებლად.

- თ -

თავისუფლება – იმის შესაძლებლობა, რომ მოიქცე ისე, როგორც გსურს. თავისუფლება ნების თავისუფლებაა. ნება თავისი არსებით ყოველთვის თავისუფალი ნებაა. თავისუფლებას ფილოსოფიის ისტორიაში ის ართულებდა,

რომ ბევრი მოაზროვნე ცდილობდა თავისუფლების არსებიდან ადამიანის მოვალეობა გამოეყვანა, ცდილობდნენ ან საერთოდ არ გამოეყენებინათ თავისუფლების ცნება, ან გამოეყენებინათ, მაგრამ გარკვეული სახით შეეზღუდათ.

თავისუფლების ცნების განვითარების ისტორიაში შემოქმედებითი თავისუფლების ცნება თანდათან ცვლის დაბრკოლებებისაგან თავისუფლების ცნებას. ძველ ფილოსოფიაში ლაპარაკია უწინარეს ყოვლისა თავისუფლებაზე და ბედზე, შემდეგ პოლიტიკური დესპოტიზმისაგან თავისუფლებაზე და ადამიანური არსებობის უბედურებაზე. შუა საუკუნეებში საქმე ეხება ცოდვისაგან განთავისუფლებას და ეკლესიის მიერ შეჩვენებას, ამასთან ჩნდება განხეთქილება ადამიანის ზნეობრივ თავისუფლებასა და რელიგიის მიერ ნაქადაგებ ღმერთის ყოვლისშემძლეობას შორის. რენესანსის ეპოქასა და მომდევნო პერიოდში თავისუფლება ესმოდათ როგორც ადამიანის პიროვნების დაუბრკოლებელი ყოველმხრივი განვითარება. განმანათლებლობის დროიდან ჩნდება თავისუფლების ცნება, ნასესხები ლიბერალიზმისა და

ბუნებრივი სამართლის ფილოსოფიიდან, რომელსაც ზღუდავდა სულ უფრო გაღრმავებული მეცნიერული შეხედულება, იმით, რომ აღიარებდა ყოვლისშემძლე ბუნებრივ მიზეზობრიობისა და კანონზომიერების ბატონობას. მარქსიზმს თავისუფლება ფიქციად მიაჩნია, მის თანახმად, ადამიანის აზროვნება და ქცევა დამოკიდებულია სტიმულებსა და გარემოებაზე. ამასთან ძირითად როლს მის გარემოში ასრულებენ ეკონომიკური ურთიერთობანი და კლასობრივი ბრძოლა.

თალმუდი (ძველებრაულად – სწავლება) – რელიგიური წიგნების კრებული. თალმუდისტი – თალმუდის მიმდევარი, რომლის მოვალეობაა აგრეთვე რელიგიური კანონების პრაქტიკული განხორციელება.

თაობა (ლათ. generatio – ჩასახვა) – ცალკე რგოლი მოდგმის გაგრძელების ჯაჭვში (მშობლები, შვილები, შვილიშვილები): დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც მიეკუთვნებიან რომელიმე ხალხს ან კულტურულ წრეს. გამოანგარი-

შეუბნია, რომ ასეთი თაობის საქმიანობის ხანგრძლივობა დაახლოებით 30 წელია. თაობის არსებობის შედეგია დიდმნიშვნელოვანი სოციალური მოვლენები: ახალი კულტურის მატარებელთა მუდმივი მოდენა წამსვლელ წინანდელ მის მატარებელთა ნაცვლად. ერთი თაობის კულტურის მატარებელთა დროში შეზღუდული მონაწილეობა ისტორიულ პროცესში, იმის მუდმივი აუცილებლობა, რომ ტრადიციით გადასცენ კულტურული მიღწევები; თაობათა განუწყვეტელი ცვლა; ცნებას “თაობა” მრავალგზის იშველიებენ მხატვრული და პოლიტიკური სტილების ახსნისათვის. თაობათა პრობლემაში გულისხმობენ იმ კონფლიქტების ერთობლიობას, რომელიც ჩნდება უფროსი თაობის წინააღმდეგ უმცროსი თაობის ბრძოლიდან, როცა საქმე ეხება იმას, რომ მნიშვნელობა მიენიჭოს ცოდნისა და ხედვის ახალ წესებს ძველის საპირისპიროდ.

თეოგონია (ბერძნ.) – ღმერთების დაბადება; მითი ღმერთების წარმოშობის შესახებ. პირველი ანტიკური თეოგონია, ბერძნული

ღმერთების გენიოლოგია დაწერა ჰესიოდემ. ლ. ფოიერბახთან (“თეოგონია“) ღმერთის იდეის წარმოშობის ფსიქოლოგიური გამოკვლევა.

თეოდიცია (ბერძნ. theos – ღმერთი და dike – სამართალი) – ღმერთის გამართლება იმაში, რომ მან დაუშვა ბოროტება დედამიწაზე, გამართლება, რომლის განხორციელებასაც ცდილობდნენ თეოლოგები და თეოლოგიზირებული ფილოსოფოსები. ამასთან ისინი არ ცნობდნენ ბოროტებას, ან მას განიხილავდნენ, როგორც დედამიწაზე ღვთით მოვლენილ განსაცდელს. თეოდიციას პირველად კრიტიკულად მოეკიდა ეპიკურე: ან ღმერთს სურს სამყარო იხსნას უბედურებისგან, მაგრამ არ ძალუძს, ან ძალუძს, მაგრამ არ სურს, ან არ ძალუძს და არც სურს, ან სურს და კიდევ ძალუძს. პირველი სამი შემთხვევა არ შეესაბამება წარმოდგენას ღმერთის შესახებ, ხოლო უკანასკნელი არ ეთანხმება ბოროტების არსებობის ფაქტს.

თეოკრატია (ბერძნ.). – სიტყვასიტყვით ღვთის ძალაუფლება, ღვთის სახელით მოქმედი სახელ-

მწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც საერო ძალაუფლება სამღვდელოების, ეკლესიის იერარქიის ხელთაა, მაგალითად, ძველ ეგვიპტეში, იუდეაში, შუა საუკუნეების ხანაში.

თეიზმი (theos — ღმერთი) — ერთადერთი, პიროვნული, სამყაროს გარეშე და მასზე ზევით მყოფი, თვითცნობიერი, თვითმოქმედი, სამყაროს შემქმნელი მცველი და მბრძანებელი. ღმერთის რწმენა — საპირისპირო დეიზმი.

თეოლოგია (ბერძნ.) — ღვთისმეტყველება, მოძღვრება ღმერთის შესახებ. ვიწრო აზრით, რელიგიური ფილოსოფიისაგან განსხვავებით — ქრისტიანული სარწმუნოებრივი მოძღვრების დოგმათა სისტემა. განასხვავებენ ისტორიულ, სისტემურ და პრაქტიკულ თეოლოგიას. შუა საუკუნეების დასასრულამდე მეტაფიზიკა თეოლოგიის გავლენას განიცდიდა და მის “მსახურადაც” კი იქცა, შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა: მეტაფიზიკამ საბოლოო ნივთებზე მსჯელობა დაიწყო თეოლოგიაზე უფრო დახვეწილი და ჭეშმარიტებასთან უფრო ახლო

მდგომი წესით, ვინაიდან იგი თავისუფალია პერსონალიზმისაგან, რომელიც აუცილებლად აუკუღმართებს ჭეშმარიტებას, ვინაიდან იგი უფრო აბსტრაქტულია და თავისუფალია მითოლოგიური სახეებისა და ალეგორიებისაგან, რომლებიც ამახინჯებენ ჭეშმარიტებას, ვინაიდან იგი უფრო წმინდაა და მხოლოდ ჭეშმარიტებისაკენ და არა სულზე ბატონობისაკენ ისწრაფვის, რაც აბრკოლებს ჭეშმარიტების ძიებას.

თეორემა (ბერძნ.) — მეცნიერული დებულება.

თეორია (ბერძნ. theoria — ცქერა — ჰეროდოტესათვის theoria u historein თეორია და გამოკითხვა ისტორიული მეცნიერების საფუძველია. იონიელი ნატურფილოსოფოსებისათვის სიტყვა თეორია აბსტრაქტული საგნების გონითი ჭვრეტის საზრისს იძენს. არისტოტელესთან “bios theoretikos” არის “საგანთა აზრისეული განხილვით” განსაზღვრული ცხოვრება. ამჟამად, შიშველი ემპირიის საპირისპიროდ, თეორია ეწოდება ცოდნის ნებისმიერ მეცნიერულ ერთობლიობას, რომელშიც ფაქ-



ტები და ჰიპოთეზები დაკავშირებულია ერთგვარ მთლიანობად, — ე. ი. ისეთ მეცნიერულ ცოდნას, რომელშიც ფაქტები ექვემდებარებიან ზოგად კანონებს, ხოლო მათ შორის კავშირი ამ უკანასკნელთაგან გამოიყვანება“ (ფრიზი).

თითქოს — ფიქციის აღმნიშვნელი ფორმულა; კანტთან ლაპარაკია, რომ ღმერთის, თავისუფლების და სხვა ცნებების თაობაზე არ არსებობს თეორიული დასაბუთება, ამიტომ “საჭიროა ისე მოვიქცეთ, თითქოს ჩვენ ვიცით, რომ ისინი ნამდვილად არსებობენ”.

თომა აქვინელი — სქოლასტიკოსი; დაიბ. 1225 ან 1226 (როკასეკის კოშკი, აქვინის ახლოს, ნეაპოლთან) — გარდ. 7. III. 1274 (ფოსანუოვის მონასტერი, რომის ახლოს). პირველი სქოლასტიკური “ეკლესიის მასწავლებელი”, “ფილოსოფოსის თავადი”; 1879 წლიდან აღიარებულია ოფიციალურ კათოლიკურ რელიგიურ ფილოსოფოსად, რომელმაც დააკავშირა ქრისტიანული აღმსარებლობა (კერძოდ, ავგუსტინე ნეტარის იდეები) არისტოტელეს ფილოსოფიასთან. სწავლობდა

კელნში, ბოლონიაში. რომში, ნეაპოლში. თომა აქვინელმა პირველმა გაავლო ზუსტი და მკვეთრი ზღვარი რწმენასა და ცოდნას შორის. გონება, მისი აზრით, მხოლოდ გამოცხადების, რწმენის არაწინააღმდეგობრიობას ასაბუთებს; მათი საწინააღმდეგო მოსაზრებანი კი განიხილება მხოლოდ როგორც სააღბათო, რომლებიც არ ავნებენ მათ ავტორიტეტს. ბუნების უნივერსალიების გაგებაში რეალისტია. როგორც თეოლოგს, ღმერთის ყოფიერება ესმოდა ქრისტიანული რელიგიის აზრით და იზიარებდა სამყაროს შექმნის იდეას არარადან და სულის უკვდავებას, რომელიც როგორც “წმინდა ფორმა“ ურღვევია. მაგრამ იგი არ არსებობს მიწიერ ცხოვრებამდე, მას ქმნის მხოლოდ ღმერთი. სული ცოდნას იღებს არა მოგონებათა შედეგად, როგორც პლატონი ფიქრობდა, არამედ გრძნობადი აღქმის მეოხებით, რომელიც გვეძლევა ინტელექტით გასხივოსნებული ინტელექტის იდეების სახით. თომა აქვინელი მთელ სამყაროს განიხილავს როგორც უნივერსალურ იერარქიულ წესრიგს ყოფიერებაში, წესრიგს, რომელიც დადგენილია ღვთის მიერ და მთელ

არსებულს მიაკუთვნებს თავის ადგილს. მისი აზრით ინტელექტი ემორჩილება ნებას. ზნეობრივი ქცევის სრულყოფისათვის ადამიანმა პატივი უნდა სცეს ბუნებრივ წესრიგს, პირად ცხოვრებაში და საზოგადოებაში. მისი ფილოსოფიიდან (მეტაფიზიკიდან, ნატურფილოსოფიიდან) შერჩეული 24 თეზისი ეკლესიამ 1924 წლის 24 ივლისს განსაზღვრა როგორც თომა აქვინელის ჭეშმარიტი მოძღვრება;

- 0 -

იდეა (ბერძნ. idea — სიტყვის საკუთრივი აზრით მხედველობითი ხატი) — თვალსაჩინო ხატი პლატონის დროიდან ფილოსოფიაში ნივთის მეტაფიზიკური არსება, რომელიც არისტოტელეს მიაჩნდა შემომქმედ, ფორმა-წარმომქმნელ ძალად, ნეოპლატონიზმს — სამყაროს უმაღლესი პრინციპის გამოსხივებად, შუა საუკუნეების ქრისტიანობას — “ღვთაებრივ აზრად”. თანდათან იდეა ესმით სულ უფრო სუბიექტივისტურად: დეკარტიდან და ლოკიდან დაწყებული, იდეა

აღნიშნავს მხოლოდ “გონის მიერ შექმნილ ნივთის სახეს”, წარმოდგენას; ცნებით შეცნობილ ნივთის “არსებას”, ამავე დროს გააზრებულს, როგორც მის პირველსახეს, ნიმუშს, რომელსაც ნამდვილი ნივთი შეესაბამება მხოლოდ არასრულყოფილად. ამით იდეის პლატონური ცნება ფერმკრთალდება; ვინაიდან, პლატონის მიხედვით, იდეები მარდიულია და უცვლელია, მათ ვიმეცნებთ გრძნობადად კი არა, არამედ მხოლოდ გონით, თანდაყოლილი მოგონების უნარის საფუძველზე, რეალურად არსებული ნივთების პირველსახეებს. ნივთი იდეის ასახვაა, ის იდეის თანაზიარია, იდეა ნივთშია. იდეა “ნამდვილად არსებულია”. გერმანული იდეალიზმის დროიდან, კერძოდ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა შელინგის “ბრუნო” (1802) და “ლექციები აკადემიური სწავლების მეთოდზე” (1803), აგრეთვე ფიხტეს (“სიტყვები გერმანელი ხალხისადმი”, 1807 და 1808), მოძღვრებამ იდეების შესახებ ახალი მნიშვნელობა შეიძინა; მომზადდა იდეების ახალი დინამიკური გაგება; იდეა სხვა არაფერია, თუ არა სრულქმნილების ცნება, რომელიც (სრულ-



ქმნილება) ჯერ კიდევ არსებობს ცდაში, მაგალითად სრულქმნილი, სამართლიანად მართული სახელმწიფო. დაე, მხოლოდ ჩვენი იდეა იყოს სწორი, და მაშინ, დაბრკოლებათა არსებობის მიუხედავად, მისი განხორციელების გზაზე, იგი შეუძლებელი არ არის (კანტი). “იდეა, იქ, სადაც იგი შეაღწევს ცხოვრებაში, იძლევა განუზომელ ძალას და ძლიერებას, და მხოლოდ იდეაა ძალის წყარო“ (ფიხტე). ჰეგელი იდეაში ხედავს ობიექტურ ჭეშმარიტებას და ამავე დროს ჭეშმარიტ ყოფიერებას. იდეა არის დიალექტიკურ პროცესში გაშლილი აზროვნება, სინამდვილე არის განვითარებული იდეა. ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით, იდეას განაპირობებენ ეკონომიკური ურთიერთობანი, ხოლო იდეის გამოცხადება იდეოლოგიაა მხოლოდ; ისტორიის იდეალისტური გაგების წარმომადგენლები, რამკეს სიტყვებით, ისტორიული მოვლენების მამოძრავებელ ძალებს ეძებენ იდეებში.

იდეალი – ნიმუში, დიდი მნიშვნელობის მქონე პირველსახე, ზნეობრივი ნიმუში, სრულქმნილების, უმაღლესი მიზნის ცნება;

გააიდეალო – ნიშნავს აზრობრივად გაათავისუფლო არასრულყოფილი სინამდვილე მისი არასრულფასოვნებისაგან, მიამსგავსო იგი იდეალს, ჩამოაყალიბო რაღაც იდეის შესაბამისად, როგორც ამას სჩადიან პროექტი და ხელოვანნი. იდეალები, ცოცხალი და ქმედითი მაღალი წარმოდგენები და მიზნებია; მათ შეუძლიათ შეიძინონ დიდი პრაქტიკული ძალა; “ჩვენ ვიცით, რომ იდეალები ვერ იარსებებენ ნამდვილ სამყაროში; ჩვენ მხოლოდ ვამტკიცებთ, რომ მათს მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ სინამდვილის შესახებ და ამ უკანასკნელს ცვლიან ისინი, ვისაც საამისო ძალა შესწევთ“ (ფიხტე).

იდეალიზმი – სიტყვის ფართო აზრით ყოველგვარი მსოფლმხედველობა ან ცხოვრების წესი, განსაზღვრული ნამდვილი იდეალებით და მათი პრაქტიკული შედეგებით, განსაკუთრებით არაეგოისტური. თავგანწირული საქციელის აზრით (პრაქტიკული იდეალი); საპირისპიროა – მატერიალიზმი. მეტაფიზიკური აზრით იდეალიზმი – ეს არის შეხედულება, რომელიც ობიექტურად ნამდვილს განსაზღვრავს



როგორც იდეას, გონს, გონებას, მატერიაც კი მიაჩნია გონის გამოვლინების ფორმად, და უფრო მეტად იხრება ან იდეის მხარეს – ობიექტური იდეალიზმი (პლატონი, შელინგი, ჰეგელი), ან გონების მხარეს – სუბიექტური იდეალიზმი დეკარტი, მალბრანში, ფიხტე). თეორიულ-შემეცნებითი აზრით იდეალიზმი – ეს არის თვალსაზრისი, რომელსაც ნივთები მიაჩნია წარმოდგენების კომპლექსებად, ყოფიერებას ცნობს როგორც მხოლოდ გაცნობიერებულ ყოფიერებას; ყოფიერება აღქმის პროცესის იგივეობრივია (*esse est percipere*), ლაიბნიცი, ბერკლი, შოპენჰაუერი).

იდეების ისტორია – იმ იდეალური ძალების ისტორიული კვლევა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ისტორიულ მოვლენებსა და გარემოებებზე, – ძალებისა, რომლებსაც აქვთ საკუთარი ისტორია;

იდენტიფიკაცია (ლათ. *iden* – იგივე და *facere* – კეთება) – მიმსგავსება. ფსიქოლოგია იკვლევს ცეკვის “თვითიდენტიფიკაციას” (როგორც კულტის ელემენტს)

დემონთან ან ცხოველთან, რომლის ნილაბი ან რეგალიები გამოიყენება ცეკვაში, აგრეთვე პირველყოფილ ადამიანთა იდენტიფიკაციას, სწრაფვას – მიემსგავსონ თავისი გვარის ტოტებს. ამის მსგავსად (როგორც გრძნობის მორევის წანამძღვარი) არსებობს მსახიობის იდენტიფიკაცია მის მიერ გამოსახულ პიროვნებასთან, მაყურებლის იდენტიფიკაცია დრამის, ფილმის გმირთან, მკითხველის იდენტიფიკაცია რომანის პერსონაჟთან, მაყურებლისა – იმასთან რაც გამოხატულია სურათზე, ქანდაკებაში და ა. შ. ყოველგვარი იდენტიფიკაციის პირობაა ის, რომ ნივთის, პიროვნების და ა.შ. არსებობა მკვეთრად არის გამოხატული და ცოცხლად აღიქმება.

იდენტურობა (ლათ. *iden* – იგივე) – იგივეობა, ერთნაირობა, სრული დამთხვევა. A თავის თავის იდენტურია, თუ იგი ყველა სხვა სიტუაციასა და გარემოებაში მუდამ ერთი და იგივე რჩება, ისე რომ შეიძლებოდეს მისი იდენტიფიკაცია, როგორც ერთი და იგივე; იგივეობის პრინციპი, ანუ იგივეობის კანონი ($A=A$) მოითხოვს, რომ ყველა ცნებას

გარკვეული აზრობრივი აქტის განმავლობაში ეძლეოდეს ერთი და იგივე მნიშვნელობა. ეს არის “მოთხოვნა, რომ მსჯელობაში გამოყენებული ცნებითი სიმბოლოების მნიშვნელობა ზუსტად იყოს დადგენილი” – (კორნელიუსი). ზუსტად რომ ვთქვათ, ნივთი შეიძლება მხოლოდ თავის თავის იდენტური იყოს.

იდეოლოგია (ბერძ. ideologos – მოძღვრება იდეების შესახებ) – საფრანგეთში კონდილიაკის მომხრეთა ფილოსოფიური მიმართულება, “რომელიც ისწრაფვის ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქიკური ორგანიზაციის და ფიზიკური სამყაროს ზუსტი შეცნობით დაადგინოს აღზრდის, ეთიკისა და პრაქტიკის წესები.“ 1792-1802 წლებში მნიშვნელოვან პოლიტიკურ გავლენას ახდენენ დესტიუტ დე ტრასი, კაბანისი და სხვა იდეოლოგები. ამჟამად იდეოლოგიის ცნება იხმარება თითქმის მხოლოდ და მხოლოდ როგორც არაჭეშმარიტი მსოფლმხედველობის მახასიათებელი, გათვალისწინებული მოსატყუებლად მატერიალური, აგრეთვე პოლიტიკური ინტერესებისათვის;

მარქსიზმის მოძღვრების თანახმად, ყველა იდეა, რელიგია, მსოფლმხედველობა, დაწესებულება, სამართლებრივი ურთიერთობა და ა. შ. მხოლოდ მატერიალურ ურთიერთობათა გამოხატულებაა და ყალბია და მოტყუების განზრახვით ბურჟუაზიის მიერ სულიერ არსებათა (იდეების) რანგშია აყვანილი, მაშინ როდესაც სინამდვილეში ასეთი იდეები არ არსებობს და, მაშასადამე, საქმე ეხება მხოლოდ იდეოლოგიებს (ეკონომიკურ მოცემულობათა დაუშვებელი იდეიზაცია.), სინამდვილის “იდეოლოგიურ ზედნაშენს.“ თ. გაიგერის მიხედვით, “ყველა მეტაფიზიკური და თეოლოგიური ცნება, რომლებშიც დასაბამიერი მეტაფიზიკური და რელიგიური გრძნობა ყალიბდება შემეცნებითი გამოხატვის (არაადექვატურ) ფორმაში, იმთავითვე “იდეოლოგიურია“. იმ რელიგიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობის უმრავლესობის დაფარულმა იდეოლოგიურმა ხასიათმა, რომლებიც მეცნიერულ სახეს იღებენ და ამით “დასაბუთებული” პრეტენზია აქვს ჭეშმარიტებასა და საყოველთაო მნიშვნელობაზე, თანამედროვე კრიტიკულ აზროვნე-



ბაში წინ წამოსწია იდეოლოგიის კრიტიკა, რომელიც ასაბუთებს თვით მეცნიერული თეორიის შემოწმების აუცილებლობას.

იდეფიქსი (ლათ. მტკიცე) – ფესვადგმული მცდარი წარმოდგენა, რომელსაც ვერაფრით ვერ გამოასწორებ და ვერც მოიცილებ.

იდოლი (ბერძნ. eidolon – ხატ) – კერპი, ფანტომი, ბრმა თაყვანისცემის საგანი. ფ.ბეკონი იდოლებს უწოდებს ადამიანის ცრურწმენებს, რომლებიც აფერხებენ სწორ შემეცნებას.

იერარქია (ბერძნ. hieros – წმინდა და arche – ბატონობა) – წმინდანების ბატონობა, შემდეგ – მღვდლების სუბორდინაცია. გადატანითი აზრით ქვედანაყოფი მზარდი მნიშვნელობით და წევრთა კლებადი რიცხვით.

ილუზია (ლათ. illusio – მოტყუება) – ზერელე წარმოდგენა, წმინდა ფანტაზია, პრაქტიკულ ცხოვრებაში – შემამსუბუქებელი თავის მოტყუება (ილუზიების აყოლა) ფაქტებზე ფხიზელი შეხედულებების ნაცვლად. “ილუ-

ზიებისაგან განთავისუფლება“ (ილუზიების მსხვერვა), ხშირად დაკავშირებულია მეტნაკლებად გულის გატეხის გრძნობასთან. ფსიქოლოგიის ან ფსიქოპათოლოგიის თვალსაზრისით, ილუზია არის წარმოდგენა, რომელსაც მართალია შეესაბამება გარკვეული საგანი (ჰალუცინაციისაგან განსხვავებით), მაგრამ სულიერგონითი ფაქტორის უნებური ჩარევა გარდაქმნის ობიექტურ მოცემულობას სასურველი მოცემულობის მიმართულებით. ილუზიის საკუთარი მასაზრდოებელი ნიადაგია აფექტი, განსაკუთრებით მოლოდინი, შიში და იმედი. კ. ლანგე ცდილობს ხელოვნების წარმოშობა ახსნას ადამიანის მოთხოვნილებით ილუზიისადმი (ე. ი. მოთხოვნილებით – “აჰყვეს ესთეთიკურ ილუზიებს“). ხელოვნება, ლანგეს მიხედვით, არის უნარი – თავის თავს და სხვებს მიანიჭოს ილუზიაზე დამყარებული სიამოვნება, ამასთან ყოველგვარი სხვა მიზანი, სიამოვნების მიზნის გარდა, გამორიცხებულია.

იმორალიზმი – მორალის პრინციპებისა და დანაწესების უარყოფა. შედარებითი იმორალიზ-



მი უარყოფს მორალის კანონებსა და დანაწესებს, როგორც ისეთებს, რომელთაც აქვთ კეთილისა და ბოროტის მნიშვნელობა აწმყოში, გარკვეულ პერიოდსა და გარკვეულ კულტურულ წრეში; აბსოლუტური იმორალიზმი არის ყველა კულტურული ღირებულების უარყოფა, იგი ყურადღებას არ აქცევს განსხვავებას კეთილსა და ბოროტს შორის;

იმპულსი (ლათ.) – აღძვრა, ბიძგი; იმპულსური-აღმძვრელი, იმპულსით განსაზღვრული, ჩადენილი (სათანადოდ) გაუაზრებლად.

ინდივიდუალიზმი – აზრების, გრძნობებისა და სურვილების ისეთი მიმართულება, რომელიც ცალკეული ადამიანის (ფართო აზრით-აგრეთვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჯგუფის, მაგალითად ოჯახის) ცხოვრებას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე დიდი ერთობებისა და მთლიანად საზოგადოების ცხოვრებას. თეორიული ინდივიდუალიზმი ცნობს საერთოდ მხოლოდ ინდივიდუალურის რეალობას, სხვანაირად რომ ვთქვათ, საკუთარი ცნობიერების, ანუ “მეს” რეალობას, და ამიტომ

უარყოფს ყველასთვის სავალდებულო დებულებათა ან შეხედულებათა შესაძლებლობას. ეთიკურ-პოლიტიკური ინდივიდუალიზმი ინდივიდს განიხილავს, როგორც თვითმიზანს, ხოლო ცალკეული პიროვნების ბედნიერება და ყოველმხრივი განვითარება საბოლოო მიზნად მიაჩნია; კერძოდ, საზოგადოება და სახელმწიფო, მის მიხედვით, მხოლოდ დამხმარე საშუალებანია ინდივიდისათვის მიზნის მისაღწევად. ეთიკურ-პოლიტიკური ინდივიდუალიზმის ფართოდ გავრცელებული ნაირსახეობანია სახალხო-სამეურნეო ინდივიდუალიზმი, რომელიც სამეურნეო ცხოვრებას უთმობს ძალთა თავისუფალ თამაშს, და პედაგოგიური ინდივიდუალიზმი, რომელიც აღმზრდელობით მუშაობას აგებს აღსაზრდელის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპზე, ამასთან მიაჩნია, რომ ნამდვილი ამხანაგობა შესაძლებელია მხოლოდ ყოველმხრივ განვითარებულ ინდივიდებს შორის. სოციოლოგიური ინდივიდუალიზმი ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი პროცესები მიმდინარეობს ინდივიდების ურთიერთმოქმედების მეოხებით,

სოლიდარიზმის ან უნივერსალიზმის საპირისპიროდ, რომელნიც საზოგადოებრივ მოვლენებს განიხილავენ მათს მთლიანობაში.

ინდივიდუალობა – პიროვნებისაგან განსხვავებით, სპეციფიკური, განუმეორებელი ინდივიდში. ინდივიდუალობას, როგორც ასეთს, აქვს იდეალური ღირებულებითი ხასიათი, ე. ი. ინდივიდუალური ღირებულება დამოუკიდებელია რეალური აზროვნებისაგან. პიროვნების ეთიკური ღირებულება ის არის, რომ შეინარჩუნოს ერთგულება თავის თავისადმი, ნამდვილი და დადებითი იყოს მისი არსება, ფართო აზრით იგი კანტისეული ინტელიგენტური ხასიათის ტოლფასია. ამ ეთიკური ღირებულების განხორციელება ე. ი. აზროვნების თვითგანხორციელება, არის სათნოება. მაგრამ ეს სათნოება როგორც ასეთი მიუწვდომელია, მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ ფუძემდებლურ ღირებულებათა (სიკეთის, კეთილშობილების, სრულქმნილების, სიწმინდის) განხორციელების მეოხებით. ინდივიდის პასუხისმგებლობა როგორც პიროვნების თვითგანხორციელებისათვის ემთხვევა პასუხის-

მგებლობას ყოველივე იმისათვის, რაც მისი თავისუფლებისა და ძალაუფლების სფეროშია მოქცეული. კერძოდ, ინდივიდუალური ეთოსი (ინდივიდუალიზმის ზნეობრივი ღირებულება) ის ძირითადი მიმართულებაა, რომელსაც ირჩევენ ფუძემდებლურ ღირებულებათა თვითგანხორციელების პროცესში, ე. ი. მისთვის დამახასიათებელია ფორმა, რომელშიც ხდება მოქმედება ერთი რიგის ღირებულებათა არსებობის პირობებში. ამის შესაბამისად ინდივიდუალობა აქსიოლოგიურად ავტონომიურია. ისტორიულად “დიდი ინდივიდუალობა” სრულიადაც არ უნდა იყოს განსაკუთრებით სათნო, მაგრამ ღირებულებათა განხორციელებას მისთვის დამახასიათებელ მთავარ მიმართულებას უნდა მიეცეს განსაკუთრებით ნათელი და ენერგიული ფორმა. ინდივიდუალობის სიდიადე ღირებულებათა სამეფოსადმი დამოკიდებულების სპეციფიკით გამოიხატება. ჭეშმარიტი ინდივიდუალობის მიმზიდველობა ის არის, რომ მასთან ერთად მცხოვრები ადამიანისაგან განსხვავებით, იგი აღმოაჩენს სხვა, მყარი და ნათელი

სტრუქტურის მქონე ახალ ღირებულებათა სამეფოს.

ინდივიდუალური – ცალკეულის კუთვნილი, დანაწევრებული, საპირისპირო – ზოგადი.

ინდივიდუალური ეთიკა – ეთიკის ნაწილი, რომელიც ეხება მხოლოდ ინდივიდს, საზოგადოებრივი ეთიკისაგან განსხვავებით. ინდივიდუალური ეთიკა ადამიანისაგან მოითხოვს ზნეობრივ თვითგანხორციელებას და პიროვნულ პასუხისმგებლობას.

ინდივიდუალური ფსიქოლოგია – ასე უწოდებს ალბერტ ადლერი თავის ფსიქოლოგიურ-თერაპიულ სისტემას, მისთვის ამოსავალია ის ჰიპოთეზა, რომ ყველა ადამიანური ქცევა შეიძლება აიხსნას ძალაუფლებისა და გავლენისაკენ სწრაფვით. უკვე ცხოვრების პირველ წლებში ბავშვი იცნობიერებს თავისი უნარის მასშტაბებს, და თუ არ ძალუძს დაიცვას თავისი ინდივიდუალობა, განსაკუთრებით იმ მოზრდილთა უპირატესობის წინაშე, რომლებიც დაცინვითა და სისასტიკით თრგუნავენ, მას ეუფლება საკუთარი არასრულფასოვ-

ნების გრძნობა. მოგვიანებით არასრულფასოვნების იგივე გრძნობა (“კომპლექსი”) შეიძლება წარმოშვას არასრულფასოვნებებმა ადამიანის სოციალური მდგომარეობის ან მისი მდგომარეობით ერთობათა შიგნით (სკოლა, ნათესაობა, სამუშაო, კოლექტივი). აქედან ჩნდება სწრაფვა განდიდებისადმი, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებასა და ადამიანებზე უპირატესობის გრძნობის მიღწევას (კომპენსაცია შინაურთა ტირანიის, დიდგულობის, განდიდების მანიის გზით) ან პრობლემებისათვის თავის არიდებას “ავადმყოფობაში გაქცევით”, უმწეობის ბოროტად გამოყენებით და ა.შ., რასაც მოსდევს ან შეიძლება მოჰყვეს, ისევე როგორც განდიდების ტენდენციას, ნერვული დაავადება ან სოციალური არასრულქმნილება. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ამოცანაა მოინახოს “ნევროზული ხასიათის” წარმმართველი სასიცოცხლო გეზი და განკურნოს იგი გამხნევება-წახალისების მეთოდით.

ინდივიდუალიზმი (ლათ. დაუნაწევრებელი) – ინდივიდი (ერთადერთი), რომლის დანაწევრება არ შეიძლება ისე, თუ არ დაკარგა

თვითმყოფობა, “ინდივიდუალობა” და საკუთარი ყოფიერება, რომელთა საფუძველია, მხოლოდ მისი მთლიანობა. ზუსტად რომ ვთქვათ, ეს განსაზღვრება შეიძლება მიუდგეს მხოლოდ უმაღლეს ცხოველებს, ადამიანის ჩათვლით. ინდივიდუუმის ცნების განსაზღვრება განსაკუთრებით იმიტომ არის ძნელი, რომ ინდივიდის, როგორც ერთეულისა და განსაკუთრებულის აღწერა საერთოდ შეუძლებელია ზოგადი განყენებული ნიშნების დახმარებით, რის გამოც, უკვე შუა საუკუნეების ფილოსოფოსები იძულებულნი გახდნენ ეთქვათ: “individuum” ist ineffabile” (ლათ. ინდივიდუუმი გამოუხატველია). შუა საუკუნეების დამლევიდან ინდივიდუუმის ცნება სულ უფრო მეტად იღებს ადამიანური ინდივიდუუმის მნიშვნელობას. ამაში იგულისხმება ადამიანი, როგორც დამოუკიდებელი, გონიერი არსება, რომელსაც შეუძლია თვითონ განაგოს თავის თავი, მაგრამ ამავე დროს თავის გარეგან ურთიერთობებში ზოგადადამიანურ ღირსებათა მატარებელიც არის;

ინდივიზმი – მხოლოდ უკანასკნელი ათასწლეულის განმავლობაში წარმოშობილი და დასავლეთ ინდოეთში ფართოდ გავრცელებული ჰინდუს რელიგიური სისტემა. წმინდა წიგნებითა და ბრაჰმანების დანაწესებით სანქცირებული ყველა რიტუალის რელიგიური პრაქტიკის და რელიგიური შეხედულებების, ტრადიციებისა და მითოლოგიის ერთობლიობა. ინდივიზმის საფუძველია კასტური წყობილება და ამ უკანასკნელით განსაზღვრული ბრაჰმანების (ინდოელი მღვდლების) გაბატონებული მდგომარეობა. მთავარი ღმერთებია ვიშნუ და შივა. პირველი გვევლინება რამას და კრიშნას სახით. ინდივიზმი არ წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ სარწმუნოებას. ჰინდუსთვის იგი არის “სანატანა დჰარმა” – მარადიული კანონი, ვინაიდან იგი დასაბამიდან არსებობს და მუდამ იარსებებს;

ინდუქცია (ლათ. მინიშნება) – ფილოსოფიური და საერთოდ მეცნიერული მეთოდი, რომელიც ცალკეულიდან, განსაკუთრებუ-

ლიდან ასკვნის საყოველთაოზე, კანონზომიერზე. საპირისპირო – დედუქცია. ინდუქციის დახმარებით შეძენილ ცოდნას ინდუქციური ეწოდება, მისი შეძენის პროცესს – ინდუქცირება; მეცნიერებანი, რომლებიც ამ მეთოდს იყენებენ, ინდუქციური მეცნიერებანია, ხოლო მისი დახმარებით აღმოჩენილი კანონები – ინდუქციური კანონები. ინდუქციას, როგორც ცალკეული აღქმებისაგან საყოველთაო ცოდნის შეძენის მეთოდს, იცნობდნენ უკვე სოკრატე და ეპიკურე. შეგნებულად ინდუქციას ასაბუთებდნენ და ავითარებდნენ ფრენსის ბეკონი, იუელი, ჯონ სტიუარტ მილი და სხვ. ინდუქციის არსება ის არის, რომ ვარაუდი გარკვეული მოვლენების კავშირის შესახებ, რომელიც ჩნდება დაკვირვების საფუძველზე, ან რაიმე სხვა გზით, სისტემატურად ემყარება ფაქტებს და მეტნაკლებად სარწმუნო მნიშვნელობას იძენს. ინდუქციას მივყავართ საყოველთაო ცნებებთან და კანონებთან, რომლებიც შეიძლება საფუძველად დაედოს დედუქციას.

ინტელიგენცია (ლათ. *intellegere* – წვდომა, გაგება, იყო

მცოდნე) – ადამიანის დამახასიათებელი სულიერი, გონივრული უნარი, ვიწრო აზრით – უნარი, რომ სწრაფად იპოვოს გამოსავალი, გადაწყვეტილებათა უჩვეულო გარემოებაში, სწორად და სწრაფად ჩასწვდეს მთავარს საგანთა ვითარებასა ან პროცესში და საერთოდ ჭკუის მოქნილობა, შემგუებლობა, გონებრივი ცნობისწადილი, სწრაფი აზროვნებისა და დასკვნის უნარი. ინტელიგენციის განვითარების დონე განსხვავებულია, დაწყებული თითქმის ნულოვანიდან იდიოტიზმის შემთხვევაში, გენიოსის წარმოუდგენლად მაღალ დონემდე; თავისი ხასიათით რეაქტიული ან სპონტანურია, იმისდამიხედვით, სჭირდება მას გარედან ბიძგი თუ არა, იგი კრიტიკული ან შემოქმედებითია, იმისდამიხედვით, განიხილავს მოცემულს თუ ქმნის ახალს, იგი თეორიული ან პრაქტიკულია, ეს დამოკიდებულია იმაზე, ეხება იგი აზრისეულ მუშაობას თუ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საქმიანობას (ინტელიგენციის ტიპები). ინტელიგენციის განვითარების ხასიათი და დონე დგინდება ინტელექტუალობის შემოწმებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ



ადამიანებს ეძლევათ სხვადასხვა ამოცანა. მათი გადაწყვეტა (აგრეთვე ამ გადაწყვეტის ხასიათი და სისწრაფე) ან გადაუწყვეტელობა საშუალებას იძლევა დადგინდეს ინტელიგენციის განვითარების ხასიათი და დონე. სიტყვით “ინტელიგენცია” აღნიშნავენ აგრეთვე ხალხის სულიერად წამყვან ფენას. როგორც “ბურჟუაზიული ინტელიგენცია” იგი არსებობს ჰუმანიზმის დროიდან მანამდე სულიერი ხელმძღვანელობა იყო სასულიერო ფენის ხელში. ინტელიგენცია რჯულშემწყნარებელი, ცრურწმენას მოკლებული ხალხის ფენაა, ამიტომ სულიერად იგი უფრო მოძრავია წინასწარ გაუთვალისწინებელი და გაცილებით ძნელად ემორჩილება პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფები; მაგრამ ამასთან ერთად იგი უფრო მეტად ლაბილურია, ნაკლებად ინსტინქტურია, ცხოვრებაში მოწყვლადია. ინტელიგენცია უფრო ახლოს დგას ხელოვნების ადამიანებთან, მაგრამ მათზე ნაკლებად ემოციურია.

ინტეგრაცია (ლათ. integer – სრული, მთლიანი, ურღვევი) –

პროცესი, ანუ მოქმედება, რომლის შედეგია მთლიანობა; გაერთიანება, შეერთება, ერთიანობის აღდგენა; სპენსერი ფილოსოფიაში აღნიშნავს გაფანტულის შეუმჩნეველი მდგომარეობის გადაქცევას კონცენტრირებულ, ხილულ, შენელებულ შინაგან მოძრაობასთან დაკავშირებულ მდგომარეობად, მაშინ როცა დეზინტეგრაცია არის კონცენტრირებულის გადაქცევა აჩქარებულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ გაფანტულ მდგომარეობად. სპენსერი მრავალგზის იყენებს სიტყვას “ინტეგრაცია” როგორც აგრეგაციის თანაბარმნიშვნელოვანს. სპენსერის აზრით, მზის სისტემის, პლანეტის, ორგანიზმის, ერის განვითარება ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის მონაცვლეობაა. იენშის ფსიქოლოგიაში ინტეგრაცია ნიშნავს ცალკეული გონითი ნიშნების გავრცელებას გონითი ცხოვრების მთელ ერთობლიობაზე. სმენდის მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ, ინტეგრაცია გულისხმობს სახელმწიფოს მუდმივ თვითგანახლებას მასზე მიმართული ყველა სახეობის საქმიანობის ურთიერთგამსჭვალვის გზით. ახლა ინტეგრაციის პრობლემაა პირველ რიგში ის საკითხი,

თუ როგორ და რა საფუძველზე შეძლებს მსოფლმხედველობათა და ინტერესთა ჯგუფად გაერთიანებული გერმანელი ხალხი გაერთიანდეს ერთიან ერად.

ინტელექტი (ლათ.) – გონება, აზროვნების უნარი, გამჭრიახობა, იმ გონებრივი ფუნქციების (შედარების, აბსტრაქციის, ცნებების წარმოქმნის, მსჯელობის, დასკვნის და ა.შ.) ერთობლიობა, რომლებიც აღქმებს აქცევენ ცოდნად ან კრიტიკულად განიხილავენ და აანალიზებენ უკვე არსებულ ცოდნას, ამასთან ზოგჯერ შეცნობილის ზოგადი ფუნქციები და მისი ჩართვა უფრო დიდ ერთობლიობაში არ მიიღება მხედველობაში, რამაც გამოიწვია ის, რომ წარმოიშვა (მცდარი) სახელწოდება “ინტელექტუალიზმი”. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გაჩნდა სადაო საკითხი: ნება ემორჩილება ინტელექტს თუ, პირიქით, ინტელექტი – ნებას. პირველი თვალსაზრისის წარმოდგენილია თომა აქვინელი, მეორისა – ინგლისელი მოაზროვნე: დუნს სკოტი, უილიამ ოკამი. ახლა უპირატესობა ენიჭება წარმოდგენას, რომ თუმცა ინტელექტი, ისევე, როგორც ნება, დამოკიდე-

ბულია შესაბამის გარემოებაზე, მაგრამ იგი როგორც გონის სფეროს კუთვნილება, მაღლა დგას ნებაზე, რომელიც ფსიქიკის სფეროში შედის.

ინტერესი (ლათ. – მონაწილეობა) – პაი, წილი, რაიმეში ჩაბმა, მონაწილეობა რაიმეში, რაიმესადმი მიდრეკილება (“ინტერესის გამოჩენა”); ღირებულება და მნიშვნელობა, რასაც ვანიჭებთ ნივთს, რომელიც შესაბამისად იპყრობს ჩვენს არსებას და გრძნობებს; მატერიალური თვალსაზრისით აგრეთვე სარგებლობა, გამორჩენა, ანგარება (“ინტერესის ქონა”). იმას, ვისაც ინტერესი აქვს რაიმესადმი, ეწოდება დაინტერესებული, იმას კი, ვინც მუდამ იჩენს ინტერესებს ან ვისაც ეძლევა ერთგვარი წინადადებები წარმატების იმედით, ეწოდება ინტერესანტი. საინტერესო ეწოდება იმას, რაც აღძრავს და იპყრობს ჩვენს ყურადღებას, იმიტომ, რომ მას აქვს პოზიტიური ან ნეგატიური მნიშვნელობა ჩვენი პრაქტიკული ან თეორიული მოთხოვნილებებისათვის. ინტერესის საგნის მიხედვით ლაპარაკობენ მატერიალურ და სულიერ ინტერესებზე,



მეცნიერულ და მხატვრულ, საყოველთაო და კერძო ინტერესებზე. “კეთილგონივრულ ინტერესს” უწოდებს ჰელვეციუსი უნგარობის კავშირს საკუთარ სარგებელთან. პოლიტიკური, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით ინტერესი აღნიშნავს სახელმწიფოების გარკვეულ პრეტენზიებს თავიანთი საზღვრების გარეთ.

ინტუიცია (ლათ. intuitus – შეხედვა, შესაძლებლობა) – ხილვა, ჭკრეტა, სინამდვილის უშუალო განცდა. “ადამიანში შინაგანად განვითარებული გამოცხადება” (გოეთე). ინტუიციური ცოდნა: საგნის არსის გაგება, ინტუიციის, ნივთის არსების უშუალო ჩაწვდომის მეოხებით. გერმანელმა იდეალისტებმა, განსაკუთრებით შელინგმა, განსაზღვრეს შემეცნების ის ნაირსახეობა, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა ინტუიცია.

ინსტინქტი (ლათ. აღძვრა, სტიმული) – ბუნებრივი ლტოლვა. გარკვეული ქცევისა ან მოქცევისადმი გვარის ან სახეობის დამახასიათებელი თანდაყოლილი მიდრეკილება, რომელიც ხორცი-

ელდება ავტომატურად ან გარე გაღიზიანების შედეგად და განსაზღვრავს მეტნაკლებად რთულ, “მიზანმიმართულ” მოქმედებათა შედეგს, მაგრამ ისე, რომ ამ ინსტინქტურ მოქმედებათა აუცილებელი, შეგნებული შედეგის გათვალისწინება – თუ აღარაფერს ვიტყვით მათი მიზანშეწონილობისა ან აუცილებლობის გაცნობიერებაზე – შეუძლებელია. ასეთი, გარკვეულ მიდრეკილებებთან, მუდმივად დაკავშირებული ინსტინქტები ძირითადად შემდეგია: კვების, სისუფთავის, შეუღლების, კვერცხის დების, შთამომავლობაზე ზრუნვის, ურთიერთობების ინსტინქტები, თავდაცვისა და გადაფრენის ინსტინქტები. ინსტინქტები ვერ აიხსნება ცალკეული ინდივიდის გამოცდილებით; ისინი თანდაყოლილია, მაგრამ ამასთან ერთად შეიძლება გაძლიერდნენ ან შესუსტდნენ სიცოცხლის განმავლობაში. ინსტინქტების წარმოშობაზე მრავალი ჰიპოთეზა არსებობს, მათ შორის არც ერთი არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. ინსტინქტური მოქმედება შეგნებულისაგან იმით განსხვავდება, რომ ხდება და აზრი აქვს მხოლოდ გარკვეულ (ჩვეულებრივ, ბუნებ-

რივ) პირობებში და ამ პირობების მკვეთრი შეცვლისას შეიძლება გაქრნენ ან მიზანშეუწონლად იქცნენ. თუ რა როლს ასრულებენ ინსტინქტები (ჯერ კიდევ) ადამიანის ცხოვრებაში, საკმაოდ არ არის გარკვეული. ზუსტად არის ცნობილი, რომ, ერთი მხრივ, შეგნებულ აზროვნებასა და ნებას მათს უღრმეს საფუძველში წარმართავენ ინსტინქტები, მეორე მხრივ, თანამედროვე კულტურული ადამიანის ლაბილურობა იწვევს მისთვის აუცილებელი ცხოვრებისეული ინსტინქტების გაქრობას. ეს დაფუძნებულია მისი ცხოვრების წესზე, რაც განასხვავებს ადამიანს შინაური ცხოველებისაგან, ამასთან საფიქრებელია, რომ სწორედ ეს ლაბილურობა ყველა მიდრეკილებებისა და უნარების ცვალებადობა გონებას უხსნის განუსაზღვრელი მოქმედების შესაძლებლობებს და ამის შედეგად, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. პასკალის აზრით, ინსტინქტი შინაგანი გამოცდისლებაა, რომელსაც საფუძველად უდევს და ამოძრავებს ინტუიცია.

იოგა – ჭკრეტის ინდური თეორია და პრაქტიკა. ჭკრეტის დახმარებით ესწრაფვიან მიაღწიონ სინამდვილისაგან განდგომას, ღმერთთან სულის მისტიკურ შერწყმას, ზებუნებრივი ცოდნისა და ზებუნებრივი უნარების შეძენას. სიტყვა “იოგა” ენათესავება ლათინურ Jugum -ს, გერმანულ Joch -ს და აღნიშნავს აგრეთვე დაძაბვას, ვარჯიშს (აზროვნებისა), აგრეთვე “შეერთებას“, “შერწყმას“ (ღმერთთან), ამ დაძაბული კონცენტრირების მიზანია განთავისუფლება გარესამყაროს ხელისშემშლელი გავლენისაგან, ვედების გამოჩენის დროიდან იოგას სხვადასხვა სისტემასა და მეთოდს ქმნიდნენ ბრაჰმანები, ბუდისტები, ჯაინისტები იოგას კლასიკურ სახელმძღვანელოში (იოგა-სუტრა) პატან-ჯალი (დასრულდა IV დ V საუკუნეებს შორის) ფილოსოფიურ საფუძველად გამოყენებულია სანკჰიას მოძღვრება.

ირაციონალიზმი – შინაგანად აგნოსტიციზმის მონათესავეა, განსაზღვრავს ინსტინქტს, ინტუიციას, გრძნობას, შინაგანს,

სიყვარულს, როგორც შემეცნების გადამწყვეტ წყაროებს, რომელთა მონაცემებს გონება შემდეგ გადაამუშავებს.

ირაციონალური (ლათ. არაგონივრული) – ასე ეწოდება იმას, რასაც ვერ ჩაწვდება გონება, რაც აშკარად არ ექვემდებარება ლოგიკის კანონებს, რაც უნდა შეფასდეს, როგორც “ზეგონივრული”, გონივრულის საწინააღმდეგო.

ირეალური – (ლათ) არარეალური, არანამდვილი.

ირონია (eironeia – თვალთმაქცობა, მომიზეზება) – თავდაპირველად ლაპარაკის მანერა, რომლის დროსაც მოლაპარაკეს თავი უჭირავს უცოდინრად, თუმცა კი მცოდნეა, მაგრამ ლაპარაკობს რაღაც იმის საწინააღმდეგოდ, რასაც ნამდვილად ფიქრობს ან რაც სწორად მიაჩნია (მაგრამ ეს უნდა გაუგოს ინტელიგენტმა მსმენელმა). სოკრატეს ირონია იმაშია, რომ ბრძენი თავს სულელად მოაჩვენებს უმეცრებს, რომლებსაც ჰგონიათ, მცოდნენი და ბრძენები ვართო, რათა, მათ ბოლოს, საკუთარი დასკვნებით

(სხვების პირით) შეიტყონ თავიანთი უმეცრებისა და სისულელის შესახებ და ესწრაფონ ჭეშმარიტ სიბრძნეს. რომანტიკული ირონია გონის ისეთი განწყობაა, “როცა იგი ყველაფერს აგდებით უყურებს, უსასრულოდ მაღლდება ყოველივე შეზღუდულზე, ისევე, როგორც საკუთარ ხელოვნებაზე, სათნოებასა თუ გენიაოლოგიაზე“ (ფრ. შლეგელი). ირონია შეიძლება იყოს ნამდვილი უპირატესობის გამოხატულება ან შინაგანი სისუსტის და ურწმუნობის კომპენსაციის ცდა. ეკზისტენციალური ირონია, კირკეგორის მიხედვით – ეს არის ესთეტიკური მოვლენების აბსოლუტური გაუთვალისწინებლობა ეთიკურ ნორმებზე გადასვლისას, რომლებიც ქმნიან ამ რელიგიის თვითპოვნის გაუთვალისწინებლობის წანამძღვარს, რომლის ფესვები გრძნობათა დიდად განვითარებულ ქრისტიანულ სამყაროშია გადგმული.

ისტორია – იმ მსოფლიო მოვლენების დროითი თანამიმდევრობა, რომლებიც ქმნიან გარკვეულ სინამდვილეს, აგრეთვე ამ მოვლენებისა და მათი შინაარსის ჩაწერა ყველაზე მარტივად – ერთი

მოვლენისადმი მეორის ჩვეულებრივი დროითი თანამიმდევრობის ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთან ყველაზე ახლოსაა კაცთა მოდგმის ისტორია, ე. ი. მისი საკუთარი ისტორია, არა-ადამიანურ ბუნებასაც აქვს თავისი ისტორია, რომელიც შეიცავს სამყაროს, დედამიწის, მცენარეთა და ცხოველთა სამეფოს წარმოშობის ისტორიას. ისტორიული კვლევის ამოცანაა ჩვენამდე მოღწეული ისტორიული მოვლენების ერთობლიობიდან შეარჩიოს ისინი, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა, მათი დახმარებით შეადგინოს ისტორიული სურათი და ახსნას მათ შორის არსებული კავშირი ისე, რომ თანამედროვე მდგომარეობა მათი შედეგი აღმოჩნდეს. ამასთან ისტორიული კვლევა ისტორიის ზემოთ კი არ ღვას, არამედ ჩაწნულია დროის ქსოვილში. “ის, რაც ისტორიაში მხოლოდ ფიზიკური საფუძველია და რაც ერთნაირად მეორდება, ე. ი. კანონზომიერი მიზეზობრივი კავშირები, არაისტორიულია ისტორიაში. მოვლენათა ქარტეხილში ნამდვილად ისტორიულს აქვს თავის გვარში ერთადერთი ხასიათი. იგი წარმოადგენს ტრადიციას ავტორი-

ტეტის წყალობით და ქმნის უწყვეტობას წარსულის შესახებ მოგონების სახით. ეს არის მოვლენათა ცვლა შეგნებულად განხორციელებული აზრისეულ კავშირურთიერთობებში“.

რატომ არსებობს საერთოდ ისტორია? იმიტომ, რომ ადამიანი ბოლოვადი და არასრულყოფილი არსებაა; ისტორიაში მიმდინარე გარდაქმნები ადამიანს აზიარებენ მარადიულობას, რომლის წვდომაც მას მხოლოდ ამ გზით შეუძლია. ადამიანის არასრულქმნილება და მისი ისტორიულობა ერთი და იგივეა. ადამიანის შეზღუდულობა გამორიცხავს ზოგიერთ შესაძლებლობას: დედამიწაზე ვერ იქნება იდეალური მდგომარეობა, არ არსებობს, მსოფლიოს სამართლიანი წყობა, არ არსებობს სრულყოფილი ადამიანი, მყარი საბოლოო მდგომარეობანი შესაძლებელია მხოლოდ როგორც ბუნებრივი მოვლენების გამეორება. მუდმივი არასრულყოფილების გამო მსოფლიოს წყობა მარადიულად უნდა იცვლებოდეს ისტორიაში. ისტორია თავისთავად არ შეიძლება დასრულდეს. იგი შეიძლება დასრულდეს მხოლოდ შინაგანი უძრაობის ან კოსმოსური კატასტროფის



მეოხებით.. თუმცა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა საკუთრივ ისტორიული მარადიული იმ ფორმით, რომლითაც ხდება მისი რეალიზაცია, ჩვენგან მოითხოვს გადაწყვეტას, მიუხედავად ამისა შეუძლებელია მთლიანად და საბოლოოდ მსჯელობა რაიმე ისტორიულ მოვლენაზე, ვინაიდან ჩვენ ღვთაება კი არა ვართ, რომელიც განსჯის, არამედ ადამიანები, რომლებიც ხსნიან მოვლენათა საზრისს, რათა მონაწილეობდნენ ისტორიულში. ამიტომ, რამდენადაც უფრო ღრმად ვწვდებით მას, მით უფრო გოცნებულნი ვართ და კვლავ განვაგრძობთ ძიებას“ (იასპერსი).

ისტორიის ფილოსოფია – (ეს გამოთქმა შემოიტანა ვოლტერმა, ფაქტიურად იგი სათავეს იღებს ანტიკურობიდან). ისტორიის, ე. ი. მეტწილად ისტორიული კვლევის შედეგების და ისტორიის გადმოცემა, განმარტება და შეფასება. ისტორიის ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი სისტემებია: თეოლოგიური ისტორიის ფილოსოფიას ისტორიის მამოძრავებელ ძალად მიაჩნია ღმერთის გადაწყვეტილება; მეტაფიზიკური ისტორიის ფილო-

სოფიას – ტრანსცენდენტალური კანონზომიერება ან ბედი; იდეალისტური ისტორიის ფილოსოფიას – იდეები, ადამიანის გონითმეცნიერული ანუ სულიერი ცხოვრება; ნატურალისტური ისტორიის ფილოსოფიას – ადამიანის ბუნება, მისი ლტოლვები, ვნებანი და მისი გარემო; მატერიალისტურ-ეკონომიკური ისტორიის ფილოსოფიას – ეკონომიკური ურთიერთობანი. იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება ადამიანის როლი ისტორიაში, არსებობს ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური ისტორიის ფილოსოფია. მეორე მხრივ, მათ უპირისპირდება ფატალისტური (დეტერმინისტული) და აქტივისტური (ინდეტერმინისტული) ფილოსოფია. ისტორიის ფილოსოფიის სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემებია: ისტორიული შემეცნების არსება და საზღვრები, ისტორიული მეცნიერების ცნებათა შექმნა, ე. წ. ისტორიული კანონი, ე. წ. ისტორიის საზრისი – საკითხი იმის თაობაზე, დაკავშირებულია თუ არა აუცილებლობით “პროგრესი“ ისტორიის მსვლელობასთან და ამასთან რა საფეხურები უნდა იქნეს გავლილი. ისტორიულად. ისტორიის ფილოსოფია იწყება

ანტიკურობაში ჰეროდოტეს და თუკიდიდეს გამოკვლევებით ისტორიული მოძრაობის ძალის შესახებ; შემდეგ მიდის პოლიბიუსის მეშვეობით პოსიდონიუსის მთლიანობის გაგებისაკენ და პლუტარქეს ზნეობრივ-პოლიტიკური მოძღვრებისაკენ. ავგუსტინემ შექმნა ღვთაებრივი სახელმწიფოს ისტორიის ფილოსოფია, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ქრისტიანულ ეკლესიაში და მისმა ისტორიის ფილოსოფიამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა შემდგომ ათასწლეულზე. მხოლოდ XVIII საუკუნეში ისტორიის ფილოსოფია პრინციპულად გასცდა ავგუსტინეს მოძღვრებას, რომელსაც იგი ემყარებოდა საუკუნეთა მანძილზე. მართალია, იგი გახდა ფსიქოლოგიზირებული, სურდა ისტორიაში დაენახა ინდივიდუალური სულიერი ცხოვრების კანონთა განხორციელება. გერმანულ იდეალიზმს მის წინამორბედთან ერთად, მოყოლებული ლაიბნიცით, მიაჩნია, რომ ისტორიაში ბატონობენ მეტაფიზიკური ძალები და იდეები, ხოლო ადამიანს ის განიხილავს როგორც ჩართულს ისტორიის ემპირიულ და ტრანსცენდენტალურ მოვლენებში;

ჰეგელს მთელი სინამდვილე მიაჩნია ისტორიად, რომელშიც ბატონობს მსოფლიო გონება.

ისტორიზმი – ისტორიული ცნობიერება, ე. ი. ყოველგვარი შემეცნების თანმხლები იმის შეგრძნება, რომ ყველაფერი წარმოადგენს ქმნილს, თვით სულიერი ყოფიერებაც კი. ახალ დროში აღიარეს ისტორიზმის მნიშვნელობა ჭეშმარიტების კვლევისათვის, ხოლო ამჟამად იგი კვლავ იქცა ფილოსოფიური მსჯელობის საგნად კირკეგორის, ნიცშეს, ზიმელის, ეიკენის, უწინარეს ყოვლისა კი დილტაის და ფილოსოფოს-ეკზისტენციალისტების წყალობით. ისტორიზმი სხვა აზრით არის უკანდახევა აწმყოს წინაშე წარსულში, რის მეოხებითაც იკარგება მოცემული ფაქტების ღირებულება და მათი მნიშვნელობა შედარებითი ხდება. ისტორიზმის ამ ფორმას განსაკუთრებით ესხმოდნენ თავს ე. ტრელჩი (“ისტორიზმი და მისი პრობლემა” 1922, “ისტორიზმი და მისი დაძლევა“, 1924.) და ჰაინრიხ რიკერტი. “იქ, სადაც სინამდვილეს უნდა ჩავწვდეთ მის ინდივიდუალობასა და განსაკუთრებულო-

ბაში, იქ უბრალოდ ლოგიკურად უაზროა სინამდვილეს მივუყენოთ ზოგადი ცნებები ან წამოვაყენოთ ისტორიული კანონები, რომლებიც, როგორც ვიცით, როგორც კანონები, აუცილებლად ზოგად ცნებებს წარმოადგენენ. საქმე ის კი არ არის, რომ მეტნაკლებად ძნელია ვიპოვოთ ისტორიის კანონები, არამედ “ისტორიული კანონის“ ცნება შეიცავს *contra-ditio in odjectos*, ესე იგი ისტორიული მეცნიერება და კანონთა აღმოჩენის მეცნიერება გამორიცხავენ ურთიერთს“ (რიკერტი, ცნებათა ბუნებათმეცნიერული წარმოქმნის საზღვრები, 1921). ფ. კ. სავინის, ი. გ. აისპორნის, ვ. გრიმის, ლ. ფონ რანკეს თვალსაზრისით, ისტორიული გაგება მიიღწევა დეტალური კვლევის საფუძველზე.

ისტორიული ციკლების თეორია (ბერძნ. *kyklos* – წრე) – ოსვალდ შპენგლერის მიერ წამოყენებული თეორია, რომლის თანახმად, ისტორიის მსვლელობა წარმოადგენს არა სწორხაზობრივს (როგორც ეს მიაჩნია ფიხტეს ხუთი სტადიის თეორიას, კანტის სამი სტადიის თეორიას ან ლამპრეხტის მოძ-

ღვრებას კულტურული ეპოქების შესახებ), არამედ ციკლურს: აღმავლობის პერიოდს კანონზომიერად მოსდევს დაღმავლობის პერიოდი; შდრ. ისტორიის ფილოსოფია.

იუნგი კალ გუსტავ – ფსიქიატრი; დაიბ. 26. VII. 1875 (ბაზელი). 1933 წლიდან ციურიხის უნივერსიტეტის დოცენტი, ფსიქოანალიზური სკოლის ციურიხის შტოს (“ანალიზური ფსიქოლოგია“) დამაარსებელი, ფროიდის მსგავსად, იუნგი იცავს იმ აზრს, რომ ინდივიდი იმ სფეროს აქტიური და რეაქტიული ცენტრია, რომელთანაც იგი რეალურად არის დაკავშირებული, იმ წრის ცენტრია, რომელშიც იგი ცხოვრობს და რომელსაც ტოვებს სიკვდილის შემდეგ. იუნგი ცნობს (პიროვნებაში არაცნობიერის არსებობის გარდა) არაცნობიერის არსებობას კოლექტივში, რომელიც ერთიანია, ერთგვაროვანია, მთელი კაცობრიობის დამახასიათებელი თვისებაა, რომლის სტრუქტურული ელემენტები “არქეტიპებს“ წარმოადგენენ და რომელთაგანაც განვითარდა თითოეული ინდივიდუალური გონითობა. “აზროვნების

ყველა ძირითადი ფორმა და ძირითადი სტიმული კოლექტიურია. ყველაფერი, რასაც ადამიანები ერთსულოვნად აფასებენ როგორც საყოველთაოს, კოლექტიურია, ისევე როგორც ის, რაც ყველას გაეგება, რაც ყველას ახასიათებს, რასაც ყველა ამბობს და აკეთებს“ („ურთიერთობა მესა და არაცნობიერს შორის“, 1938). იუნგი განასხვავებს ნილაბს. ლათ. „persona“, რომელიც რაღაც სინამდვილე კი არ არის, არამედ კომპრომისია ინდივიდსა და საზოგადოებას შორის იმ საკითხზე, თუ რა არის პიროვნება, არაცნობიერის გარკვეულ მისწრაფებათა, გრძნობათა და აზრებისადმი შინაგანი განწყობისაგან. ინტერესის მიმართულებას იუნგთან ეწოდება „მამოდრავებელი ლიბიდო.“ იუნგის მიხედვით, არსებობს სულის განწყობის ოთხი ძირითადი ფორმა: აზრი, გრძნობა, შეგრძნება და ინტუიცია. წინასექსუალური სტადიიდან გაღვიძებული სექსუალობის (სქესობრივი მოწიფულობა) მეშვეობით განვითარება მიდის მოწიფულობის ასაკისაკენ (მოწიფულობა); შდრ. სილრმისეული ფსიქოლოგია. ძირითადი ნაშრომები: „ლიბიდოს მოქმედება

და სიმბოლოები“, 1912, 1938; „არაცნობიერი პროცესების ფსიქოლოგია“, 1926; „ფსიქოლოგიური ტიპები“, 1921, 1942; „მომავლის სულის პრობლემა“, 1931, 1905; „სინამდვილე და სული“, 1934, 1939; „ანალიზური ფსიქოლოგია და აღზრდა“, 1936; „ფსიქოლოგია და რელიგია“, 1946; „გონის სიმბოლიკა“, 1948; „გამოკვლევები სიმბოლოების შესახებ“, 1951; „პასუხი იობს“, 1952; „ალქიმის ფსიქოლოგია“, 1952; „ფსიქოანალიზური თეორიის გადმოცემის ცდა“, 1954; 3 ტომი. 1955, 1957.

იუნესკო – განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემოკლებული სახელწოდება (United Nations Educational, Scientific and Cultural Organisation); შეიქმნა 16. II. 1945 წელს ლონდონში. ამოცანად ისახავს ბრძოლას უმეცრების წინააღმდეგ, აზრთა თავისუფალი გაზიარებისათვის სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მთელ მსოფლიოში ისეთ წანამძრვრების შექმნისათვის, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა თითოეულმა თანაბრად ისარგებლოს მეცნი-

ერების, კულტურისა და განათლების მიღწევებით. იუნესკოს სამდივნო პარიზშია. გერმანიაში ამჟამად არსებობს სამი საერთაშორისო ინსტიტუტი: 1) პედაგოგიკის ინსტიტუტი ჰამბურგში, 2) სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი კელნში და 3) ახალგაზრდობის ინსტიტუტი მიუნხენში. იუნესკოს ოფიციალური ორგანოა "le courier" (იუნესკოს კურიერი, რომელიც გამოდის 1948 წლიდან), იუნესკოს გენერალური დირექტორი 1949 წლამდე იყო ჰაქსლი, 1953 წლამდე — მექსიკის საგარეო საქმეთა და განათლების მინისტრი ხაიმა ტორეს ბოდე, მოგვიანებით ვაშინგტონში კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორი ლუთერ ევანსი.

- 3 -

კაზუალიზმი (ლათ. casus — შემთხვევა, შემთხვევითობა) — მოძღვრება შემთხვევითობის შესახებ, შეხედულება, რომელსაც იცავდნენ ეპიკურე, ლუკრეციუსი და სხვები, იმის შესახებ რომ სამყაროში ბატონობს შემთხვევითობა და ის

შემთხვევითობის მეშვეობით წარმოიშვა.

კაზუისტიკა (ლათ. casus [conscientiac] — ცნობილი შემთხვევები) — მორალის შესახებ მეცნიერების ნაწილი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ქცევას გარკვეულ პირობებსა და მოვლენებში. დაამუშავეს სტოელებმა, თალმუდისტებმა, სქოლასტიკოსებმა და იეზუიტებმა. სამართლის მეცნიერებაში იმ კანონის გამოძებნა, რომელიც საშუალებას იძლევა ცალკეული შემთხვევა განხილულ იქნეს მისი სპეციფიკის შესაბამისად, საეჭვო შემთხვევებში "კაზუისტიკა" იხმარება მოხერხებულობისა და სოფისტიკურობის აღსანიშნავად.

კათარსისი (ბერძნ. katharsis — განწმენდა) — განწმენდა, კერძოდ სულის მისტიკური განწმენდა გრძნობადობის, სხეულებრიობის ჭუჭყისაგან; არისტოტელეს მიხედვით ტრაგედიის მიზანია სულის კათარსისის მოხდენა, "ვნებათა განწმენდა", უფრო ზუსტად "ვნებათაგან განწმენდა" სახელ-

დობრ თანაგრძნობისა და შიშის აღძვრით.

კათოლიციზმი – საზოგადოებრივ ცნობიერებაში პროტესტანტობის წარმოშობის დროიდან ახლო-აღმოსავლური და დასავლეთ-ევროპული ეკლესიის ის განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც ვითარდებოდა ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან და ჩვენ დრომდე შემორჩა. დასავლეთის ქვეყნებში ეს ხასიათი მკაფიოდ გამოხატეს პაპებმა და საეკლესიო კრებამ ტრიდენტში (1545-1563). კათოლიკების ცნება ჩნდება უკვე დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 150 წელს და მოწმობს იმას, რომ ქრისტიანობის სხვა განმარტებების საპირისპიროდ “ყველგან” (ბერძნ. *katholu*) ვრცელდება და უნდა აღიარონ მოციქულებისაგან მომდინარე თქმულებანი. ამ თვალსაზრისის კლასიკურ ფორმულას უწოდებენ კათოლიკურს: “რასაც აღიარებენ ყველგან, ყოველთვის და ყველანი”. ამით კათოლიციზმი წარმოგვიდგება როგორც ახლომდგომი ბუნებრივ რელიგიასა და *consensus amnium* -თან.

კამპანელა თომაზო – იტალიელი ფილოსოფოსი. დაიბ. 5. IX. 1568 (სტილო, კალაბრა) – გარდ. 21. V. 1639 (პარიზი). მკაცრი საეკლესიო ყაიდის დომინიკანელი, იცავდა პაპის კათოლიკური ერთიანი მონარქიის იდეას, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ყველა ეროვნული სახელმწიფო.

კამპანელა ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ ბუნება შეესწავლათ არისტოტელეს ნაშრომების მიხედვით და მოითხოვდა თვით ბუნების შესწავლას. საკუთარი არსების შენარჩუნება და გახანგრძლივება ქცევის უმაღლესი მიზანია. ნება სავსებით და მთლიანად მიმართულია ძალაუფლებაზე. ძალაუფლება მიიღება ცოდნით, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მთელ აღზრდას. თავის წიგნში (“მზის ქალაქი” გერმ. გამოცემა 1900 წ.) კამპანელა ხატავს სრულქმნილი სახელმწიფოს სურათს ქრისტიანულ-კომუნისტური სულისკვეთებით, სადაც ბატონობენ წმინდანი ფილოსოფოსები (პაპის მეთაურობით, რომელიც იდეალის განსახიერებაა). იეზუიტები თავიანთი ბატონობის დროს პარაგვაიში

(1688–1768) ცდილობდნენ შეექმნათ ასეთი “მზის ქალაქი”.

კანონი (ბერძნ. kanon – წესი) – გარკვეულ სფეროში მოქმედი წესების კრებული. კანონიკა ეპიკურმა უწოდა ლოგიკას.

კანტი იმანუილ – ფილოსოფოსი, დაიბ. 22. IV. 1724 წ. (კენიგსბერგში) – გარდ. 12. II. 1804 (იქვე). 1756 წლიდან მუშაობდა პრივატ-დოცენტად, 1770 წ. ლოგიკისა და მეტაფიზიკის ორდინარულ პროფესორად. კანტი კრიტიციზმის ფუძემდებელია. “წინაკრიტიკულ კანტს” განახვავებენ “კრიტიკული” კანტისაგან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კანტის ფილოსოფიამ გაიარა განვითარების შემდეგი სტადიები: 1) ბუნებათმეცნიერული (1747–1755) პერიოდი, როცა დაიწერა “ბუნების საყოველთაო თეორია და ცის თეორია”; 2) მეტაფიზიკური, როცა კანტი გადადის კრიტიკულ მეტაფიზიკაზე (“სულთამხილველის ზმანებანი”, 1766), სადაც კრიტიკულად ეკიდება სვედენბორგს, 3) კანტის კრიტიკული ფილოსოფია იწყება “წმინდა გონების კრიტიკით”

(1781); 4) კანტის შემოქმედებითი ბოლო, კრიტიკის შემდგომი პერიოდი.

კანტმა ცვლილებები შეიტანა მეტაფიზიკის ცნების შინაარსში და შექმნა შემეცნების თეორიის ახალი ცნება – ერთიც და მეორეც გააკეთა “წმინდა გონების კრიტიკაში”. მეტაფიზიკა კანტისთვის იგივეა, რაც ფილოსოფოს-“დოგმატიკოსებისათვის” – მეცნიერება აბსოლუტის შესახებ, მაგრამ ადამიანის გონების საზღვრებში. შემეცნების თეორია “სასაზღვრო საგუშაგოა”, რომელიც უპირისპირდება შემეცნების საზღვრის იქით გადასვლას, რაშიც ადანაშაულებს წმინდა გონებას, რომელიც შემეცნებას ესწრაფვის, ვინაიდან ცოდნა, კანტის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ და სავსებით ემყარება ცდას, გრძნობად აღქმას. მხოლოდ გრძნობები გვაძლევენ ცნობებს ნამდვილ გარესამყაროს შესახებ.

კანტის თავისთავადი მოვალეობის ეთიკა, რომელიც გადმოცემულია ზემოთ აღნიშნულ თხზულებაში, ფილოსოფიის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს, საფუძვლად უდევს შემდეგ მსჯელობას: თუმცა გონებას არ ძალუძს ჩასწვდეს საგნებს წმინდა

აპრიორულად, ე. ი. ცდის გარეშე, მაგრამ მას შეუძლია განსაზღვროს ადამიანის ნება და მისი პრაქტიკული ქცევა. ამასთან თურმე თავისი ემპირიული ხასიათით, ე. ი. როგორც პიროვნება, ადამიანი ბუნების კანონებზე მაღლა დგას, განიცდის გარე სამყაროს გავლენას, იგი არ არის თავისუფალი. თავისი “ინდივიდუალური” ხასიათით კი იგი თავისუფალია და მისდევს მხოლოდ თავის პრაქტიკულ გონებას. მორალის კანონი, რომელსაც იგი მისდევს, ამასთანავე კატეგორიული იმპერატივია.

მორალურობა კანტის მიხედვით, თავისუფალია რელიგიური პეტერონომიისაგან (გაუცხოება, ზეგაუცხოება), ვინაიდან იგი ავტონომიურია (არსებობს თავისი კანონებით). ამასთან დაკავშირებით კანტი იძლევა სამართლის, სახელმწიფოს, პოლიტიკის ისტორიის თავის გაგებას, რომელთა რეალობას, განსაკუთრებით მარადიული მშვიდობის რეალობას, ის მეტად სკეპტიკურად ეკიდება და მას ეთიკურ-პოლიტიკური იდეალის სახით განიხილავს.

კარლელი თომას
 ინგლისელი მორალისტი და ისტორიკოსი; დაიბ. 4. XIII. 1795

(ეკლფეხანი, შოტლანდია) – გარდ. 4. II. 1881 (ლონდონი); ცდილობდა ხელი შეეწყო ინგლისში გერმანიის სულიერი ცხოვრების შესახებ ცოდნის გავრცელებისთვის. მის იმ მრავალრიცხოვან ნაშრომების ცენტრში, რომლებშიც განხილულია ისტორიის პრობლემები, არის ცნება გენიალური ისტორიული პიროვნებისა, რომელიც ქმნის კიდევ ისტორიას. (“გმირები და გმირული ისტორიაში” – რუსული თარგმანი, 1891 წ.). კარდლეილის თხზულებათა სრული კრებული გერმანულ ენაზე 30 ტომად გამოიცა (1897-1901 წწ.).

კარმა (სანკრ.) – ბრაჰმანისტების, ბუდისტებისა და ჯაინისტების მოძღვრების თანახმად, “შრომა”; სპეციალურად – კეთილ და ბოროტ საქმეთა ჯამი ცხოვრებაში, რომელიც მისთვის დამახასიათებელ ავტომატურად მოქმედ და კანონზომიერი მიზეზობრიობის საფუძველზე ქმნის გარკვეული გვარეობის არსებისა და გარკვეული ბედის არსებობის წანამძღვრებს.

კატეგორიული (ბერძნ. Kate-gorein – გამოთქმა) გამომხატველი, დამამტკიცებელი; უპირობო



კლასი – ლოგისტიკაში – ცალკეულ საგანთა ჯამი, ბუნებრივ მეცნიერულ სისტემატიკაში – სისტემის ერთეული; სოციოლოგიაში – კლასები “მემკვიდრეობითი” მყარი წარმონაქმნებია, რომლებიც ერთნი მეორეებს იქვემდებარებენ ან ერთნი მეორეებს ექვემდებარებიან. უმაღლესი კლასი თავისი ცხოვრების წესითა და საერთო მდგომარეობით იდეალია დაბალი კლასისათვის იმ პერიოდებშიც კი, როდესაც კლასობრივ ძალთა ცვალებადი თანაფარდობა უკვე ძალიან არყვეს უმაღლესი კლასის ძალაუფლებას (ფ. ოპენჰაიმერი). კლასების მარქსისტული თეორია ცნობს მხოლოდ ორ კლასს: მქონებლებს, ბურჟუაზიას, კაპიტალისტებს, “ექსპლუატატორებს”, ერთი მხრივ, და უქონელთ, პროლეტარიატს, “ექსპლუატირებულების” კლასს, მეორე მხრივ. ორივე კლასს შორის არსებობს მუდმივი ბრძოლა. დიალექტიკური კანონის თანახმად, კლასობრივ ბრძოლას უნდა მოჰყვეს პროლეტარიატის დიქტატურა, უკლასო საზოგადოება და ამასთან ერთად ადამიანთა უდიდესი უმრავლესობის ყველაზე დიდი ბედნიერება.

კლასობრივი ცნობიერება – მარქსიზმის სოციალურ-ეთიკური ცნება; პროლეტარიატი მუდამ უნდა იცნობიერებდეს, რომ მიეკუთვნება ექსპლოატირებულ კლასს და სოლიდარობას უნდა უცხადებდეს ყველა ქვეყნის პროლეტარებს და არ უნდა მიისწრაფვოდეს ინდივიდუალური ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

კლასიკური – შესანიშნავი, სანიმუშო; ანტიკური კულტურის განვითარების უმაღლესი პერიოდის შესაბამისად, რომელსაც კლასიკური ეწოდება.

კლასიკა – მისწრაფება სიმშვიდისაკენ, წესრიგისაკენ, ზომიერებისა და ჰარმონიისაკენ, ბაროკოსა და რომანტიზმისათვის დამახასიათებელი უინიანობის, პირქუშობის, თავაწყვეტილობის, უწესრიგობის საპირისპიროდ. პრედიკატი “კლასიკური” ჩვენს დროში გადატანითი აზრით მიეწერება აგრეთვე უფრო გვიანდელ ნაწარმოებებს და შემოქმედებით პიროვნებებს.

კოლიზია – შეჯახება. ეთიკაში მოვალეობის კოლიზია. ერთი მოვალეობის შეჯახება მეორესთან, ამასთანავე ერთ-ერთი მათგანის შესრულება გამორიცხავს მეორის შესრულებას: უპირატესობა ენიჭება იმ მოვალეობას, რომლის შესრულება მეტ მორალურ ენერგიას მოითხოვს.

კომბინაცია – აზროვნებაში ერთგვაროვანის გაერთიანება, შეერთება.

კომპენსაცია (ლათ. გაწონასწორება) – ალფრედ ადლერის ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ძირითადი ცნება, რომლის თანახმად იმ წარმოდგენათა ან მოქმედებათა მეოხებით, რომელთაც ინდივიდი მიყავთ თავისი სრულფასოვნების და უპირატესობის შეგნებამდეც კი; რითაც ხდება არასრულფასოვნების გრძნობის კომპენსაცია ან ზეკომპენსაცია.

კომპონენტი (ლათ. შედგენა) – ხელშემწყობი ძალა, ნაწილობრივი მიზეზი, რომელიც გავლენას ახდენს პროდუქტზე, შედეგზე.

კომუნიზმი (ლათ. communis – საერთო) – მარქსიზმის თანმიმდევრული ფორმა, რომელმაც თავისი ყველაზე მკაფიო გამოხატულება ჰპოვა რუსულ ბოლშევიზმში, თუმცა კომუნიზმის, როგორც საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების აშენების ცდებს მიმართავდნენ უკვე ძველთაგან (კომუნისტური ნიშნები პლატონის იდეალურ სახელმწიფოში, რომელსაც იგი აღწერს “სახელმწიფოში”, ძველ ქრისტიანობაში, და ბევრ რელიგიურ სექტაში), კომუნიზმი მიზნად ისახავს ისეთი ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობილების შექმნას, რომელიც ყველა ადამიანის თანასწორობის მოთხოვნაში, რთავს პირადი საკუთრების მოსპობისა და განსაკუთრებით წარმოების საშუალებათა და წარმოების პროდუქტების ექსპროპრიაციის მოთხოვნას. ამით უნდა დაიძლიოს უწინარეს ყოვლისა ადამიანის გაუცხოება, რომელიც ისტორიულად იმის მეოხებით წარმოიშვა, რომ მატერიალური დოვლათი ადამიანური მუნყოფიერების საკუთრივ ღირებულებამდე იქნეს ამაღლებული.

კომუნიკაცია (ლათ. *comuni - kal* – თათბირი ვინმესთან) – კ. იასპერსის თანახმად, პროცესი, რომელშიც “მე” ნამდვილად ხდება თავისთავადი იმის მეოხებით, რომ იგი თავისთავს აღმოაჩენს სხვაში. “თავის თავის სხვაში აღმოაჩენის ეს პროცესი წარმოადგენს ერთადერთ თავისებურ ბრძოლას, სიყვარულის იგივეობრივ ბრძოლას, “სასიყვარულო ბრძოლას”, რომელიც სამყაროს არ უყურებს როგორც ჰარმონიას, რომელიც კომუნიკაციას საერთოდ შეუძლებელს ხდის, არამედ ყველაფერს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, წარმოშობს სიძნელეებს და რომლის პრეტენზიები განსაკუთრებული სოლიდარობის პირობებში, რომელიც ამრიგად ეხება ადამიანებს, მეტად სერიოზულია. კომუნიკაცია შეიძლება დამყარდეს აგრეთვე დუმილით: იმის მსგავსად, როგორც ჰაიდეგერის (და ანალოგიურად კირკეგორის) თვალსაზრისით, დუმილი წარმოქმნის საკუთრივ სიტყვის შესაძლებლობას, იგი წარმოქმნის აგრეთვე ერთობას რომლის გარეშეც გარკვეული კომუნიკაცია შეუძლებელია” (ფ. ი. ბრეხტი, “ექსის-

ტენციის ფილოსოფიის შესავალი”, 1948).

კონკრეტული (ლათ. *concretus* – შესქელებული) – ასე ეწოდება ბუნებრივ ხილულ და ხელშესახებ სინამდვილეს, რომელიც გარკვეულ დროს გარკვეულ ადგილას იმყოფება; საპირისპიროა – აბსტრაქტული.

კონტროლი (ფრანგ. *controle* – შემხვედრი, მეორეული ჩანაწერი პირველის შემოწმების მიზნით) – შემოწმება, დაკვირვება; ახლა ხშირად იხმარება ინგლისური *control*-ის აზრით (ბატონობა, ძალადობა, ძალაუფლება).

კონფლიქტი (ლათ. *conflictus*) – შეჯახება, დავა, განსაკუთრებით სულიერ და ზნეობრივ სფეროში, კონფლიქტებს სოციალურ სფეროში ხშირად მოსდევს აშკარა ბრძოლა, განსაკუთრებით, როცა საქმე გვაქვს სხვადასხვა ინტერესებისა და ჯგუფებისა და კლასების რადიკალურ მოთხოვნებთან, რომლებიც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში გადაიზრდებიან ხოლმე.

კონცენტრაცია (ლათ. conc + centrum) – ცენტრისთვის მიკუთვნება, ერთ წერტილში თავმოყრა, დალაგება, შეგროვება.

კონცეფცია (ლათ. conceptio) – საერთო ჩანაფიქრი, გაგება; იდეის, ძირითადი აზრის, მხატვრული ან სხვა ძირითადი მოტივის უეცარი დაბადება.

კონვენციონალიზმი (ლათ. conventio) – ხელშეკრულება, შეთანხმება, მორიგება – ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ცნებების, განსაზღვრებების, აქსიომების, ჰიპოთეზების ხასიათი ემყარება მეცნიერთა წმინდა მიზანშეწონილ შეთანხმებას.

კონტრპოზიცია – დაპირისპირება, მტკიცებითი (დადებითი) მსჯელობის გადაქცევა უარყოფით მსჯელობად, ან პირიქით.

კონსტიტუციური (ლათ. constituere – დადგენა, განსაზღვრა) – ობიექტურად განმსაზღვრელი, ნივთის არსების განმსაზღვრელი. ლოგიკაში კონსტიტუციური ეწოდება ცნების არსებით ნიშნებს,

ე. ი. იმათ, რომელთა დაკარგვასთან ერთად იგი კარგავს აზრს.

კონსტიტუცია (ლათ. constitutio) – შედგენა, ორგანიზაცია, მოწყობილობა, აგრეთვე სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

კოორდინაცია – თანადაქვემდებარება, ლოგიკაში – ტოლფასოვანი საგნების ან ცნებების შეთანხმება, ურთიერთშედარება.

კოსმიური (ბერძ.) – ის, რაც ეხება სამყაროს, კოსმოსს, კოსმოსის დამახასიათებელი, კოსმიური გავლენა ადამიანებზე.

კოსმოგონია (ბერძ. kosmos – სამყარო + gonia – შექმნა) – მითი სამყაროს შექმნის შესახებ, რაციონალურამდელი, მეცნიერულამდელი, მითოლოგიურ-რელიგიური მოძღვრება, სამყაროს შექმნის, მისი განვითარების შესახებ.

ტიპიურ კოსმოგონურ მოძღვრებებს ავითარებდა ყველა რელიგია, ამასთან ეს მოძღვრებები განიხილავდნენ აგრეთვე ადამიანის მოღვმის წარმოშობასაც.



კოსმოლოგია (ბერძნ. kosmos – სამყარო + ლოგოს – სიტყვა-მოძღვრება სამყაროს შესახებ) – სამყაროს, კოსმოსის, განსაკუთრებით მისი წარმოშობის ფილოსოფიის მეცნიერული განხილვა. კოსმოლოგიის წარმოშობა უძველეს ხანას მიეკუთვნება (ბაბილონელი და ეგვიპტელი ქურუმების დაკვირვება-შენიშვნები). კოსმოლოგია, რომელსაც ადრე განიხილავდნენ როგორც მეტაფიზიკის ნაწილს, თვით გახდა მეცნიერება ბუნების შესახებ და (ვიწრო აზრით გაგებულ) უთანაბრდება ასტრონომიას.

კოსმოსი (ბერძნ. kosmos) – ქვეყნიერება, სამყარო, გააზრებული როგორც მოწესრიგებული ერთიანობა (ქაოსის საპირისპირო). კოსმოსი, სამყაროს პირველად უწოდა პითაგორამ, რომელმაც ყურადღება მიაქცია მასში გამეფებულ ჰარმონიას. პლუტარქე თავის “ბუნებრივ ისტორიას” იწყებს კოსმოსის ხოტბით.

კრიტერიუმი (ბერძნ. kriterion – გამოყოფა, ბჭობა) – შემოწმების ნიშანი, საშუალება, საზომი.

კრიტიკა (ბერძნ. kritike – მსჯელობის ხელოვნება) – შეფასება, აგრეთვე შეფასების, შემოწმების უნარი, ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელიც იცავს მას ცდომილებათა და შეცდომების შედეგებისაგან.

კროპოტკინი პეტრე – თავადი, რუსი ანარქისტი; დაიბ. 9. XII. 1842 (მოსკოვი) – გარდ. 8. II. 1921 (დმიტროვი, მოსკოვთან). თავდაპირველად ოფიცერი და მოგზაური, რევოლუციონერი და მწერალი. მისი მორალური და სოციოლოგიური შეხედულებების მწვერვალია ეგოისტურად მოტივირებული ურთიერთდახმარების ცნება, რომელსაც იგი საფუძვლად უდებს თავის თეორიას ანარქისტულ-კომუნისტური საზოგადოების შესახებ.

კულტურის სისტემები – დილთაის მიერ შემოღებული კულტურის ცალკეული დარგების სახელწოდება, რამდენადაც ეს დარგები ამჟღავნებენ სპეციფიკურკანონზომიერ შინაგან კავშირს. კულტურის სისტემებს ქმნიან რელიგია, მეცნიერება, სამართალი, სახელმწიფო, ეკონომიკა და სხვა.

კულტურის სოციოლოგია – სოციოლოგიის მეთოდების გამოყენება კულტურის განვითარებისა და ფუნქციების ახსნის მიმართ, ამასთან ივარაუდება, რომ კულტურას საფუძვლად უდევს კულტურის მატარებელ ადამიანთა ჯგუფების ერთობის ფორმები.

კუნ ფუ ძი (კუნ-ძი – კონფუცი) – ჩინელი ფილისოფოსი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწე; დაიბადა 555 წელს ჩვენს ერამდე (კიეილი, ჩოუს ახლოს, ლუს სახელმწიფო, ამჟამად აშანდუნის პროვინცია) – გარდ. 479 წ. ჩვენს ერამდე (ლუს სახელმწიფო); ჩინეთის სახელმწიფო რელიგიის ბრძენი დამაარსებელი; მის მორალის ფილოსოფიას რელიგიური ფორმა ჰქონდა. 213 წ ჩვენს ერამდე ში ჰუანძის დროს კონფუციანელი სწავლების ინტრიგების საწინააღმდეგო ზომის სახით დაწვეს კონფუციის ყველა ნაწარმოები. მეფე კაო-ძუს (202-195 წ.) დროს რეაბილიტირებულმა კონფუციანელობა თავისი აყვავების პირველი პერიოდი განიცადა I საუკუნეში ჩვენს ერამდე. 1503 წელს კონფუცი სახელმწიფომ წმინდანად შერაცხა.

მას საკუთარი ფილოსოფია არ შეუქმნია, მაგრამ შეკრიბა, კომენტარი დაურთო და ჩამოაყალიბა ძველი ჩინეთის ხუთი კლასიკური ნაწარმოები. უეჭველად მას ეკუთვნის მხოლოდ კომენტარები წიგნისა გაზაფხული და შემოდგომა, ლუს სახელმწიფოს ისტორია. გარდა ამისა ხალხი მასვე მიაწერს თხზულებებს: “დიადი მოძღვრება” და “მოძღვრება შუაგულის” შესახებ. მათ ძირითად შინაარსს შეადგენს ხუთი მარტივი და დიდი სათნოება, რომლებიც შეესაბამებიან ბუნების კანონებს და წარმოადგენენ გონივრული წესრიგისა და ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების ძირითად პირობებს: 1) სიბრძნე; 2) სიკეთე; 3) ერთგულება; 4) (უფროსების) პატივისცემა; 5) მამაცობა, რომლებიც გარკვეული ზომით და გარკვეულ ფარგლებში უნდა ვცნოთ; პრაქტიკულად ეს ნიშნავს კეთილსინდისიერებას და ღრმა პატივისცემას თავისთავისა და სხვებისადმი, ამის უნარი კი, ცხადია, აქვთ მხოლოდ რჩეულ და სრულფასოვან ადამიანებს, ამავე დროს კანონების მხოლოდ დახვავება მიუღებელია. “სახელთა გასწორება” თეორიულად უნდა



ეხმარებოდეს პრაქტიკულ თვით-შემეცნებას, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთი საზოგადოებრივი წყობილების წარმოშობა, რომელიც დამყარებული იქნება გონებაზე და შესაძლებლობას მისცემს ინდივიდს არა მარტო სრულყოფილი საკუთარი თავი, არამედ შეასრულოს თავისი დანიშნულება ყველასათვის მოქმედებით. კონფუციანობამ I საუკუნეში საბოლოოდ უპირატესობა მოიპოვა დაოსიზმზე, განსაკუთრებით სენის ეპოქის მნიშვნელოვანი ნეოკონფუციანელობის მეოხებით, IX საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით საბოლოოდ გაიმარჯვა ბუდიზმზე.

- ლ -

ლაბრიოლა ანტონიო – იტალიელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი; დაიბადა 2. VII. 1848 (ქ. კასინო) – გარდ. 2. II. 1904 (რომი); 1847 წლიდან პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიიდან ჰეგელისა და ჰერბარტის მეშვეობით მივიდა ისტორიულ მატერიალიზმთან და გახდა იტალიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ბელადი; “იდუების

ფილისოფია” სურდა შეეცვალა “ნივთიერების ფილოსოფიით”, ე. ი. იდეათა ისტორია და განვითარება წარმოედგინა როგორც ნივთიერების ისტორია და განვითარება. მისი რჩეული თხზულებანი “Scritti vari di filosofia e politica” გამოსცა ბ. კროჩემ 1906 წელს.

ლაო-ძი (“მოხუცი მასწავლებელი”) – ჩინელი ფილოსოფოსის ლი ბო-იანის საპატრიო სახელი; დაიბ. 604 წელს ჩვენს ერამდე ჩუს სამეფოში (ხენანის პროვინცია) – გარდ. 520 წ. ჩინეთის საზღვარგარეთ. ჩუოუს კარის არქივის მცველი; კუნ ფუ-ძისთან ერთად უდიდესი ჩინელი მოაზროვნე; მას მიაწერენ “დაო დეძინის” (სათნოების გზის შესახებ ტრაქტატი) ავტორობას. იგი სხვა ჩინურ წიგნებზე მეტად არის თარგმნილი უცხო ენებზე. მაგრამ ის სახე, რომელიც ახლა მას აქვს, წიგნმა მიიღო მხოლოდ ლაო-ძის სიკვდილის შემდეგ. ზემიწიერი დაო ლაო ძის ესმის ზოგჯერ როგორც თვით პერსონიფიცირებული ღვთაება, უმაღლესი არსება, მთელი ყოფიერების პირველი მიზეზი, რომელსაც ისევ

უბრუნდება ყველაფერი. გონებით მისაწვდომ მიწიერ “დაოში“ ძევს [არის] “სიანი“ (პირველსახეები, იდეები), “დესთან“ (მოქმედ ძალასთან) ერთად. ლაო-ძის თანახმად, მათ შესაბამისად უნდა იცხოვროს ადამიანმა ნაწილობრივ მაფიქრალმა, ნაწილობრივ მოქმედმა, ე. ი. მისდიოს “უვეის“ (უშფოთველ თანხმობას)“; მხოლოდ მოგვიანებით, ბუდიზმის გავლენით, სიტყვა “უვეი“ იხმარება პასიური თვითჭვრეტის აზრით. ლაო-ძის მიხედვით “ბრძენი“ სრულყოფილებას ეძიებს დაოსთან გაერთიანებით. ლაო-ძი აყალიბებს ადამიანს, კონფუცი – სახელმწიფოს. ლაო-ძის ფილოსოფიას, კონფუციის ფილოსოფიის საპირისპიროდ ხაზგასმით მეტაფიზიკური ხასიათი აქვს.

ლამაიზმი – გვიანდელი ბუდიზმის ფორმა, რომელიც ბატონობს ტიბეტსა და მონღოლეთში და რომლის ბერებს უწოდებენ ლამებს (ე. ი. მთავრებს, უმაღლესებს). ტიბეტში VIII საუკუნეში შეტანილი, XV საუკუნეში იგი იღებს თავის ახლანდელ ფორმას საეკლესიო სახელმწიფოს სახით, რომელსაც სათავეში უდგანან

“დალაი-ლამა“ (მღვდელი-ოკეანე), და აგრეთვე “ტულკები“, ანუ “ხუტუხტები“, რომლებიც ბუდას და ბოდისატვის მიწიერ ხატებად მიაჩნიათ და სიკვდილის შემდეგ კვლავ იშვებიან ბავშვებად. ლამაიზმში ბუდიზმის ფილოსოფია ერწყმის ადგილობრივ კუდიან არსებათა და საიდუმლო მაგიის რწმენას. კომუნისტური ჩინეთის მიერ ტიბეტის დაპყრობის შემდეგ დალაი-ლამა და მისი მომხრეები ქვეყნიდან განდევნეს.

ლამპრეხტი კარლ – ისტორიკოსი და ისტორიის ფილოსოფიის წარმომადგენელი; დაიბ. 25. XI. 1856 (ესენი, შვარცელსტერი) – გარდ. 10. V. 1915 (ლაიფციგი). პროფესორი (1891 წლიდან). თავის ნაწარმოებში “გერმანელი ხალხის ისტორია“ (19 ტომი) და “გერმანიის უახლოესი წარსულისა და აწმყოს (თანამედროვე) ისტორია“ (2 ტომი) 1912-1913 წწ. იგი იცავს “ფხიზელი“ პოზიტივისტური განხილვის წესს. მრავალრიცხოვანი მაგალითების მოშველიებით ლამპრეხტი აჯამებს კულტურის სხვადასხვა დარგის მიმოხილვის შედეგებს და ცდილობს ახსნას “საუკუნის

სულისკვეთება”, რომელსაც მან “დიაპაზონი” უწოდა. ისტორია, რომელიც ლამპრეხტის მიხედვით, გარეგან ისტორიულ, განსაკუთრებით ეკონომიკურად განმსაზღვრელ “მღელვარე მასის” მნიშვნელოვან ზემოქმედებას განიცდის, თავის განვითარებაში გადის ფსიქიკით განსაზღვრულ სიმბოლიზმს, ტიპიზმის, კონვენციონალიზმის, სუბიექტივიზმის, ინდივიდუალიზმის სხვადასხვა სტილს. კულტურის ისტორიის ცნების ამ ახალმა განმარტებამ გამოიწვია დავა ისტორიული მეცნიერების მეთოდების შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა ლამპრეხტი და ამასთან დაკავშირებით დაწერა ნაშრომები „ისტორიის მეცნიერების ძველი და ახალი მიმართულებანი” (1896), „რა არის კულტურის ისტორია” (1897), „თანამედროვე ისტორიის მეცნიერება” (1905), „ისტორიული აზროვნების შესავალი” (1912) და სხვა.

ლაროშფუკო ფრანსუა – ჰერცოგი – ფრანგი მორალისტი; დაიბ. 15. IX. 1613 (პარიზი) – გარდ. 17. III 1680 წ. (იქვე). მის კალამს ეკუთვნის განთქმული “ფიქრები,

ანუ სენტეციები და მაქსიმები მორალის შესახებ” (1655 და მოგვიანებით); თარგმნილია ყველა კულტურულ ენაზე, სადაც იგი მეტად ცალმხრივად, სასახლის კარისა და არისტოკრატიული ცხოვრების თვალსაზრისით – ყველა ქცევის საფუძველს ხედავს ადამიანის ეგოიზმში.

ლასალი ფერდინანდ – მწერალი და პოლიტიკოსი; დაიბ. 11 IV. 1825 (ბრესლაუ) – გარდ. 31. VII. 1864 (ჟენევა.) ჰერაკლიტეში, ისევე როგორც ჰეგელში, ხედავდა რევოლუციონერს – (“ჰერაკლიტე – ბნელის ფილოსოფია”, 1858). ტექნიკა, მანქანები მიაჩნდა “რევოლუციის ცოცხალ განსახიერებად”, გლეხობას კი კონსერვატიულ ძალად თვლიდა. მისი სამართლის ფილოსოფია გადმოცემულია ნაშრომში “შეძენილ უფლებათა სისტემა, პოზიტიური სამართლისა და სამართლის ფილოსოფიის შერიგება” (2 ტომი, 1960). რიკარდოსეული ხელფასის თეორიას, რომელსაც თავგამოდებით იცავდა, მან “ხელფასის რკინის კანონი” უწოდა. ამით ის აღნიშნავს იმ საგნობრივ ვითარებას, თითქოს საშუალო შრომის

ხელფასი ყოველთვის იმ აუცილებელი პირობით იზღუდება, რაც საჭიროა ყოველი ხალხის ჩვევების შესაბამისად მისი მინიმალურ დონეზე არსებობისა და გამრავლების უზრუნველსაყოფად. ლასალს უნდა მეცნიერება კლასობრივი ბრძოლის იარაღად გამოიყენოს. ძირითადი ნაწარმოებები: (აღნიშნულის გარდა) “წერილები და თხზულებები.” I-VI 1921-25, “ბისმარკი და ლასალი” – მათი მიწერ-მოწერა და საუბრები 1928, “სიტყვები და ჩანაწერები”, I-III 1892/93, “სიტყვებისა და ნაწერების კრებული” I-XII 1919/20 წწ.

ლებონი გუსტავ – ფრანგი ექიმი, ანთროპოლოგი და სოციოლოგი, დაიბ. 7. V. 1841 (ნოჟან-ლე-როტრუ) – გარდ. 15. XII. 1931 (პარიზი). განსაკუთრებით გაითქვა სახელი ნაშრომით “ბრბოს ფსიქოლოგია” (1895). პირველი ცდით – თავის ძირითად დებულებებში, დღესაც რომ შეინარჩუნეს მნიშვნელობა – იგი ცდილობდა ეჩვენებინა ის საერთო, რაც არსებობს საგანთა ვითარებასა და მასების ფსიქოლოგიის კანონზომიერებებს შორის.

ლეგალობა – (ლათ). კანონიერება, ქცევის შესაბამისობა გარეგან კანონთან, უპირისპირდება მორალურობას – ზნეობის შინაგანი კანონის შესაბამის ქცევას. ლეგალური – კანონიერი, კანონის შესაბამისი. ლეგალობა დღეს თანამედროვე ცხოვრების ნამდვილი კანონია (“არ მისცე საბაბი გამოგიჭირონ”), – მაშინ როცა ნამდვილ მორალურ პასუხისმგებლობას იშვიათად ვხვდებით პრაქტიკაში.

ლევიათანი (ძველებრაული – მოხრილი, დაგრეხილი გველი) – იობის წიგნში (თავი 40, 25-4, 26) ნიანგი, გამოსახული როგორც ადამიანის მაიძულებელი ბუნების ძალა. ჰობსი ამ სახეს იყენებს მძლავრი სახელმწიფოს (“მოკვდავი ღმერთის”) აღწერისათვის.

ლესინგი გოდჰოლდ ეფრაიმ – განმანათლებლობის ეპოქის პოეტი, ფილოსოფოსი, კრიტიკოსი (ლიტერატურის, ხელოვნების). დაიბ. 22. I. 1729 (კამენგი, საქსონია) – გარდ. 15. II. 1781 (ბრაუნშვაიგი); მეგობრობდა მოსე მენდელსონთან; ქადაგებდა მეცნიერული კვლევის თავისუფლებას,



განსაკუთრებით სალიტერატურო მეცნიერებაში; იღვწოდა შემწყნარებლობისა და ჰუმანიზმისათვის (“ნათან ბრძენი”), რელიგიის ფილოსოფიის სფეროში იბრძოდა საეკლესიო დოგმატიზმის წინააღმდეგ. თხზულებაში “ადამიანის მოღვაწის აღზრდა”, 1780, იგი იმედს გამოთქვამს, რომ ტკობისა და პატივმოყვარეობის საუკუნეთა შემდეგ დადგება მოვალეობის მოხდის საუკუნე; თავისი ესთეტიკის კრიტიკით, აგრეთვე თავისი დრამებით გზა გაუკვალა დიდი კლასიკოსების პოეზიას.

ლესინგი თეოდორ – მწერალი და ფილოსოფოსი; დაიბ. 8. II. 1872 (ჰანოვერი) – გარდ. (მოკლეს) 30. VIII. 1933 (მარიენბადი); ახლოს იდგა სოციალიზმთან, იცავდა რაციონალისტურ პესიმიზმს კულტურის სფეროში – “ისტორია, როგორც აზრის მიცემა უსაზრისისთვის”, (1919, 1927) და ქადაგებდა ქალთა თანასწორუფლებიანობას, პროსტიტუციის ოფიციალური დაშვების გაუქმებას, ხალხთა შორის მშვიდობიან შეთანხმებას.

ლიბერალიზმი (ლათ. liberalis – ის, რაც ეხება თავისუფლებას) – თავისუფალი მრწამსი, რომელიც ისწრაფვის განთავისუფლდეს ტრადიციებისაგან, წესჩვეულებებისაგან, დოგმებისაგან. და სურს დადგეს საკუთარ ფეხზე. განვითარების ძლიერი ბიძგი ლიბერალიზმს მისცა განმანათლებლობამ (სქოლასტიკის საპირისპიროდ), რეფორმაციამ (კათოლიციზმის წინააღმდეგ), პიუტიზმმა (ლუთერანობის წინააღმდეგ). როგორც პოლიტიკური მიმართულება ლიბერალიზმი უპირისპირდება კონსერვატიზმსა და რეაქციას; როგორც ეკონომიკური დოქტრინა იგი მხარს უჭერს თავისუფალ შეჯიბრებას, სახელმწიფოს მიერ შეუზღუდველ საქონელგაცვლას; მსოფლმხედველობის სფეროში – კოსმოპოლიტიზმს, შემწყნარებლობასა და ჰუმანურობას; რელიგიურ სფეროში იბრძვის ორთოდოქსიის წინააღმდეგ. ფილოსოფიის თვალსაზრისით ლიბერალიზმი ახლოსაა ინდივიდუალობასთან, ხაზს უსვამს პიროვნების ღირებულებას, კოლექტივის ღირებულების საპირისპი-

როდ. მისი მატარებელი ყველა დროში იყო ბურჟუაზია.

ლიბიდო (ლათ.) – ვნება, თავდაპირველად გრძნობადი ჟინი, შემდეგ საერთოდ სწრაფვა, სურვილი. ფსიქოანალიზის ცენტრალური ცნება. კ. გ. იუნგთან (“ლიბიდოს გარდაქმნები და სიმბოლოები”, 1938) ფართოვდება საერთოდ “ფსიქიკური ენერჯის” ცნებამდე.

ლოგია ბერძნ. *logos* – სწორი, ე. ი. ლოგიკური, აზროვნების უნარი. ეს სისწორე ემყარება აზროვნების ოთხ ძირითად კანონს: 1. იგივეობის კანონს; 2. წინააღმდეგობის კანონს; 3. გამორიცხული შესამეს კანონს, ე. ი. საგანზე ორი დაპირისპირებული მტკიცებიდან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს სწორი და არა რომელიმე შესამე. 4. საკმაო საფუძვლის კანონს. ყოველი ფაქტი და ყოველი შემეცნება, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მივიჩნიოთ არსებულად ან ჭეშმარიტად, როცა ამისთვის საკმაო საფუძველი არსებობს.

ლოგიზმი – დასკვნა, მოძღვრება სამყაროს ლოგიკური მოწესრიგე-

ბულობის შესახებ.

ლოგიკური – აზროვნების კანონის შესაბამისი, ფორმალურად სწორი, ის, რაც ლოგიკას ეხება.

ლოგოსი – ბერძნ. თავდაპირველად სიტყვა, მეტყველება, ენა; მოგვიანებით, გადატანითი აზრით – აზრი, ცნება, გონება, საზრისი, მსოფლიო კანონი. ჰერაკლიტესთან და სტოელებთან – მსოფლიო გონება. უკვე სტოელებთან ლოგოსი გაგებულა როგორც პიროვნება, როგორც ღმერთი. ლოგოსი არის ღმერთის სიყრმის შვილი, მეორე ღმერთი, შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის.

ლოკალიზაცია (ლათ. *localis*) – ვრცელი ადგილის განსაზღვრა; ფსიქოლოგიაში – ფსიქიკური მოვლენების კავშირი ტვინის გარკვეულ ცენტრებთან.

ლოკი ჯონ – ინგლისელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, პედაგოგი; დაიბ. 29. VIII. 1632 (რინგტონი, ბრისტოლის ახლოს) – გარდ. 28. X. 1704 (ოუტსი, ესექსი). თავის მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ ლოკი

სახელმწიფოს საქმიანობას ზღუდავს ყველაზე აუცილებლით და მოითხოვს კონსტიტუციურ მთავრობას ხალხის სუვერენიტეტის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფდა თავისუფლებასა და თანასწორ უფლებას ყველასათვის, აგრეთვე ხელისუფლების განაწილებას. ეთიკაში ლოკს სიკეთედ მიაჩნია ის, რაც აღძრავს ან აძლიერებს სიხარულს, საპირისპირო კი — უბედურებად. უზენაესი კანონია საყოველთაო სიკეთე.

- მ -

მაგია (ბერძნ. *mageia* — ჯადოსნობა) — იდუმალი უნარი იმოქმედოს ნივთებსა და ადამიანებზე, თვით “დემონებსა” და “სულებზეც” კი ბუნებრივ საშუალებათა დაუხმარებლად. წმინდა სულიერად აღქმული მაგიის ცნება გამოცოცხლდა რომანტიზმის ეპოქის მაგიურ იდეალიზმში, ხოლო ამჟამად ოკულიზმის მეშვეობით — გრაფ კაიზერლინგის ფილოსოფიაში. იქ, სადაც გარესამყაროზე ზემოქმედებენ ჯადოთი, შელოცვებით, ომულეტებით, თილისმით და ა. შ., მაშასადამე, მოქმედებათა

მიზეზობრივი რიგის დაუშვებლად, იქ სამყაროს მაგიურ სურათთან გვაქვს საქმე.

მაია (პირველად გვხვდება ინდურ ტექსტებში, უპანიშადსა და ბრაჰმანებში), — ქალღმერთი, რომელიც განასახიერებდა მოტყუების პრინციპს ამქვეყნად. მაია ინდური სიტყვაა, იგი აღნიშნავს აგრეთვე ხელოვნებას, რომლის საშუალებითაც იწვევენ სასწაულებს, ან თვით ამ სასწაულებს. ბოლოს, შანკარის ფილოსოფიაში “მაია” ეწოდება “გადამტრიალებელ” (ვივარტა), გარდამქმნელ პრინციპს, რომელიც განსაზღვრავს სამყაროს არსებობას. დასავლეთში ეს სიტყვა ცნობილი გახდა შოპენჰაუერისეული გამოთქმის მეოხებით “მაიას საფარველი”, რომლითაც შოპენჰაუერს სურდა გამოეხატა სამყაროს ილუზორული ხასიათი.

მაინეკე ფრიდრიხ — ისტორიკოსი და საზოგადოების ფილოსოფოსი; დაიბ. 30. X. 1862 (ზალოცკედელი) — გარდ. 6. II. 1954 (ბერლინი). 1901-1928 წწ. — პროფესორი იქვე; განსაკუთრებული სახელი მოუხვეჭა ნაშრომმა

“ისტორიზმის წარმოშობა“ (1936-1960), რომელშიც იგი ისტორიზმს იცავს იმ საყვედურისაგან, თითქოს ისტორიზმი უკანდახევა იყოს წარსულში თანამედროვეობიდან. ნამდვილი ისტორიზმი ისტორიული ცნობიერების ტოლფასია და სხვა არა არის რა, თუ არა ისტორიულ ცხოვრებისადმი გერმანიაში ლაიბნიციდან გოეთემდე დიადი მოძრაობის პროცესში შემუშავებული ცხოვრებისეული პრინციპების მიყენება. ძირითადი ნაწარმოებები: “პიროვნულობა და ისტორიული სამყარო“, 1918; “გერმანული კატასტროფა“, 1946; “აფორიზმები და გამოთქმები ისტორიის შესახებ“, 1951; “შტრასბურგი-ფრაიბურგი-ბერლინი“, “მსოფლიოს მოქალაქეობა და ეროვნული სახელმწიფო“, 1917.

მაკიაველი ნიკოლო – იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი; დაიბ. 3. V. 1469 (ფლორენცია) – გარდ. 22. VI. 1527 (იქვე). ცნობილია როგორც ავტორი წიგნისა “თავადი“, “ფლორენციის ისტორია“, “მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის პირველი სამი დეკადის შესახებ“. ამ თხზულებაში, იგი ლივიუსის

კითხვისაგან მიღებული შთაბეჭდილების გავლენით ამუშავებს პოლიტიკური ქცევის წესებს და ხოტბას ასხამს ამაყი წინაქრისტიანული რომის იმპერიის ეთიკასა და ძლიერებას. მაკიაველის პოლიტიკური იდეალი იყო რესპუბლიკა, რომელიც უკეთ პასუხობდა თანასწორობისა და თავისუფლების პრინციპებს. მისი განმარტებით, იქ სადაც თანასწორობა ბატონობს, არ შეიძლება მონარქია წარმოიშვას. ცნობილი ნაწარმოების “მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის პირველი სამი დეკადის შესახებ“ – ერთ-ერთი თავი ნ. მაკიაველმა შემდეგნაირად დაასათაურა – ”ბრბო ხელმწიფეზე უფრო გონიერია და მარადიული“. მაკიაველის პოლიტიკური თეორიისთვის დამახასიათებელია მცდელობა პოლიტიკის პრინციპთა ახსნისა, პოლიტიკური ცხოვრების მამოძრავებელ ძალთა გაცნობიერებისა წარსულსა და აწმყოში არსებულ სახელმწიფოთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე. ამით მას სურდა იმ სახელმწიფოს თეორიული კონტურების მიგნება, რომელიც ყველაზე მეტად უპასუხებდა მისი თანამედროვე საზოგადოების მოთხოვ-



ნებს. ამაში ვლინდება სწორედ ფლორენციელი პოლიტიკოსის ისტორიზმი და ამით განსხვავდება იგი წინამორბედი თეორეტიკოსებისაგან.

მაკიაველიზმი – ასე ეწოდება ურცხვ პოლიტიკას, რომელიც თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს მორალურად უმსგავს საშუალებებს. ნ. მაკიაველი ურთიერთისგან გამიჯნავს პოლიტიკასა და მორალს და მიიჩნევს, რომ პოლიტიკა ამორალური უნდა იყოს. პოლიტიკა ცბიერების, მზაკვრობისა და დაუნდობლობის სფეროა. სწორედ ამის გამო ამორალური პოლიტიკა პრინციპით: “მიზანი ამართლებს საშუალებას”, მაკიაველიზმად იწოდება.

მარკუს ავრელიუს ანტონიუსი – რომის იმპერატორი და გვიანდელი სტოიციზმის ფილოსოფოსი; დაიბ. 26. IV. 121 (რომი) – გარდ. 17. III. 180. (ვინდეობონა, ვენის ახლოს). დაწერა ფართოდ ცნობილი “თავისთავთან განმარტოებით” (გერმანული გამოცემა). მისი ანტიმატერიალისტური მოძღვრების ცენტრში დგას პრინციპი, რომ ადამიანი ნაწილობრივ დაეუფლოს

თავის სხეულს, სულსა და გონს, რომელთა მატარებელია ღვთისმოსავი, ვაჟკაცური და გონიერი პიროვნება-მეუფე (მართალია, მხოლოდ სულის), მოვალეობის გრძნობის აღმზრდელი და სინდისის სამყოფელი. სულის მეშვეობით ყველა ადამიანი მონაწილეობს (ეზიარება) ღვთაებრივს და ამით ქმნის იდეალურ ერთობას, რითაც ძლევს მთელ შეზღუდულობას.. მარკუს ავრელიუსში ტრაგიკულად იყო შეხამებული ვაჟკაცობა და გულგატეხილობა.

მარსილ პადუანელი – იტალიელი სახელმწიფო ფილოსოფიის კლასიკოსი, დაიბ. 1275 (პადუა) – გარდ. 1343 (იქვე). პოლიტიკური და რელიგიური რეფორმატორი. იგი სამეფო ხელისუფლების უზენაესობას იცავდა, მისი აზრით, საერო ხელისუფლებაში ეკლესიის ჩარევის ცდები განხეთქილებასა და ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი მდგომარეობის დარღვევას იწვევს. ეკლესიასა და სახელმწიფოს მოღვაწეობის განსხვავებული სფერო გააჩნიათ. ეკლესიას უფლება აქვს ჩაერიოს მიწიერ საკითხთა გადაწყვეტაში. თავის

მთავარ ფუნქციად იგი ნებაყოფლობით ქრისტიანული რწმენის ქადაგებას მიიჩნევს. ამით მ. პადუანელი იმ დროისათვის უაღრესად პროგრესულ იდეას — სინდისის თავისუფლების საკითხს აყენებდა.

მასა — სოციოლოგიური აზრით — ადამიანთა ჯგუფი, რომლის შიგნითაც ინდივიდები ერთგვარად კარგავენ თავიანთ ინდივიდუალობას და ურთიერთგავლენის მეოხებით იძენენ მსგავს გრძნობებს, ინსტინქტებს, მისწრაფებებს, ნებელობით მოძრაობებს. ცალკეულის თვითკონტროლი და წესრიგის ცნობიერება იმდენად იკარგება, რომ ზუსტი იქნება (უპრიანი იქნება) თუკი ვიტყვით: მასობრივ სიტუაციაში პირველადამიანი თავის ხელახლა აღდგომას ზეიმობს (კ. გ. იუნგი). მასები იქმნებიან სამეურნეო, ეკონომიკური ან უეცრად წარმოშობილი სულიერი გასაჭირის აუცილებლობის (შიში, პანიკა) ზეგავლენით. მასების სათავეში მოქცეული ბელადი ჩამოყალიბებულ სახეს აძლევს მასების მოარულ მიზანს, ან შთააგონებს ამგვარ მიზანს. მასა იქმნება და

მოქმედებს იმ კანონზომიერების შესაბამისად, რომლის შესწავლა მასების ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის ამოცანაა. ბურჟუაზიული საზოგადოება უკვე დაახლოებით XIX საუკუნის შუახანებიდან, მოსახლეობის სულ უფრო სწრაფი ზრდის შედეგად, იმ შეგნებამდე მივიდა, რომ იგი გარდაიქმნება მასების საზოგადოებად. საზოგადოების ეს ფორმა ბევრ სოციოლოგს მიაჩნია ევროპული (ესე იგი “თანამედროვე”) ცივილიზაციის სფეროსათვის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად. ასეთი საზოგადოების დამახასიათებელია მატერიალურ და სულიერ დოვლათზე მასობრივი მოთხოვნილება და შესაბამისი მასობრივი მოხმარება, რომელსაც უნდა წარმართავდნენ ტექნიკური კოლექტივები, ნაწილობრივ სახელმწიფო, რომელიც თავის მხრივ იღებს მასების ორგანიზაციის ხასიათს. ამ განვითარების საბოლოო შედეგია მზარდი საყოველთაო მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ფუნქციების განაწილება ცხოვრების ყველა სფეროში, დასრულებული ფუნქციონალური სისტემა, რომელიც შედგება ნივთობრივი აპარატურისა და ამ ფუნქციის მატარებელი

ადამიანებისაგან. ამ თვალსაზრისით აღქმული ყველა მოვლენა (ე. ი. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული) სულ უფრო მეტად იღებს რაღაც სუბსტანციურად განადგურებულ ხასიათს, ღირებულებითი მხრივ ნეიტრალურ, მოკლედ რომ ვთქვათ, წმინდა ფუნქციონალურ ხასიათს. ამრიგად, ეს მოვლენები თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასრულებენ მხოლოდ სხვა ფუნქციების ფუნქციებს, სრულიად გარკვეულ კავშირებსა და პროცესებში. მაგრამ მათ უკვე აღარ გააჩნიათ ზემოქმედების თავისი საკუთარი ავტონომიური ძალა და იმის უნარი, რომ დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ სხვა მოვლენები.

მასების ფსიქოლოგია – იმ ადამიანთა სულიერი ცხოვრების კვლევა, რომლებიც ქმნიან მასას. ტიპიურად მასობრივი მოვლენებია: თვალსაზრისთა აშკარა გამოხატვა (გამოსვლები, დემონსტრაციები, პროცესები), მოქმედებანი, რომლებიც ხდება არაცნობიერი შიშის მდგომარეობაში (პანიკა, მასობრივი ფსიქოზი), სამართლის ბუნებრივი გრძნობის დაკარგვა (ძარცვა,

ძალმომრეობა), აღფრთოვანების უნარი.

მასარიკი თომას გრიგ – ჩეხი ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე. დაიბ. 7. III. 1850 (გოლდონინი, მორავია) – გარდ. 14. IX. 1937 (ლანა, ბოჰემია); 1918-1935 წლებში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი; 1883 წლიდან – პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი. თეორიული, რელიგიური, აგრეთვე ეროვნული სოციალიზმის წარმომადგენელი, (“ვიდრე დავიწყებდი ფიქრს, თუნდაც პრიმიტიულად, სოციალისტურად, მე ჩეხურად ვფიქრობდი”); 1884-1893 წლებში ხელმძღვანელობდა თავის მიერ დაარსებულ ჟურნალს “ათენაუმ”; ძირითადი ნაწარმოებები: დ. იუმის “მორალის პრინციპები”, 1883; “კონკრეტული ლოგიკის ცდა”, 1886; “მარქსიზმის ფილოსოფიური და სოციოლოგიური საფუძვლები”, 1899; “რუსეთის ისტორიისა და რელიგიის ფილოსოფია”, 1913; “რუსეთი და ევროპა”, II ტომი, 1913; “ახალი ევროპა”, ფრ. და ინგლ. გამოც. 1918, გერმ. გამოცემა, 1922; “მსოფლიო



რევოლუცია“, 1914-1918, 1925, გერმ. გამოცემა, 1927.

მატერიალიზმი – შეხედულება, რომლის მიხედვით მთელი – არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერ-გონითი სინამდვილის საფუძველი და სუბსტანცია – მატერიაა. მატერიალიზმს უნდა მიეკუთვნოს ნატურალიზმი, ემპირიზმი, ნეოპოზიტივიზმი. მატერიალიზმისთვის დამახასიათებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნიკის პატივისცემა და ინსტრუმენტული გონების განდიდება. თავის აყვავებას მატერიალიზმმა მიაღწია ფრანგული განმანათლებლობის ეპოქაში, მაგრამ განმსაზღვრელ გავლენას ევროპის ფილოსოფიაზე იგი იძენს მხოლოდ XIX საუკუნეში. იგი უპირისპირდება იდეალიზმის ცთომილებებს, მაგრამ თავის ცალმხრიობაში სრულიად უძლურია გადაჭრას ყველა უმნიშვნელოვანესი პრობლემა. მატერიალიზმი აზროვნების ის წესია, რომელსაც უპირატესობას ანიჭებენ მასები. აუცილებელია განვასხვავოთ მატერიალიზმის ნაირსახეობანი: 1. ფიზიკური მატერიალიზმი; 2. ბიოლოგიური, ანუ ფიზიოლოგიური

მატერიალიზმი; 3. ფსიქოლოგიური მატერიალიზმი; 4. ეთიკური მატერიალიზმი; 5. დიალექტიკური მატერიალიზმი; 6. მატერიალიზმი ისტორიული.

მატერიალიზმი ისტორიული (აგრეთვე ისტორიის მატერიალისტური ანუ ეკონომიკური გაგება) – ისტორიის ფილოსოფია, რომელიც სათავეს იღებს სენსიმონისგან, ემყარება მატერიალიზმს და რომელსაც ჯიუტად იცავს მარქსიზმი. მას ჰეგელისტური სქემა და მისთვის დამახასიათებელი დიალექტიკური კავშირები გადააქვს სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაზე. “მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალურ, პოლიტიკურ და საერთოდ სულიერი ცხოვრების პროცესებს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას“ – მარქსი.

ისტორიული მატერიალიზმი ისწრაფვის იყოს არა მარტო მეცნიერული შემეცნების იარაღი, არამედ ინსტრუმენტიც, რომელსაც შეუძლია ისტორიის მსვლელობაში

ხელი შეუწყოს სოციალიზმის განვითარებას. მისი მეცნიერული მეთოდია პოზიტივიზმი, მის მეტაფიზიკურ საფუძველს შეადგენს ნატურალიზმი და სამყაროს მიზეზობრივ-მექანიკური სურათი, ძირითადად კი დიალექტიკის კანონები. ისტორიულ მატერიალიზმს სწამს პროგრესი. ისტორიული განვითარების აზრი და მიზანია ბუნებრივად ყველასათვის. ისტორიული მატერიალიზმი უპასუხოდ ტოვებს კითხვას იმის შესახებ, თუ ვინ ან რა უდგენს ისტორიას ამ მიზანს, ისევე როგორც კითხვას ადამიანის მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ისტორიაში საერთოდ.

მაქსიმა (ლათ. *propositio maxima* — უმაღლესი პრინციპი) — ცხოვრების საყოველთაო წესი, ნებელობის სუბიექტური წესი, გამონათქვამი.

მაქსიმუმი და მინიმუმი (ლათ.) — ყველაზე მეტი (უმაღლესი), და უმცირესი (უდაბლესი). აქედან მაქსიმალური და მინიმალური.

მეთოდი (ბერძნ. *methodos* — მიღევნა, მიყოლა) — პრაქტიკულ

ცხოვრებაში და განსაკუთრებით მეცნიერებასა და ფილოსოფიაში მეთოდით აღინიშნება გარკვეული მიზნის მიღწევის მეტნაკლებად გეგმაზომიერი წესი, გზა მიზნისაკენ, მოქმედებს გარკვეული წესი და რიგი. მეცნიერების სფეროში მეთოდი არის შემეცნების გზა, რომელსაც მკვლევარი კვალავს თავისი საგნისაკენ, ამასთანავე ხელმძღვანელობს საკუთარი ჰიპოთეზით.

მელანქოლია (ბერძნ. — შავი ნალველი) — ნალვლიანობა, ჩაფიქრებულობა, სულიერი მდგომარეობა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ცუდი განწყობილება, სევდიანი წარმოდგენები, ნებისყოფის სისუსტე, საკუთარი ღირსების გრძნობასა და თავის თავში დარწმუნებულობის შესუსტება. მელანქოლიკი იხრება პესიმიზმისაკენ, მის მიერ ცხოვრების აღქმა ექვემდებარება უფრო გუნება-განწყობილებასა და გრძნობებს, ვიდრე მოქმედებასა და ნებას.

მენტალობა, მენტალიტეტი (ლათ. *mens* — ჭკუა, აზროვნება, აზრთა წყობა.) — სულიერი წყობა, კოლექტიური და ინდივიდუალური

ცნობიერების სიღრმისეული დონე, რომელიც შეიცავს არაცნობიერსაც, ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის მზაობა, განწყობა – იმოქმედოს, იაზროვნოს, იგრძნოს და აღიქვას სამყარო გარკვეული სახით. მენტალობა ყალიბდება ტრადიციების, კულტურის, სოციალური სტრუქტურების და ადამიანის ყოფის მთელი გარემოს მიხედვით. გვევლინება, როგორც კულტურულ-ისტორიული დინამიკის ძნელად განსასაზღვრი სათავე. იგი ნაკლებად არის დამოკიდებული “კოლექტიურ არაცნობიერ” ისტორიაზე და მის არქეტიპებზე და საზოგადოებრივი ცნობიერების ისტორიულ-ლაბილურ ფორმებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს მენტალიტეტს. მენტალიტეტი არის ჰუმანიტარული ცოდნის ანალიზისა და ახსნის საშუალება, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მისი მახასიათებელია დინამიკური-ისტორიული განზომილება. კონკრეტულ გამოკვლევებში განასხვავებენ ბავშვურ, ეროვნულ, ტოტალიტარულ, ევროპულ, აფრიკულ, ბიუროკრატიულ და სხვა მენტალობას.

მეცნიერება – კულტურის დარგი, რომელიც არ ვითარდებოდა ყოველთვის და ყველა ხალხში. მეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი ფუნქციის შემსრულებელი კულტურის დარგის ფუძემდებლები იყვნენ ბერძნები, რომლებმაც შემდეგ იგი გადასცეს ევროპელ ხალხებს კულტურული ცხოვრების განსაკუთრებული იდეალის სახით. მეცნიერება ქმნის ადამიანური ცოდნის არსებას; კანტის თანახმად, იგი არის გარკვეული პრინციპებით მოწესრიგებული ჰიპოთეზა; ცოდნის ერთობლიობა, რეალური მოწესრიგებული კავშირი იმ ჭეშმარიტი მსჯელობების, ვარაუდების და პრობლემების, რომლებიც ეხებიან სინამდვილეს მთლიანად ან მის ცალკეულ სფეროებს და მხარეებს. მოუწესრიგებელი ცოდნისაგან განსხვავებით, მეცნიერებას არ აკმაყოფილებს “რა”, არამედ აგრეთვე კითხულობს “რატომ”. მეცნიერების პროგრესი იმაში მდგომარეობს, რომ იგი სულ უფრო ღრმად და ფართოდ იჭრება სინამდვილეში, ყოფიერების მოვლენების, ამბების ელემენტებში, ე. ი. მათი კავშირების, საერთოდ იმ

სინამდვილის საყოველთაო კავშირის სულ უფრო ღრმად შემეცნებაში, რომელსაც ჩვენ სამყაროს ვუწოდებთ. მეცნიერება ჭეშმარიტი აზრით არის მეცნიერება სამყაროს შესახებ.

მითი (ბერძნ. — მოთხრობა) — თქმულება, როგორც იმ ზოგიერთი მოვლენის სიმბოლური გამოხატულება, რომლებიც მოხდა გარკვეულ ხალხებში გარკვეულ დროს, მათი ისტორიის გარიჟრაჟზე. ამ აზრითაა განმარტებული მითის ცნება გვიანდელ რომანტიკაში. ამჟამად ლაპარაკობენ გარკვეული ცნებების მითიზაციის შესახებ, რის მეოხებითაც ის მოვლენები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ცნებებს, როგორც რაციონალურად აუთვისებელი და შეუცნობელი, უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მოწიწებით მიღებული. ასეთი ცნებებია, მაგალითად, სახელმწიფოს, ხალხის, კოლექტივის ცნებები. ამის საპირისპიროდ ლაპარაკობენ აგრეთვე დემითოლოგიზაციის შესახებ.

მითოლოგია (ბერძნ.) — მეცნიერება მითების (ძველი თქმულე-

ბების) რელიგიისა და ღმერთებზე თქმულებების შესახებ.

მიკროკოსმოსი (ბერძნ. პატარა სამყარო) — გვიანი ანტიკური ფილოსოფიის დროიდან, მაგალითად, ბოეციუსთან, ამ ცნებით აღინიშნება სამყაროს შემადგენელი ნაწილები, განსაკუთრებით ადამიანი როგორც სამყაროს, მსოფლიოს (კოსმოსის) ასახვა, სარკე, სიმბოლო, ძალისა და გონების, საზრისის ცენტრი, სამყარო, რომელსაც უწოდებენ უკვე მაკროკოსმოსს (დიდ სამყაროს). გერმანული ფილოსოფია, დაწყებული პარაცელსიდან, აღრმავებს წარმოდგენას მიკროკოსმოსის შესახებ, კვლავ აპყრობს მას ყურადღებას. ფსიქოლოგიაში ადამიანის მიკროკოსმოსში იგულისხმება განცდების ერთობლიობა, ესე იგი სამყაროს ის ნაწილი, რომელიც პირადად მას მიეკუთვნება და აქვს მისი პიროვნებისა და მისი ფიზიკური ორგანიზმის შესაბამისი სტრუქტურა; მაკროკოსმოსი კი წარმოადგენს ცოცხალი არსებათათვის საერთო განცდის მიმართ ტრანსცენდენტურ სფეროს. იგი ტოლმნიშვნელოვანია

ფიზიკური სინამდვილისა, რომლის შესახებ ცნობებს ვიღებთ მოვლენების მეოხებით. მაკროკოსმოსიდან მოდის გაღიზიანებანი, რომლებიც ალაგზნებენ ჩვენს გრძნობის ორგანოებს. მიჩნეულია, რომ მაკროკოსმოსსა და პირად მიკროკოსმოსს შორის, ერთი მხრივ, არსებობს იმდენივე სხვადასხვა მიკროკოსმოსი, რამდენიც ცნობიერების მქონე ცოცხალი არსება), და, მეორე მხრივ, თვით მიკროკოსმოსებს შორის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მსგავსება, რაც იწვევს იმას, რომ ძრავალი ადამიანი ერთსა და იმავე საგანზე ერთნაირი აზრისაა: მიკროკოსმოსური სინამდვილე (ის, რაც მოქმედებს მიკროკოსმოსის მხრივ) საგნებში ადამიანის წინაშე დაახლოებით ერთნაირად წარმოდგება, რის შემდეგაც ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ რაიმე საგანზე მსჯელობისას. მიკროკოსმოსი — ფიზიკური აზრით გამოიყენება ელემენტარული ნაწილაკების ერთობლიობის აღსანიშნავად.

მილი ჯონ სტიუარტ — ინგლისელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და სოციოლოგი, დაიბ. 20. V.

1806 (ლონდონი) — გარდ. 8. V. 1873 (ავინიონი). განსაკუთრებით ცნობილია თავისი ინდუქციური და დედუქციური სისტემით (“სილობისტური და დედუქციური ლოგიკის სისტემა“, 1843), განაგრძობდა ინგლისური ფილოსოფიის კლასიკური ემპირიზმის ტრადიციებს, რომელიც განავითარა ინგლისურ პოზიტივიზმად. მილი კონტთან და არდიგსონთან ერთად XIX ს. ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიტივისტია, მილის მოძღვრების თანახმად, მთელი ფილოსოფიის საფუძველს შეადგენს ფსიქოლოგია, რომელიც ადგენს, რომ რეალურად მოცემულია მხოლოდ შესაბამისი შეგრძნებები და წარმოდგენები გადასვლებისა ან მომავალი შესაძლებელი შეგრძნებების შესახებ. მილი უარყოფს არისტოტელეს სილოგიზმს. გარე სამყარო ამ აზრით მსგავსი შეგრძნებების მუდმივი შესაძლებლობაა. შემეცნების ერთადერთი წყაროა ცდა, შემეცნების ერთადერთი დასაშვები ხერხია ინდუქცია. იგი უღევს საფუძველად ლოგიკის დასკვნებსა და მათემატიკურ აქსიომებს, ინდუქცია უნდა ადგენდეს არა მოვლენების მიზეზებს, არამედ მხოლოდ მათს

კანონებს. მილი განასხვავებს მეცნიერებებს ბუნების შესახებ (მილი ცდილობს ისტორიული მეცნიერებაც მიაკუთვნოს “მეცნიერებებს ბუნების შესახებ”) და მეცნიერებებს გონის შესახებ. მილის მიხედვით ეთიკის ამოცანაა საზოგადოების მორალის გარდაქმნა ინდივიდსა და საზოგადოებას შორის დამაკმაყოფილებელი კომპრომისის აზრით. მორალური ღირებულებანი არ არიან თანდაყოლილნი, ინტუიციურნი, უცვლელნი, პირიქით ისინი ემპირიულნი და ცვალებადია. მილის აზრით, ზნეობრივი ქცევის უმაღლესი მიზანია ხელის შეწყობა ყველასათვის, რაც შეიძლება დიდი ბედნიერების მისაღწევად. ეთიკური პრინციპების საფუძველზე მილი რელიგიურად აღიქვამს უმაღლეს, ღვთაებრივ არსებას, მაგრამ კოსმოსური მოვლენები, მილის მიხედვით, აძნელებენ ამ ღმერთის ყოვლისშემძლეობის რწმენას. მილი გარკვეულ თვალსაზრისს გამოთქვამდა აგრეთვე ბევრი სხვა პრობლემის თაობაზეც: პარლამენტარიზმის (1866-1868 წწ. იგი იყო თემთა პალატის დეპუტატი), ეკონომიკური და კოლონიური პოლიტიკის, (თავ-

დაპირველად იგი იყო ოსტინდოეთის კომპანიის მოსამსახურე), ირლანდიის საკითხის, ქალთა საკითხის შესახებ. ძირითადი ნაწარმოებებია: “სერ უილიამ ჰამილტონის ფილოსოფიის მიმოხილვა“, 1865; “პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“, 2 ტომად, 1848, “თავისუფლების შესახებ“, 1859 და სხვა.

მოდერნიზმი – დაახლოებით 1900 წ. წარმოშობილი კათოლიკე მეცნიერების მისწრაფება, მცდელობა – შეეთანხმებინათ მოძღვრება რწმენის შესახებ და თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნები; ეკლესია უარყოფდა ამ მოდერნიზმს. ფილოსოფიის ისტორიაში “მოდერნისტულ მოძრაობას“ უწოდებენ ვიტალისტურ ირაციონალიზმს, რომელსაც საფუძველად უდევს პრაგმატიზმი. და რომლის ფესვები უილიამ ჯემსის, ფ. კ. ს. შილერის და ანრი ბერგსონის თხზულებებშია. ეს სიტყვა გამოიყენება გადატანითი აზრით აგრეთვე თანამედროვე ხელოვნების მიმართ.

მოდერნიზაცია (ლათ.) – არსებობს ხასიათისა და წესის შეცვლა,

სახეცვლილება; მოდიფიცირება – შეცვლა, შეზღუდვა, შესაბამისობაში მოყვანა.

მოდუსი (ლათ. ზომა, წესი) – არსებობის წესი, ყოფიერების ან მოვლენის სახეობა და ხასიათი, Modus vivendi. “ცხოვრების წესი“, პირობები, რომლებიც ასატანს ხდის ერთი-მეორის გვერდით ცხოვრებას; Modus prodendi მიზნის მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებათა ხასიათი; Modus rectus -ისა და Modus obliquus -ის თაობაზე.

მონტესკიე (შარლ დე სეკონდა, ბარონი დე ლა ბრედი და დე მონტესკიე) – ფრანგი სამართლისა და ისტორიის ფილოსოფოსი, დაიბ. 18. VIII. 1689 (ბრედი, ბორდოს ახლოს) – გარდ. 10. II. 1755 (პარიზი), თავის ძირითად ნაწარმოებში “კანონთა სულისკვეთების შესახებ“ უარს ამბობს სამართლის შესახებ ფორმალისტურ აზროვნებაზე და ცდილობს სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის კანონები და პოლიტიკური ცხოვრება ახსნას მათს ბუნებრივ და ისტორიულ პირობებზე დაყრდნობით, გარემოს თეორიის სულისკვეთებით. ინგლი-

სის კონსტიტუციის მაგალითზე, რომელიც მას ყველაზე პროგრესულად ღიაჩნია (ფრანგული კირეგრესიულად), “სპარსულ წერილებში“, (1721 გერმანული გამოცემა) მონტესკიე ლოკის კვალობაზე იზიარებდა თეორიას, რომლის მიხედვით სახელმწიფო ძალაუფლება უნდა იყოფოდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ძალაუფლებად. თავის ნაშრომებში “მსჯელობა რომაელთა სიდიადისა და დაცემის შესახებ“, (1734) იგი იკვლევდა რომის სახელმწიფოს აყვავებასა და დაცემას.

მორალური – ის, რაც მორალს მიეკუთვნება, მორალის შესაბამისი, ზნეობრივი, აგრეთვე (განსაკუთრებით ფრანგებთან და ინგლისელებთან) ფიზიკურის საპირისპირო, ესე იგი სულიერი.

მორალური პრინციპი – ყოველგვარი პრინციპი, რომელმაც უნდა განსაზღვროს ზნეობრივი ნება, როგორც, მაგალითად, სიხარული (ჰედონიზმი), ბედნიერება (ევდემონიზმი); სარგებლიანობა (უტილიტარიზმი), ბუნებრივ ლტოლვათა დაკმაყოფილება (ეთიკური

ნატურალიზმი), სრულქმნილება (ევფორიზმი), ჰარმონია დ.ა.შ. თანამედროვე ეთიკაში ნაკლებად ლაპარაკობენ მტკიცედ დამყარებულ პრინციპზე და უფრო მეტად მიმართავენ მორალური ქცევის ფორმების ფენომენოლოგიურ აღწერას.

მორალისტები – იმ მწერალთა და ფილოსოფოსთა ჯგუფი, რომლებიც მორალურ უმსგავსოებათა თავიდან ასაცილებლად ისწრაფოდნენ გამოეკვლიათ ვნებათა არსება და შეექმნათ მეთოდები, რათა წარემართათ ვნებანი და ებრძოლათ მათ წინააღმდეგ. “ალალმართლობისა და სულწასულობის გამო ისინი უგულვებელყოფენ სისტემატურ წესრიგსა და ლოგიკას, ამასთან ავიწყდებათ ერთიცა და მეორეც. ალალმართლობითა და სულწასულობით კაზმავენ ისინი თავიანთ ნააზრევს და გამოკვლევებს, უსადაგებენ მათ ინდივიდუალურ მერყევ, მშფოთვარე, ეგრეთ წოდებულ აფორისტულ სტილს. მათში ჯერ კიდევ ცოცხლობს ანტიკურობისა და შუა საუკუნეობრიობის ეკლესიების, სკოლების და აკადემიების ზნეკეთილობის დროიდან შინაგანი

ცხოვრების, სიცხადისა და სილამაზის სიყვარული, რაც არათანმიმდევრულობასა და თვითმპყრობელური თავნებობის თავიდან აცილებას განაპირობებს. (კ. ფოსლერი, წინასიტყვაობა წიგნისა “ფრანგი მორალისტები“; შალკის გამოცემა, 1938). ფრანგ მორალისტებს მიეკუთვნებიან ლაროშ ფუკო, ვოვენარგი, მონტესკიე, შამფორი, რივაროლი.

მორალურობა (ლათ. moralitas – ზნეობრიობა). კანტის მიხედვით, მოქმედებას მხოლოდ მაშინ ახლავს მორალურობა, როდესაც იგი არა მარტო მიესადაგება ზნეობრივ კანონს, არამედ თავად გამომდინარეობს მოვალეობის იდეიდან.

მორი თომას – ინგლისელი იურისტი და ფილოსოფოსი, მუშაობდა სახელმწიფოს პრობლემებზე; დაიბ. 7. II. 1478 (ლონდონი) – გარდ. (ჰენრიხ VIII-ის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს) 6. VIII. 1535 (იქვე); 1529 წელს იყო ლორდ-კანცლერი, მხარს უჭერდა კონტრრეფორმაციას. თავის ფილოსოფიურ თხზულებაში სახელმწიფოს



შესახებ “უტოპია“ (რის შესაბამისადაც მთელმა პოლიტიკურმა ლიტერატურამ “უტოპიის“ სახელწოდება მიიღო), რომელიც გამოქვეყნდა 1516 წელს ლათინურ ენაზე (გერმანული გამოცემა, 1922, ონკენის წინასიტყვაობით), მას თავისი იდეალური სახელმწიფო გადააქვს შორეულ კუნძულზე. მორი მოითხოვს ინდივიდების საკუთრების გასხვისებას იმ სახელმწიფოს სასარგებლოდ რომელიც პლატონის სახელმწიფოს მოგვაგონებს, მოითხოვს რელიგიურ შემწყნარებლობას, რაც შეიძლება ნაკლებ რელიგიურ დოგმებს და ახალგაზრდობის აღზრდის საქმის გადაცემას სასულიერო პირებისათვის. “თომას მორის წერილები“ გერმანულ ენაზე გამოსცა ბლიარერმა, 1949 წელი.

მრწამსი – ადამიანის ძირითადი ზნეობრივი განწყობა, რამდენადაც იგი, კერძოდ, განსაზღვრავს ქცევების (აგრეთვე აზროვნების) მიმართულებას და მიზანს, თუნდაც ეს ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის საკუთარ სარგებლობას. ადამიანთა მრწამსები განსხვავებულია, ისევე როგორც ხასიათები. წარმატების

ეთიკის საპირისპიროდ, მრწამსის ეთიკის ფუძემდებელია კანტი. გოეთე ამბობს, რომ ადამიანებს აერთიანებს მრწამსი, თიშავს შეხედულებანი. თანამედროვე ეთიკა ადამიანს განსჯის მისი მრწამსის და არა მისი მოღვაწეობის გარეგნული წარმატების მიხედვით; მას მხედველობაში აქვს მისი ზნეობრივი მოქმედებები, რომლებიც სცილდებიან იდეალობის ფარგლებს და მიმართული არიან მორალურობაზე.

მსოფლიო ისტორია (საყოველთაო ისტორია) – მთელი კაცობრიობის, მათ შორის პირველყოფილი ხალხების, ისტორია. ისტორიის მკვლევარები, ჰ. ჰელმოლტის გამოკლებით, რომელმაც დაწერა თავისი “მსოფლიო ისტორია“ (9 ტომი, 1913–1922), გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით, თავის ნაწარმოებებში განიხილავენ მხოლოდ ევროპის კულტურულ ხალხებს, ან ახლო და შუა აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებს, ან დანარჩენი ქვეყნების ისტორიას განიხილავენ ევროპელის თვალსაზრისით (და უწინარეს ყოვლისა ევროპული გავლენის გავრცელების თვალსაზრისით). “ცალკეული

ხალხების მეტნაკლებად სრული კრებული ჯერ კიდევ ვერ შეადგენს ვერავითარ მსოფლიო ისტორიას, ვინაიდან მას მხედველობიდან გამორჩება ნივთთა ურთიერთკავშირი. მსოფლიო ისტორიის როგორც მეცნიერების ამოცანა სწორედ ის არის, რომ შეიცნოს ეს ურთიერთკავშირი, გვიჩვენოს იმ დიდ მოვლენათა განვითარების მსვლელობა, რომლებიც აკავშირებენ ყველა ხალხს და მართავენ მას“ და მხოლოდ აქედან გამოიყვანოს ერთიანობისაკენ მიმართული კაცობრიობის ცნება. “ის, რომ ასეთი ერთობა არსებობს, ცხადია“ (ლ. ფრანკე), “მსოფლიო ისტორიის“ წინასიტყვაობა, გამოიცა 4 ტომად, 1910.

მსოფლიო სული – სულიერი ძალა, გაგებული როგორც მთელი სიცოცხლის პრინციპი. მსოფლიო სულის ცნება მოდის პლატონიდან (“ტიმეოსი“ მსოფლიოს სული არის მსოფლიოს მამოძრავებელი. იგი შეიცავს ყოველივე სხეულებრივსა და მის ელემენტებს. იგი იმეცნებს ყველაფერს). ამ იდეის არსებაა მოძრაობა, როგორც ზემოქანიკურის მოქმედება, როგორც რაღაც მაორგანიზებელი. ეს იდეა

შემდეგ ისესხეს სტოელებმა (პნევმა როგორც მთელი არსებულის გამჭვალავი მსოფლიო ძალა, და ნეოპლატონიკოსებმა. აღორძინების ეპოქაში ეს იდეა ბრუნომ წამოაყენა როგორც ყოველივეს მაცოცხლებელი და შემოქმედებითი (ხელოვანის მსგავსი) პრინციპი. ჰერდერთან და გოეთესთან მსოფლიო სულს აქვს ისეთივე აზრი, როგორც მსოფლიო გონს. რომანტიკაში, კერძოდ შელინგს, მსოფლიო სული ესმით დაახლოებით იმ აზრით, როგორც ესმოდა ჯ. ბრუნოს, სახელდობრ როგორც პრინციპი, რომელიც არაცნობიერად “აკავშირებს მთელ ბუნებას საყოველთაო ორგანიზმად“.

მსოფლმხედველობა – მეტაფიზიკური აზროვნებისა და გამოკვლევათა შედეგების ერთობლიობა, ამასთან მეტაფიზიკა გაგებულია როგორც მეცნიერება, რომელიც ერთ მთლიანობად აერთიანებს სამყაროს შემეცნების ფორმებს: ჯერ ერთი, მსოფლმხედველობის სხვადასხვა “ბუნებრივ“ სახეობებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ტრადიციით ეპოქასთან, ხალხთან, რასასთან და

ა.შ; მეორე, ფილოსოფიას, რომელიც ესწრაფვის აპრიორულ ცოდნას, რომელიც დამოკიდებული არ არის ინდუქციურ გამოკვლევათა რაოდენობაზე ყველა სფეროში და მესამე, კონკრეტულ მეცნიერებათა შედეგებს. “მსოფლმხედველობა თავის თავში ფარავს ფილოსოფიას, როგორც ის მიდის მთელისაკენ, უნივერსალურისაკენ, უკანასკნელისაკენ, საბოლოოსაკენ და შეიცავს არა მარტო ცოდნას კოსმოსის შესახებ, არამედ აგრეთვე შეფასებებს, ღირებულებათა განცდილ სუბორდინაციებს, სიცოცხლის ფორმებს”. (პ. მაიერი დასავლეთის მსოფლმხედველობათა ისტორია 5 ტომი, 1947–1949). მ. შელერის თანახმად, მსოფლმხედველობა არის “მთელი კულტურის ან ერთი პიროვნების მმართველი სელექციისა და დანაწევრების სახეობა, რომელშიც იგი (მსოფლმხედველობა) ფაქტიურად შეიცავს ფიზიკური, ფსიქიკური და იდეალური ნივთების წმინდა არსებას იმის მიუხედავად, თუ როგორ ხდება მათი შემეცნება და საერთოდ ხდება თუ არა ეს გაცნობიერება” (ფორმალიზმი ეთიკაში და მატერიალური ღირებულების ეთიკა, 1945).

მუშა — იმ აზრით, რომლითაც ეს სიტყვა იხმარება სოციოლოგიაში, — ეს არის, ვინც მუშაობს სხვის მეურნეობაში სხვისთვის (მეწარმისათვის, სამუშაოს მიმცემისათვის). მარქსიდან დაწყებული, ცნება “მუშა” მწვავე დავის ობიექტი გახდა. მარქსმა შემოიტანა ცნება პროლეტარი, ე. ი. მუშა, რომელსაც არ გააჩნია საკუთრება და ამიტომ იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა საბაზრო ფასებში, ე. ი. ყველაზე არახელსაყრელ პირობებში, რათა შიმშილით არ მოკვდეს. ამჟამად მუშის არსებობა მიაჩნიათ საერთოდ ადამიანური არსებობის პროტოტიპად: ადამიანმა თავისი არსებობა ერთგვარად იმით უნდა გაამართლოს, რომ იგი მუშაობს როგორც მუშა (“ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს”). ამ მიმართულებით ვითარდება ასევე ქრისტიანული მოძღვრება; ქრისტიანული ასკეტიზმი (“ილოცე და იშრომე” ან “იშრომე, მაგრამ ნუ ისარგებლებ”) და ბოლოს, ტექნიკა — მისი სულ უფრო მზარდი მოთხოვნით მუშაზე, რომელმაც გააცნობიერა თავისი მდგომარეობა და ძალა (“ყველა მანქანა გაჩერდება, თუ ამას მოინდომებს ჩემი ძლიერი

ხელი“) პირველი რიგის პოლიტიკური ფაქტორი გახდა. ერნსტ იუნგერმა 1932 წ. დაწერა ნაშრომი “მუშის ბატონობა და სახე“, რომელშიც იმ დასკვნამდე მიდის, რომ მუშა იმორჩილებს დედამიწას ტექნიკით და რომ ტექნიკა მისთვის სამყაროს მობილიზაციის საშუალებაა. თანამედროვე “მუშათა დემოკრატიაში“ ადამიანის თავისუფლება შეადგენს მის მიერ იმის გაგებას, რომ იგი აუცილებლად უნდა არსებობდეს, როგორც მუშა.

- 6 -

ნირვანა (სანსკრ. – შეწყვეტა, პალის ენაზე – nibbana) – ასე უწოდებენ განდგომილობის მდგომარეობას, რასაც სიცოცხლეშივე აღწევენ ცხოვრებისეულ მისწრაფებებზე უარის თქმით. ასეთი მდგომარეობა შეუძლებელს ხდის ახალ დაბადებას სიკვდილის შემდეგ. ბრაჰმანთა მოძღვრების თანახმად, ნირვანა მოასწავებს ინდივიდუალური სულის ზიარებას აბსოლუტთან (ბრაჰმანთან), ბუდისტურ ფილოსოფიაში ნირვანა ესმით როგორც ნეტარების ჩაუწვდომელი მდგომარეობა,

რომელშიც საბოლოოდ მოხსნილია ყოფიერების ყველა ის ფაქტორი, ინდივიდუალურ არსებობას რომ უზრუნველყოფს. ასე რომ ყოფიერება ნირვანაში არარასტოლმნიშვნელოვანია. გვიანდელი მაჰაიანის მომხრეთათვის ნირვანა არსებობის სრული შეწყვეტა კი არ არის, არამედ წმინდანობის მდგომარეობა, რომელშიც აღარ მოქმედებს კარმას კანონი და რომელიც სამუდამოდ იქცა ყველა არსებისათვის სიკეთედ.

ნიცშე ფრიდრიხ – ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, დაიბ. 15. X. 1844 (რეკენი, საქსონია) – გარდ. 25. VIII. 1900 (ვაიმარი). 25 წლის ასაკში ბაზელში პროფესორის ადგილს იკავებს, რომელსაც ავადმყოფობის გამო დატოვებს 1878წ. მას ტანჯავდა თვალების საშინელი ავადმყოფობა, რასაც საბოლოოდ მხედველობის სრული დაკარგვა მოჰყვა. 1872 წელს გამოვიდა ნიცშეს პირველი წიგნი “ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან“, რომელსაც მოყვა “არათანამედროვე მსჯელობები”, სადაც ნიცშე აკრიტიკებს შტრაუსს და ისტორიზმის მომხრეებს, ამავე დროს ქება-

დიდებას ასხამდა შოპენჰაუერსა და ვაგნერს. თავის ძირითად საპროგრამო ნაწარმოებად ნიცშე ვარაუდობდა შეექმნა წიგნი “ძალაუფლების ჟინი”, ეს იყო ყველა “ღირებულების გადაფასების” ცდა, მაგრამ დატოვა მხოლოდ უამრავი შენიშვნები და აფორიზმები, რომლებიც შეიქმნა მისი მომზადების პროცესში. ეს მასალა გამოსცეს მისმა დამ, ელიზაბეტ ფოლდერ – ნიცშემ და პ. გასტმა 1906წელს. ფ. ნიცშეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებია “ასე ამბობდა ზარათუსტრა”, რომელიც ავტორს მიაჩნდა “ყველაზე ღრმად ყველა იმ წიგნებიდან, რომელიც აქვს კაცობრიობას”.

ნორმა (ლათ.) – დანაწესი, წესი, რაიმეს შესახებ დასკვნისა და შეფასების საზომი. ნორმა გამოხატავს იმას, რაც არსებობს ან უნდა არსებობდეს უკლებლივ ყველა შემთხვევაში, განსხვავებით კანონისაგან, რომელიც ეხება მხოლოდ არსებულსა და მიმდინარეს, და წესისაგან, რომელიც შეიძლება შესრულდეს ან არ შესრულდეს. კერძოდ, შეიძლება განვასხვაოთ ზნეობრივი, ესთე-

ტიკური და ლოგიკური ნორმები და ამ საფუძველზე ეთიკას, ესთეტიკას და ლოგიკას უწოდებენ ნორმატიულ ფილოსოფიურ დისციპლინებს. ამას გარდა აღნიშნავენ იურიდიულ და ტექნიკურ ნორმებს.

ნიჰილიზმი (ლათ. nihil – არა-არა) – აბსოლუტური უარყოფის პოზიცია. ეს ტერმინი, რომელიც ფრ. ჰენრი იაკობიმ შემოიტანა თავის “წერილი ფიხტესადმი” (1799 წ.) და საყოველთაოდ გავრცელდა ტურგენევის რომანის (“მამებისა და შვილების” (1862) მეოხებით. თეორიული ნიჰილიზმი უარყოფს თვით ჭეშმარიტების შემეცნების შესაძლებლობას. ეთიკური ნიჰილიზმი უკუაგდებს ქცევის ღირებულებებსა და ნორმებს და ბოლოს, პოლიტიკური ნიჰილიზმი ილაშქრებს ყოველგვარი საზოგადოებრივი წეს-წყობილების წინააღმდეგ. ხშირად ნიჰილიზმი წარმოადგენს მხოლოდ უკიდურეს სკეპტიციზმს, რეაქციას დოგმატიზმის წინააღმდეგ, რომლის უშინაარსობა ცხადი გახდა.

ნორმალური – ნორმის შესაბამისი, წესს დაქვემდებარებული.



ამის საპირისპიროდ ანორმალური – არის ნორმიდან გადახვევა.

ნორმატიული – ნორმის შემქმნელი, წესებისა და ნორმის დამდგენი.

- (ო) -

ობიექტურობა – ობიექტური ხასიათი, განთავისუფლება ყოველგვარი სუბიექტისაგან, სუბიექტური გავლენისაგან, საგნობრივობა, ნეიტრალობა. ობიექტურობას აგრეთვე უწოდებენ უნარს – აკვირდებოდე რაიმეს და გადმოსცემდე “შკაჯრად ობიექტურად”. მაგრამ ასეთი უნარი ადამიანს არ გააჩნია, ამიტომ ნამდვილი ობიექტურობა მიიღწევა მხოლოდ მეტად მიახლოებით და მეცნიერული შრომისათვის იდეალად რჩება.

ოლიგარქია (ბერძნ.) – ძალაუფლების მქონე ვიწრო წრის პირთა, გვარების, ოჯახებისა და ჯგუფების ბატონობა. არისტოტელეს თანახმად, ოლიგარქია მმართველობის არისტოკრატიული ფორმის დამახინჯების შედეგია.

სოციოლოგიაში ლაპარაკობენ ოლიგარქიზირებაზე, როგორც რაციონალიზირებისა და ბიუროკრატიზმის ზრდაზე დიდ ორგანიზაციებში, რაც ჩაგვრის საფუძველზე ხდება, განსაკუთრებით ერთადერთ გაბატონებულ პარტიებში, რომლებიც დღეს ოლიგარქიის მაგალითს წარმოადგენენ.

ოპტიმიზმი (ლათ. optimum – საუკეთესო) – პესიმიზმისაგან განსხვავებით, ცხოვრების ისეთი აღქმა ან განწყობილება, რომლებიც ნივთებსა და მოვლენებში აღნიშნავს მათს საუკეთესო მხარეებს და საერთოდ უკეთესობას. იმედი აქვს და სწამს განუწყვეტელი პროგრესი. რელიგიურ-მეტაფიზიკური ოპტიმიზმი – ეს არის შეხედულება, რომლის თანახმად ჩვენი სამყარო ისეთი, როგორიც ის არის, არსებულ ვითარებაში საუკეთესოა ყველა შესაძლებელ სამყაროს შორის, აგრეთვე, რომ ის ნამდვილად გონივრულია, ემორჩილება გონებას. ასეთ ოპტიმიზმს ქადაგებენ პლატონი, სტოელები, რაციონალისტები, რომლებსაც სჯერათ განსჯისა და შემეცნების უსაზღვრო ძალა. პესიმისტ შოპენჰაუერი-

სათვის ოპტიმიზმი არის “საძაგელი” აზროვნების წესი. ნიცშე, მისი ფილოსოფიის ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად, მოითხოვს ცხოვრების და ყოფიერების ისეთ დამკვიდრებას, რომელიც მიღმა დატოვებდა, როგორც ოპტიმიზმს, ისე პესიმიზმს.

ოპორტუნისმი (ლათ. oportunitus – ხელსაყრელი, მოსახერხებელი) – უპრინციპობა, ყველა სიტუაციასთან შეგუების მზადყოფნა, თავის მოთხოვნილებათა მინიმალური ძალისხმევით დაკმაყოფილების მიზნით. ოპორტუნისტი – გარემოებათა მიხედვით საფუძვლად უყოყმანოდ აღიარებს ამა თუ იმ ფაქტებს, ამიტომ მას არა აქვს უნარი იმოქმედოს საკუთარი პრინციპების მიხედვით.

ორგანიზაცია – ინდივიდთა გაერთიანება ერთიან მთელად ერთობლივი შრომისათვის. ორგანიზაციაში გაერთიანებული ინდივიდები იქცევიან შრომაში მონაწილე მთელის ურთიერთდაკავშირებულ “იარაღებად” (ორგანოებად), მაგრამ ინარჩუნებენ

თავის ინდივიდუალობას. ამის მეოხებით, ორგანიზაცია როგორც რაღაც რეალური, რომელიც ადამიანებს მოიცავს, შემაერთებული რგოლია მატერიალურ ტექნიკასა და ადამიანთა ნამდვილ ხელმძღვანელობას შორის და ამ უკანასკნელის უმნიშვნელოვანეს დმხმარე საშუალებას მიეკუთვნება.

ორმაგი ჭეშმარიტება – ერთი და იგივე მეცნიერული დებულებისათვის იმის შესაძლებლობა, რომ ერთდროულად იყოს ჭეშმარიტი და მცდარი, იმის მიხედვით, თუ რა უდევს საფუძვლად ამ დებულებას, მოძღვრებამ ორმაგი ჭეშმარიტების შესახებ დიდი როლი ითამაშა შუა საუკუნეებში, როდესაც აუცილებელი გახდა რელიგიურ ჭეშმარიტებათა რაციონალური დადასტურება.

ობლოკრატია (ბერძნ. ochlos – ბრბო და cratein – ბატონობა), მასის, პლებსის ბატონობა. არისტოტელეს თანახმად ობლოკრატია დემოკრატიის გაუკუღმართებული ფორმაა.



- 3 -

პარადოქსი (ბერძნ. para – წინააღმდეგ და doxa – შეხედულება), საყოველთაოდ მიღებულის საწინააღმდეგო, უჩვეულო, მოულოდნელი.

პარეტო ვილფრედო – შვეიცარიელი პოლიტიკონომი; დაიბ. 15. VII. 1848 (პარიზი) – გარდ. 20. VIII. 1923 (კოლინი); პროფესორი ლოზანაში (1894 წლიდან); პარეტომ უარყო ისტორიული მატერიალიზმი და ცდილობდა გამოეყენებინა მათემატიკისა და ფიზიკისაგან გადმოდებული მკაცრი და ზუსტი მეთოდი, რათა, ეკვლია ეკონომიკური და სოციალური ძალები და წონასწორობის მდგომარეობანი. ადამიანის აზროვნებას განსაზღვრავს მისი საქმიანობა. საზოგადოების სტრუქტურა და მოქმედების სტრუქტურა “წარმოებულა”, სახელდობრ კი ყველგან მოფენილი ინსტიქტისაგან. ასეთი „გამოყვანის“ აზრობრივი სისტემები „ფარულიდ ეოლოგიურია.“ სოციალური ორგანიზმის სპეციფიკური დინა-

მიკური ფაქტორია „ელიტა“, ინსტიქტებით მდიდარი, რომელიც ქმნის და სრულყოფს იდეოლოგიას. ძირითადი ნაწარმოებები: „სოციალური სისტემები“, 2 ტ. 1902 წ; „ეკონომია და სოციოლოგია“, 1907, „პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო“, 1909; „დემოკრატიის გარდაქმნა“, 1921.

პესიმიზმი (ლათ. pesimum – ყველაზე ცუდი, ყველაზე უარესი) – ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში – ყოველივეს გამოხატვა ბნელ ფერებში; ისეთი პირადი მრწამსი ან ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ოპტიმიზმის საპირისპიროდ სამყაროში ხედავს უწინარეს ყოვლისა უარყოფით მხარეებს, ქვეყანა მიაჩნია მთლად უვარგისად, ხოლო ადამიანის არსებობა – სრულიად უაზროდ. რელიგიურ გამოხატულებას პესიმიზმი პოულობს, კერძოდ ბუდიზმში, ძველ აღთქმასა და ქრისტიანობაში. მელანქოლია პესიმიზმის აკადემიკური ფორმაა.

პიროვნება (ლათ. პერსონა მსახიობის ნილაბი, როლი) – უკვე ანტიკურობის მიწურულს ასე უწოდებდნენ ინდივიდს, რამდე-

ნადაც იგი მხოლოდ ბუნებრივი ორგანიზმი კი არ არის, არამედ ვლინდება თავისი ადამიანური სახით. ყველაფერს, რაც მიეკუთვნება პიროვნებას, პერსონას, პერსონალური ეწოდება.

პლატონი – ბერძენი ფილოსოფოსი, დაიბადა 27. V. 427 წელს ჩვენს ერამდე (ათენი) – გარდაიცვალა 347 წელს (იქვე). ნამდვილი სახელი არისტოკლე, არისტონესა და პერიკტიონას ძე, დედამისის წინაპრები სოლონის ნათესავები იყვნენ. პლატონი ჯერ პოეტი იყო, ხოლო შემდეგ სოკრატეს გავლენით ანტიკურობის ეპოქის ყველაზე გამოჩენილი ფილოსოფოსი გახდა არისტოტელესთან ერთად. ბევრს მოგზაურობდა. ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა მისმა იდეათა თეორიამ და სახელმწიფოს ფილოსოფიამ, რომლებიც მასში თანდათან მომწიფდა. პლატონის ძირითადი იდეებია: გრძნობადი აღქმა იძლევა არა მუდმივის ცოდნას, არამედ დამაჯერებლობას მოკლებულ შეხედულებას. მხოლოდ ცნებები, თუ ისინი სწორად არიან შექმნილი, წარმოადგენენ უცვლელს და მხოლოდ ისინი იძლევიან

ნამდვილ ცოდნას. ცნებას უნდა ჰქონდეს თავისი ობიექტი. ეს ობიექტი ვერ იქნება გრძნობადი აღქმის ობიექტის იდენტური, იგი უნდა იყოს ზეგრძნობადი ობიექტი-იდეა. ცნებები იდეათა ასახვაა. ის, რომ სული ცნებათა დახმარებით ეზიარება იდეათა სამყაროს, ამავე დროს, პლატონის თანახმად, სულის უკვდავებას მოწმობს. უმაღლესი იდეაა მშვენიერი სიკეთის იდეა. იგი პლატონს ხშირად გაგებულ აქვს აგრეთვე როგორც ღმერთი – სამყაროს შემქმნელი (დემიურგი), რომელიც ჯერ ქმნის მსოფლიო სულს, როგორც უსხეულო, მთელი სამყაროს განმსჭვალავ ძალას. მატერია თავისთავად არ არსებობს, იგი სინამდვილედ იქცევა მასში არსებული აღმძვრელი იდეის მეშვეობით. ეთიკაში პლატონი ემყარება იმას, რომ მხოლოდ ქმედითი ცხოვრება, რომელიც იდეებით ხელმძღვანელობს, ახორციელებს ზნეობას, ე. ი. სათნოების იდეას. იდეისაკენ აღმძვრელი მიზეზია ეროსი, ნეტარების აუცილებელი წანამძღვარი – სათნოება. სათნოება გულის წესრიგი და ჰარმონიაა. პლატონი განასხვავებს ოთხ ძირითად



სათნობას: სიბრძნეს, სიმამაცეს (გაბედულებას), კეთილგონიერებას (თავდაჭერილობას) და როგორც მთავარ სათნობას — სამართლიანობას, რომელიც ახდენს სხვა სათნობების კომპენსაციას, ითავსებს მათ. სახელმწიფო, პლატონის თანახმად, — ეს არის ადამიანი გაცილებით დიდი მასშტაბით. მისი უმაღლესი ამოცანაა თვითშენახვა სათნობის სულისკვეთებით მოქალაქეთა ფორმირების მეშვეობით. ეთიკით განსაზღვრული მისი პოლიტიკური მიზანია იდეალური სახელმწიფოს სრულყოფილი ადამიანი. იდეალურ სახელმწიფოში ადამიანთა ბუნებრივი უთანასწორობის შედეგად არსებობენ სათნობათა იერარქიის შესაბამისი შემდეგი ფენები: დაბალი სათნობის ფენაში (თავდაჭერილობა, მორჩილება) შედიან გლეხები და ხელოსნები, რომლებიც თავიანთი შრომით უზრუნველყოფენ საზოგადოების მატერიალურ საფუძველს; სიმამაცის სათნობა შეესაბამება მეომართა და მოხელეთა ფენას, რომლებიც უსიტყვოდ უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, იცავდნენ სახელმწიფოს საყრდენს (გარეთ იგერიებდნენ მტრების თავდასხმას,

სახელმწიფოს შიგნით იცავდნენ კანონებს); ბოლოს, მმართველნი, რომელთა სათნობაა პრაქტიკული სიბრძნე, განსაზღვრავენ კანონმდებლობას და მართავენ სახელმწიფოს. პლატონის ცდა განეხორციელებინა იდეალური სახელმწიფო დიონისეს ტირანიაში (სიცილია), მარცხით დამთავრდა. სახელმწიფოს პლატონისეული გაგება უმთავრესად უნდა გავიგოთ იმის გათვალისწინებით, რომ მისი ძირითადი პოლიტიკური ნება იყო ელინების გაერთიანების მიღწევა სამართლიანობის საფუძველზე. პლატონის ყველა ნაწარმოები, წერილების გარდა, დაწერილია დიალოგის ფორმით: მათ შორის უმნიშვნელოვანესია: “აპოლოგია” (სოკრატეს დაცვა), “კრიტონი” (კანონების პატივისცემა), “ლახუსი” (სიმამაცის შესახებ), “ხარმიდე” (კეთილგონიერების შესახებ), “სახელმწიფო” (სამართლიანობის შესახებ) და სხვა.

პლექანოვი გიორგი ვალენტინის ძე — რუსი მწერალი, თავდაპირველად ჰეგელიანელი, დაიბ. 11. XI. 1857 (სოფ. გუდალოვკა) — გარდ. 30. V. 1918 (სეპიტაკეარვის ახლოს, ფინეთი),

წამყვანი სოციალ-დემოკრატი, 1901-1905 წწ. ლენინის შექმნილი გაზეთ “ისკრის“ ხელმძღვანელი, მაგრამ მოგვიანებით რუსეთში დააარსა ანტიბოლშევიკური დაჯგუფება. პლექხანოვი მარქსიზმის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი თეორიტიკოსია. მისი ძირითადი ნაწარმოებებია: “მატერიალიზმის ისტორიის ნარკვევები”, 1893, რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები 5 ტომად, ტ. 2 1956; “მარქსიზმის ძირითადი საკითხები”, იხ. იქვე ტ. 3., “რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორია”, ტ. 1. 1925, ტ. 2., 1918. ამას გარდა, რუსულ ენაზე მისი თხზულებები გამოცემული 24 ტომად.

პლურალიზმი (ლათ. plures – მეტი, ბევრი) – უმრავლესობის, უმეტესობის თვალსაზრისი, ფილოსოფიური (მეტაფიზიკური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც სინამდვილე შედგება მრავალი დამოუკიდებელი არსისაგან). ისინი არ ქმნიან აბსოლუტურ ერთიანობას.

პლუტარქე ხერონიადან (საბერძნეთი) – ბერძენი ფილოსოფოსი

და ბიოგრაფი; ცხოვრობდა დაახლ. 45-120 წწ. თავის სამშობლოში აღჭურვილი იყო მმართველის უფლებამოსილებით, მღვდლად იყო დელფოში. მისი ფილოსოფიური თხზულებანი და ნაწარმოებები მეცნიერების სხვადასხვა დარგში გაერთიანებულია საერთო სათაურით “მორალი“, პლუტარქე მოუწოდებდა გამიჯვნოდნენ სტოელებს და ეპიკურეზმს, ამასთან კერძო საზოგადოებრივი ცხოვრება გონივრულ-ჰარმონიულად წარემართათ. ბერძენი და რომაელი მხედართმთავრების და სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრების მისეული შედარებითი აღწერა სანიმუშო ზნეობის ნათელი მაგალითია. პლუტარქეს პიროვნება და ნაწარმოებები დიდ გავლენას ახდენენ შემდგომ განვითარებაზე დღემდე.

პოზიცია (ლათ.) – დებულება, მტკიცება, მდგომარეობა, ადგილი.

პოლემიკა (ბერძნ. polemos – ომი) – მეცნიერული დავა, სიტყვიერი ომი, ლიტერატურული კამათი.

პოლიბიუსი – ბერძენი ისტორიოგრაფი, სახელმწიფო მოღვაწე

და მხედართმთავარი. დაიბ. დაახლ. 201 წ. ჩვ. ერამდე (მეგაპოლისი, არკადია) – გარდ. დაახლ. 120 წ. ჩვ. ერამდე. დაწერა მსოფლიო ისტორია 40 ტომად, მასში გამოხატა ერთიანი მსოფლიო ისტორიის იდეა. წინასწარხედვის შესახებ. სტოელთა მოძღვრების საფუძველზე მივიდა ისტორიის მეტაფიზიკამდე, რომლის თანახმად ისტორია არის ხალხების და ცალკე პიროვნებათა ბრძოლა ბედისწერის ბატონობის წინააღმდეგ.

პოლისი – საბერძნეთში დაახლოებით VI ს. ჩვენს ერამდე წარმოშობილი სახელმწიფოებრივი მოწყობა. სამოქალაქო დემოკრატიული ფორმა, სადაც არ არსებობს მეფისა და არისტოკრატიის ხელისუფლება; ეს აგრეთვე ისეთი პოლიტიკური ერთობაა, რომელსაც თითოეული ბუნებრივად მიეკუთვნება და რომელიც თითოეულს აღზრდის, იცავს და აძლევს სამოღვაწეო სარბიელს. ამ ერთობის განმტკიცება ინდივიდის პირველი მოვალეობაა. პოლისი წმინდა იყო. მისი სამსჯავროს წინაშე ღმერთებიც კი წარდგებოდნენ ხოლმე.

(მაგ., ესქილესთან, “ევმენიდეში“). პოლისის ეს განდიდება თანდათან წყდება ჩვენს ერამდე IV საუკუნიდან.

პოლიტიკა (ბერძნ. ta politika – სახელმწიფოებრივი საქმე) – პლატონისა და არისტოტელეს თანახმად, ერთიანი მეცნიერება საზოგადოებასა და (ქალაქ) სახელმწიფოს (პოლისის) შესახებ. ამჟამად პოლიტიკაში, როგორც სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებაში იგულისხმება მეცნიერება სახელმწიფოს ამოცანებისა, მიზნებისა და იმ საშუალებების შესახებ, რომლებიც აუცილებელია ამ მიზნების შესასრულებლად. პოლიტიკის დამხმარე მეცნიერებანია: ისტორია, პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია, სახელმწიფო სამართალი, საერთაშორისო სამართალი, სოციოლოგია, მოძღვრება სახალხო მეურნეობის შესახებ, ფსიქოლოგია და ეთიკა. პრაქტიკული პოლიტიკა არის ადამიანთა აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს ცხოვრებაში ამომრჩევლების, დეპუტატების, მინისტრებისა და სხვათა სახით. ფართო აზრით ეს არის პარტიული პოლიტიკა, რომლის

მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვება პარტიულ პროგრამაში გამოხატული სახელმწიფოს გარკვეული იდეალის განსახორციელებლად. ეს პოლიტიკა მუდამ ორიენტირებულია სხვა სახელმწიფოებთან კონფლიქტის შემთხვევისათვის (საგარეო პოლიტიკის პრიმატი, პოლიტიკა “როგორც შესაძლებლის ხელოვნება”). სახელმწიფო ხელოვნებას უწოდებენ სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკას, რომელსაც იცავენ მისი მომხრეები პარლამენტში – მაშინაც კი, თუ იგი არ იზიარებს მათს პოლიტიკურ დოგმებს, მაგრამ თავიანთ ღონისძიებაში მუდამ ითვალისწინებს სახელმწიფოს მთლიანობას. ასეთი სახელმწიფო მოღვაწენი ისე იშვიათია, რომ ბისმარკს უფლება ჰქონდა მათი პოლიტიკისათვის ხელოვნება ეწოდებინა; სახელმწიფო. ისტორიაში და თანამედროვეობაში პოლიტიკის სისტემური კვლევა ამჟამად პოლიტოლოგიის სახელწოდებით მიმდინარეობს, თუმცა დღემდე არ მოხერხდა მისთვის საკუთარი საგნის შემოსაზღვრა და სპეციფიური პოლიტოლოგიური მეთოდების განსაზღვრა.

პოსტულატი (ლათ. postulate – მოვითხოვ) – მოთხოვნა, ვარაუდი, რომელიც რეალურად აუცილებელია ან გააზრებული უნდა იყოს. ეს ვარაუდი არ საჭიროებს ზუსტ დასაბუთებას, მაგრამ დამაჯერებლად და საფუძვლიანად უნდა ემყარებოდეს ფაქტებს ან სისტემურ თუ პრაქტიკულ ახსნას.

პრაგმატული – პრაქტიკული, რაც ეხება მოქმედებას, ემსახურება პრაქტიკას; პირობების, მათი მიზეზებისა და შედეგების კავშირი, მაგ., ისტორიის პრაგმატული აღწერა.

პრაქტიკული (ბერძნ. pratein – მოქმედება) – რაც ეხება მოქმედებას, საქმიანობას, საქმიანობაში გამოსაყენებელი.

პრეზუმცია (ლათ. presumere – ვარაუდი) – დაშვება ალბათობის საფუძველზე, აგრეთვე “ადამიანის საღი განსჯის” საფუძველზე.

პრიმატი – პირველი ადგილი, ბატონობა – კანტი ქადაგებს “პრაქტიკული გონების პრიმატს”, ე. ი. გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ზნეობრივ-პრაქტიკული მხარე



უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე მჭვრეტელობით-თეორიული, მაშასადამე ადამიანი პირველ რიგში არის (ზნეობრივი) მოქმედებისათვის განსაზღვრული არსება.

პრინციპი (ლათ. principum) – სუბიექტური აზრით ძირითადი დებულება, წანამძღვარი (აზროვნების პრინციპი), ობიექტური აზრით ამოსავლი პუნქტი, პირველსაფუძველი, უპირველესი ყოფიერების პრინციპი, რეალური პრინციპი.

პრობლემა (ბერძ. problema – შემოთავაზებული) – გადაუწყვეტელი ამოცანა ან გადასაწყვეტად მომზადებული საკითხი.

პრობლემატური – კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული, საეჭვო, განურჩეველი. პრობლემატური მსჯელობა, რომელშიც მტკიცება ან უარყოფა მხოლოდ შესაძლებლად არის მიჩნეული. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ შეიძლებოდა არც ყოფილიყო.

პროგრესი (ლათ. progressus – აღმავალი მოძრაობა, progressus in

ifinitum – პროგრესი უსასრულობაში) – პროგრესული, მოწინავე, წინ მიმავალი. (საპირისპირო – კონსერვატიული ან რეგრესული).

პროლეტარი (ლათ. proletarius) – ძველ რომში პროლეტარებს უწოდებდნენ იმას, ვისაც არ შეეძლო გადასახადის გადახდა და საზოგადოებას მხოლოდ იმით ემსახურებოდა, რომ აძლევდა შთამომავლობას. მარქსის დროიდან ასე უწოდებდნენ არასმქონე მუშებს; პროლეტარულ ცნობიერებას აქვს უხეშად მატერიალისტური, უტილიტარული შინაარსი, იცავს კოლექტივიზმს და უარყოფს პიროვნების ღირებულებებს.

პროტესტანტიზმი – ქრისტიანობის ისეთი ფორმა, რომელსაც ლუთერის, ცვინგლის და კალვინის დროიდან ნერგავდნენ უწინარეს ყოვლისა ლუთერანულ და რეფორმატორულ ეკლესიაში, აგრეთვე უთვალავ თავისუფალ ეკლესიებსა და სექტებში. კათოლიციზმის საპირისპიროდ პროტესტანტიზმი ქადაგებს ქრისტიანობის გამართლებას მხოლოდ ზეციური მადლის წყალობით,

ყველა მორწმუნის საერთო სულიერებასა და ქრისტიანთა რელიგიურ პირად პასუხისმგებლობას. თვით ტერმინი “პროტესტანტიზმი” წარმოიშვა “პროტესტიდან” (“protestation”), რომელიც 1529 წ. 19 აპრილს საბჭოს სხდომაზე გამოუცხადეს შპაიერს ევანგელისტურმა ფენებმა და მიმართული იყო საეკლესიო რეფორმების აკრძალვის წინააღმდეგ. თანამედროვე პროტესტანტიზმში ატეხილია დავა დიალექტიკური თეოლოგიის გარშემო, განსაკუთრებით ეკზისტენციალიზმთან და დემითოლოგიზაციასთან დაკავშირებით.

პროტოტიპი (ბერძნ. protos – პირველი და tyros – ანაბეჭდი) – პირველსახე, ნიმუში, ორიგინალი.

პრუდონი პიერ ჟოზეფ – ფრანგი სოციოლოგი, სოციალური ფილოსოფოსი, დაიბ. 15. I. 1809 (ბუზანსონი) – გარდ. 19. I. 1865 (პარიზი), ანარქიზმის ჭეუძემდებელი, კომუნიზმის მოწინააღმდეგე, რის გამოც მის წინააღმდეგ გაილაშქრა მარქსმა ნაშრომში

“ფილოსოფიის სილატაკე” (1847). თავის “შრომას ფილოსოფიაში” პრუდონი ცდილობდა ყველგან ბურჟუის ადგილას დაეყენებინა მუშა. თუკი მოისპობოდა ორი დესპოტი – ფული და სესხის პროცენტი, შეიძლებოდა წარმოქმნილიყო თავისუფალი ჯგუფები და გაერთიანებები, რომლებიც დაიწყებდნენ ჰარმონიულად ცხოვრებას, სამართლიანად და გაგებით მოეკიდებოდნენ ერთმანეთს. აქედან მომდინარეობს მისი სისტემის სახელწოდება – “მუტუალიზმი” (ლათ. mutuus – ორმხრივი). მის ნაწარმოებში “რა არის საკუთრება?” (1840) მოცემულია გარკვეული პასუხი ამ კითხვაზე: “საკუთრება ქურდობაა”.

- რ -

რასა – ანთროპოლოგიაში ადამიანთა ჯგუფი, რომელშიც დამახასიათებელ გარეგნულ შესახედაობას განაპირობებს საერთო მემკვიდრეობითი კონსტიტუციური ნიშნები (კანის შეფერილობა, თავის ფორმა, პირისახის ფორმა, სხეულის ზომები).

რატენაუ ვალტერ – გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკონომი და ფილოსოფოსი; დაიბ. 29. IX. 1867 (ბერლინი) – გარდ. (მოკლეს) 27. IV. 1922 (ბერლინი). 1922 წლის თებერვლიდან საიმპერიო საგარეო საქმეთა მინისტრი; ემხრობოდა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ინტერესების, კომპრომისს, შერიგებას, ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და ჰუმანურობას. სოციალიზმს რატენაუ უარყოფდა მისი ინტელექტუალისტური სტრუქტურების გამო. “წამოაყენო მიზნები – ნიშნავს გწამდეს... ჭეშმარიტი რწმენა ხარობს გულის შემოქმედებითი ძალისა და სიყვარულის ფანტაზიის წიაღში” ძირითადი ნაშრომებია “გონის მექანიკა” (1913); “რეფლექსიები (180 8); “დროის კრიტიკისათვის” (1913), “მეურნეობა, სახელმწიფო და საზოგადოება” (1925) და სხვა.

რაციონალური (ლათ. rational) – გონივრული, გონებიდან გამომდინარე, გონების მეოხებით განხორციელებული; საპირისპირო – ირაციონალური.

რეალური – ლათ. ნამდვილი, ობიექტური, არსებული არა მარტო აზრში.

რეაქცია – საპასუხო მოქმედება; საწინააღმდეგო მოქმედება პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში 1830 წლიდან რეაქცია ესმით, როგორც მისწრაფება – დააბრკოლონ ახალი წესწყობილების წარმოშობა, ხოლო თუ უკვე გაჩნდა, წინააღმდეგენ მას, რათა კვლავ შეცვალონ ძველით.

რელიგია (ლათ. relegere – რაიმეს განმეორება და გულმოდგინედ დაცვა) – მსოფლმხედველობა და ქცევა, რომელსაც განსაზღვრავს ღმერთის, ღვთაების არსებობის რწმენა: იმ საიდუმლო ძალასთან დაკავშირებულობის, დამოუკიდებლობისა და ჯერარსობის გრძნობა, რომელიც იძლევა საყრდენს და თაყვანისცემის ღირსია. სხვადასხვა რელიგიის თავისებურებანი უნდა გამომდინარეობდნენ რელიგიის აღმსარებელი ადამიანების სპეციფიკურ სულიერ და ხალხურ ფსიქოლოგიური თავისებურებიდან; ეს თავისებურებანი ყველაზე აშკარად შეიძლება გამოვლინდეს

სხვადასხვა წარმოდგენაში ღმერთების შესახებ, რომლებსაც ისინი იქმნიან. კანტის თანახმად, რელიგია არის ჩვენი ვალდებულებათა შეცნობა ღვთაებრივი მცნებების სახით, მაგრამ არა სანქციების სახით, ე. ი. არა იმ სახით, რომ ისინი თვითნებურად, შემთხვევით იყვნენ ჩვენთვის დაწესებული ვიღაც უცხო ნების მიერ, არამედ როგორც ყოველგვარი თავისუფალი ნების არსებითი კანონები, რომლებიც უნდა მივიჩნიოთ უზენაესი არსების მცნებებად. შლაიერმახერი რელიგიას მხოლოდ გრძნობაზე აფუძნებს: “შეიგრძნო, რომ ყველაფერი იგივეობრივია ჩვენს მამოდრავებულ გრძნობაში მის უმაღლეს ერთიანობაში, გააშუალო ყოველივე ინდივიდუალური და განსაკუთრებული და, მაშასადამე, წარმოიდგინო ჩვენი ცხოვრება როგორც ყოფნა და ცხოვრება ღმერთში და ღმერთის მეშვეობით – სწორედ ეს არის რელიგია”. ჰეგელისათვის რელიგია არის აბსოლუტური გონის თვითცნობიერება, ანუ ღვთაებრივი გონის მიერ თავისთავის ცოდნა ბოლოვადი ადამიანური გონის მიერ გაშუალების მეოხებით. გოეთემ თქვა: “ვინც მეცნიერებასა და

ხელოვნებას ეუფლება, მას რელიგიაც აქვს; ვინც არ დაუფლება არც ერთს, არც მეორეს, მასაც აქვს რელიგია”. “თუ ადამიანს შეეძლო დარჩენილიყო და უნდა დარჩენილიყო მხოლოდ ადამიანად, მაშინ როგორ გაჩნდნენ ღმერთები და ამ ღმერთების შემომქმედნი” (შილერი).

განასხვავებენ რელიგიის განვითარების შემდეგ საფეხურებს (მაგრამ ისინი აუცილებლად როდი შეესაბამებიან ისტორიულ განვითარებას):

1) ბუნებრივი რელიგია, რომელიც თავის ღმერთებს ბუნების ძალებში პოულობს; 2) კანონის რელიგია, რომელიც მოითხოვს ღმერთის მცნებებისადმი მორჩილებას; მისი ამოსავალია თანამედროვე წარმოდგენა “ღმერთი უფალის” შესახებ. იგი შეიძლება ავიდეს გენოთეიზმამდე. 3) მონაწილების რელიგია, რომელიც წარმოიშვება “ცოდვიანობის” გრძნობიდან. ეს გრძნობა არ ქრება დიადი ზნეობრივი სწრაფვის დროსაც კი, იგი უკავშირდება შეურაცხყოფილი ღმერთის გულმოწყალე სიყვარულისა და წყალობის რწმენას, რომელიც ათავისუფლებს ცოდვისაგან (ქრისტიანობა), ან

(უღმერთოდ) მას წარმოშობს მთელი ყოფიერების “მჭმუნვარების” რწმენა და სწრაფვა — განთავისუფლდეს ამ მჭმუნვარებისაგან (ჯაინიზმი, ბუდიზმი) მჭმუნვარე ყოფისაგან სულის განდგომით; “რელიგია გაცილებით ნაკლებად ბატონობდა ანტიკურ, ქრისტიანულ ადამიანზე, ვიდრე ჩვენზე. ყველაზე მეტად იგი ბატონობს აღმოსავლელი ადამიანის აზროვნებაზე, მოქმედებასა და მისწრაფებაზე. აზია დედამიწის ის ნაწილია, სადაც იქმნება რელიგიები და რომელიც ყველაზე მეტად ითვისებს რელიგიებს” (ლანერი).

რენესანსი (ფრან.) — აღორძინება, სახელდობრ კლასიკურ სიძველეთა აღორძინება, ცხოვრების ახალი შეგრძნების, გრძნობის გაჩენა, რომელიც განიხილებოდა როგორც ანტიკურობის სასიცოცხლო გრძნობის მონათესავე, როგორც ცხოვრებისადმი შუასაუკუნეობრივი დამოკიდებულების, თითქოსდა ცოდვიანი სამყაროსაგან განდევნილობის საპირისპიროდ. XIII ს. იტალიაში რენესანსის სულისკვეთებიდან წარმოიშვა ჰუმანიზმის მიერ მომზადებული

ინტელექტუალური ინდივიდუალიზმი და ინდივიდუალიზმი ხელოვნებაში. შეიქმნა გრანდიოზული ქმნილებანი ხელოვნებაში, ლიტერატურაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებასა და ფილოსოფიაში. XII საუკუნეში რენესანსის იდეები გავრცელდა იტალიაში, XVI საუკუნეში საფრანგეთში, XVI საუკუნის დამლევს კი მან ამოწურა თავისი თავი.

რიტორიკა — ბერძნ. ორატორული ხელოვნება. ძველად ახალგაზრდობის განათლებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურის სხვადასხვა ფორმის განვითარებაზე თავისი გავლენის მეოხებით, რიტორიკა ფუნქციონირებდა როგორც პედაგოგიკის წინამორბედი. რიტორიკა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სიცილიაში წარმოიშვა. არისტოტელე რიტორიკას უდგებოდა ლოგიკური, აგრეთვე პოლიტიკური თვალსაზრისით. რიტორიკას თავისი ადგილი ეჭირა უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმებში და სპეციალური დისციპლინის სახით არსებობდა XIX საუკუნემდე.

რუსო ჟან ჟაკ – ფრანგი-შვეიცარიელი კულტურის კრიტიკოსი და ფილოსოფოსი. დაიბ. 28. VI. 1712 (ჟენევა) – გარდ. 2. VII. 1778 (ერმენვილი, პარიზის ახლოს). იგი ერთ-ერთი იმათაგანი იყო, ვინც რეალურად მოამზადა საფრანგეთის რევოლუცია. რუსო ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კულტურის პროგრესთან ერთად ხდება ზნეობის დაცემა; ყოველივე სიკეთეა, რამდენადაც შემოქმედის ნახელავია, მაგრამ მახინჯდება ადამიანის ხელში. კულტურის კრიტიკა რუსოს მიერ ემყარება ბუნებრივი განვითარების ცენტრალურ აზრს. ამ განვითარების შედეგად წარმოშობილი, ამავე დროს კულტურით განპირობებული უთანასწორობანი ადამიანებს შორის შეადგენს რუსოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. მისი ლოზუნგი იყო “უკან ბუნებისაკენ.” ადამიანი თავისუფალი იბადება, მაგრამ “ყველგან ის ბორკილებშია”. გაბატონებულ უთანასწორობას შეუძლია ადამიანების ნება ერთიან, “საერთო ნებად” გააერთიანოს (უმეტესად უჩუმრად დადებული) საზოგადოებრივი ხელშეკრულების მეოხებით. რუსომ უდიდესი გავლენა მოახდინა

თანამედროვე ევროპის სულიერ ისტორიაზე სახელმწიფო სამართლის, აღზრდისა და კულტურის კრიტიკის თვალსაზრისით. ძირითადი ნაწარმოებებია “ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“, 1762, “საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“, 1762, “აღსარება“, 1781-1788 და სხვა.

რწმენა – რაიმეს მიღება ჭეშმარიტებად, რაც არ საჭიროებს ჭეშმარიტობის აუცილებელ დადასტურებას. გრძნობისა და გონების მხრივ და რასაც, მაშასადამე, ვერ ექნება ობიექტური მნიშვნელობის პრეტენზია. ეთიკური აზრით, რწმენა არის იგივე, რაც ნდობის უნარი, ერთგვარი მორალური ძალა, რომელიც სულიერ სიმტკიცეს გულისხმობს. რწმენა ნდობის საფუძველია.

- ს -

სამართლებრივი სახელმწიფო – სახელმწიფო, სადაც არ გამოსცემენ სამართლის საწინააღმდეგო არავითარ კანონს, სადაც სახელმწიფო ინტერესს, რომელიც მუდამ გვერდს უვლის კანონებს, არავი-

თარი ღირებულება არ გააჩნია. ასეთი სახელმწიფოს ორგანოები და ინსტიტუტები (განსაკუთრებით სასამართლო და პოლიცია) ზუსტად იცავენ არსებულ კანონებს, ისევე როგორც მათ მიერ გარანტირებულ თავისუფლებას; სახელმწიფო, რომელშიც ყოველი სამთავრობო აქტი (ადმინისტრაციული, უზენაესი აქტი) შეიძლება ოპოზიციურმა პარტიებმა, საზოგადოებრივმა საინფორმაციო ორგანოებმა და სხვ. სადავოდ გახადონ და დამოუკიდებელმა სასამართლომ გადასინჯოს.

სანქცია (ლათ. sancire — სიწმინდის, სიმტკიცის მინიჭება) — კურთხევა; კანონების ან ხელშეკრულებების და გარდა ამისა, ყველა იმ სასჯელის მოწონება, დამტკიცება (სანქცირება), რომლებიც დადგენილია ამ კანონების დარღვევისათვის. აკრძალვებისა და სასჯელის გარდა, განასხვავებენ კიდევ პოზიტიურ სანქციებს, რომლებიც მოიაზრებიან როგორც კარგი ქცევის მოთხოვნები და ამიტომ მათ მოსდევს დაჯილდოება და უპირატესობანი.

სარკაზმი (ბერძნ. sarx — ხორცი) — ძვალსა და რბილში შეჭრილი; მწარე დაცინვა, სუსხიანი ირონია.

სასწაული (ლათ. miraculum) — არაჩვეულებრივი ამბავი, რომელიც ვერაფრით ვერ აიხსნება, რომელიც ეწინააღმდეგება მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას და ღვთისმოსავი ადამიანები მიაწერენ ბუნებრივ ძალებს, ღმერთის ჩარევას. კათოლიკური ეკლესიის შეხედულებათა თანახმად, სასწაული არ არღვევს მეტაფიზიკური პრინციპების მთლიანობას და არ აუქმებს ფიზიკურ პრინციპებს, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში მათ მოქმედებას ზღუდავს ღმერთი თავის ყოვლისშემძლეობის მეოხებით. სასწაულის შესაძლებლობა გამომდინარეობს არსებულის კონტინგენტობიდან და მისი არსებობის წმინდა ფიზიკური, მაგრამ სრულიადაც არა მეტაფიზიკური აუცილებლობიდან და ყოფიერების გარკვეულობიდან. სასწაულის მიჩნევა ჭეშმარიტად რწმენის საქმეა და მას ყოველი კრიტიკული აზროვნება უარყოფს.

საყოველთაო მნიშვნელობა – შეხედულების, ცოდნის, პრინციპის აბსოლუტური კანონიერება. იგი შესაძლებელია, რამდენადაც მიაჩნიათ, რომ შემეცნების წესი ყველა ადამიანისათვის ერთნაირია და ადამიანის არსება განისაზღვრება მისი გონით.

სახელმწიფო – ბატონობის სტრუქტურა, რომელიც მუდმივ განახლებას განიცდის ადამიანთა ერთობლივი მოქმედების შედეგად, მოქმედებისა, რომელიც სრულდება წარმომადგენლობის მეოხებით და საბოლოო ანგარიშით აწესრიგებს საზოგადოებრივ მოქმედებას ამა თუ იმ სფეროში. სახელმწიფოს საფუძველია სამართალი. კანტი განასხვავებდა: ანარქიას (კანონი და თავისუფლება ძალადობის გარეშე), დესპოტიზმს (კანონი და ძალადობა თავისუფლების გარეშე), ბარბაროსობას (ძალადობა თავისუფლების და კანონის გარეშე), რესპუბლიკას (ძალადობა თავისუფლებისა და კანონის პირობებში). ანტიკური ფილოსოფოსები (განსაკუთრებით არისტოტელედან დაწყებული) განასხვავებდნენ სახელმწიფოს შემდეგ ფორმებს: მონარქიას, არისტოკრატიასა და

დემოკრატიას, აგრეთვე ფორმებს, რომლებიც წარმოადგენენ გადახრას ზემოაღნიშნული ფორმებიდან და ამის შესაბამისად მოასწავებდნენ დაცემას: შეუზღუდავი მონარქია იქცევა ავტოკრატად (ტირანად), შეუზღუდველი არისტოკრატია – ოლიგარქიად, შეუზღუდველი დემოკრატია – ოხლოკრატად (ბრბოს ბატონობად), ან ანარქიად. თანამედროვე სახელმწიფოს ფორმას, რომელიც თავის თავში აერთიანებს ბიუროკრატიულ, პოლიციურ, დესპოტურ სახელმწიფოებს, წარმოადგენს ტოტალიტარული სახელმწიფო. იგი არის არა მიზნის მიღწევის საშუალება, არამედ თვითმიზანი (ინდივიდი არარაა, სახელმწიფო ყველაფერია). ეს სახელმწიფო, რომლის თეორიული საფუძველია სახელმწიფოს გაღმერთება, ჰეგელის ფილოსოფიაში, ხორციელდება ბოლშევიზმში, ფაშიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმში. იგი პრეტენზიას აცხადებს და ხელთ იგდებს (პროპაგანდისა და ტერორის მეშვეობით) სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების ხელმძღვანელობას პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, სამართალწარმოების და რელიგიის სფე-



როებში; იგი წყვეტს რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, რა არის ჭეშმარიტება და რა არის სიცრუე, რა არის ღირებული და რა არა. ფილოსოფოსები ყოველთვის იკვლევდნენ სახელმწიფოს ცნებას, არსებას, წარმოშობას და საზრისს, მაგრამ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ამ საკითხს უთმობდნენ სოკრატე, არისტოტელე, პლატონი, მაკიაველი, ჰობსი, კანტი, ფიხტე, ჰეგელი, ნიცშე და სხვები. მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდა რუსოს სახელმწიფოს თეორია (საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია). ამ თეორიის თანახმად, თავდაპირველად შეუზღუდველი თავისუფლების (ანარქიის) პირობებში მცხოვრებმა ადამიანებმა (უჩუმრად) დადეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ვალდებულება იკისრეს საერთო ნების შემწეობით უზრუნველყოთ პირადი ცხოვრებისა და საკუთრების შეუვალი უფლება; ამრიგად, გაჩნდა სახელმწიფო (როგორც სამართლებრივი სახელმწიფო); საყოველთაო ნება რუსოსათვის არ არის ყველას ნების იდენტური, უფრო ეს არის უკიდურეს ნების გამოვლინებათაგან ერთნაირად

დაშორებული საყოველთაო ინტერესი, თუმცა კი რუსოსათვის ნათელი იყო, რომ ისტორიაში არსებული სახელმწიფოები წარმოიშვა არა ხელშეკრულებათა შედეგად, არამედ ძალმომრეობის მეშვეობით. ქრისტიანულ-ბუნებრივი სამართლებრივი თვალსაზრისით სახელმწიფო არის ხალხისათვის დამახასიათებელი ერთობის ფორმა, იგი სუვერენულია, მისი მიზანია თავისი წევრების მიწიერი კეთილდღეობა. კანონიერი ძალაუფლება, სახელმწიფოს ტიპის მიუხედავად, ღმერთისაგან მოდის. სახელმწიფოს ჩარევა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მართლზომიერია იქ, სადაც ამას მოითხოვს საერთო სიკეთე.

სახელმწიფო ინტერესი – მაკიაველის და რიშელიეს შემოღებული ტერმინი სახელმწიფოს იმ პრეტენზიების გამოსახატავად, რომ მას უფლება აქვს ყურადღება არ მიაქციოს იმ კანონებს, რომლებსაც იგი უნდა იცავდეს, თუ ამას მოითხოვს უმაღლესი სახელმწიფო ინტერესები. ეს იდეა არსებობდა სახელმწიფო მართვის თეორიასა და პრაქტიკაში XIX საუკუნის შუა ხანებამდე. ამ ცნებას იყენებდნენ

სახელმწიფოს “რეალური პოლიტიკის” დასაცავად ყოველგვარი ფილოსოფიურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეთიკური უტოპიებისაგან. ყველაზე სრულად და თანამიმდევრულად ეს ხორციელდება ტოტალიტარულ სახელმწიფოებში. სახელმწიფო ინტერესების იდეა შეუთავსებელია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან.

სენეკა ლუციუს ენეუსი – რომელი ფილოსოფოსი, დაიბ. დაახ. 4 წელს ჩვ. ერამდე (კორდოვა, ესპანეთი) – გარდ. 65 წელს ჩვ. წ. აღ-ით (რომი). ნერონის აღმზრდელი, რომელსაც შემდგომ ნერონმა სიკვდილი მიუსაჯა. სტოიციზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. ჰქონდა ფართო ცოდნა, ბუნებასა და ადამიანში ღრმად ჩაწვდომის უნარი. სენეკას თანახმად, ფილოსოფია ცხოვრების ზნეობრივ-რელიგიური სახელმძღვანელოა. სენეკა ითვალისწინებს ადამიანის ზნეობრივ სისუსტეებს და მოითხოვს ზნეობრივ სიმკაცრეს საკუთარი თავისადმი და მოყვასისადმი გონივრული თანაგრძნობისაგან თავისუფალ მდგომარეობას. უმაღლესი სათნოება

საკუთარი თავისადმი ერთგულებაა. სენეკას პიროვნება და მისი ნაწარმოებები ხელს უწყობდნენ, რომ სტოიციზმის გავლენა რომის საზოგადოებასა და ლიტერატურულ ცხოვრებაზე, კანონმდებლობაზე იურიდიულ ვალდებულებასა და სახელმწიფო მმართველობაზე, აგრეთვე ქრისტიანობაზე მეტისმეტად ძლიერი და ხანგრძლივი იყო. სენეკასათვის ნიმუში იყო პოსიდონიუსი.

სენ-სიმონი კლოდ ანრი, გრაფი – ფრანგი ფილოსოფოსი, დაიბ. 17. X. 1760 (პარიზი) – გარდ. 19. V. 1825 (იქვე). დალამბერის მოწაფე. სოციალურ პრობლემად, ე. ი. საზოგადოების ნამდვილ ამოცანად სენ-სიმონმა წამოაყენა მუშათა როგორც სოციალური საკითხის, ე. ი. როგორც საზოგადოების ჭეშმარიტი ამოცანის გადაწყვეტა. ამ საკითხის გადაწყვეტას იგი ცდილობდა სახელმწიფო სოციალიზმისა და რელიგიური რეფორმის გზით, ძმური სიყვარულის მეშვეობით, რომელიც ქმნიდა ახალ ქრისტიანობას მღვდლებისა და დოგმების გარეშე. სენ-სიმონიზმი იყო

რელიგიური სოციალიზმი XIX ს. საფრანგეთში.

სენსაცია – ინგლისურ ფილოსოფიაში (მაგალითად ლოკთან), ხშირად ნიშნავს გრძნობად აღქმას, შთაბეჭდილების საპირისპირო რეფლექსია. საზოგადოების ცხოვრებაში სენსაციით აღნიშნავენ უეცრად მომხდარ ამბავს, რომელიც ყურადღებას იქცევს, ყოველთვის იმიტომ კი არა, რომ ის მართლა ფაქტობრივად მნიშვნელოვანია და შთაბეჭდავი, არამედ ხშირად იმიტომ, რომ უმთავრესად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოჩვენებით მნიშვნელობას ანიჭებს მას.

სიკეთე და ბოროტება. სიკეთე – ეს არის ძირითადი მორალური ღირებულება, ზნეობრივი ღირებულება თავისთავად. სიკეთე არ არის არც “კეთილი რაიმეს მიმართ” (უტილიტარიზმის შეცდომა), არც კეთილ ვინმეს მიმართ“ (ევდემონიზმის შეცდომა); იგი არ არის უმაღლესი სათნოება, რაღაც შედარებითი, არამედ მხოლოდ პოზიტიურობა, პიროვნება არ არის არც კეთილი, არც ბოროტი, მისი

ეთიკური არსია უფრო ის, რომ ერთნაირად ჰქონდეს სიკეთისა და სიბოროტის უნარი. ეთიკურად ღირებული (“კეთილი“) არის იმის ქცევა, ვინც კეთილს ბოროტებას ამჯობინებს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. “სიკეთე არ წარმოადგენს არც ღირებულებათა, არც მათი ცნებების იდეალურ ყოფიერებას ან მათ განსახიერებას, არც მხოლოდ ღირებულის რეალურ არსებობას, არამედ ასეთია მხოლოდ და მხოლოდ ღირებულებათა ტელეოლოგია (სიბოროტეა ანტიღირებულებათა ტელეოლოგია რეალურ სამყაროში“). (ნ. ჰარტმანი, ეთიკა, 1935). ტელეოლოგია თავისთავად (ე. ი. მიზნის დასახვა და რეალიზაცია, განხორციელება იმისა, რაც არ არის რეალურად არსებული, მაგალითად ღირებულებანი) უკვე წარმოადგენს ღირებულს; უფრო მაღალი აზრით ღირებულია ღირებულებათა ტელეოლოგია (ე. ი. სიკეთის დაფუძნება ღირებულებებზე, რომლებიც თავისთავად ეთიკურად ინდიფრენტულია). კეთილი ან ბოროტი არის მხოლოდ ადამიანი, როგორც მიზანმიმართულად მოქმედი არსება, რომლის განკარგულებ-

ბაშიცაა ტელეოლოგია, ე. ი. ადამიანი მის მიმართებაში ღირებულებებთან.

სიკვდილი – ბუნებრივი დასასრული სიცოცხლისა, ბუნების ცოცხალი ორგანიზმისა, რომლის სხეული ამის შემდეგ განიცდის მხოლოდ არაორგანული კანონების მოქმედებას. მას აქეთ, რაც ადამიანები სიკვდილს აღარ აღიქვამენ, როგორც მხოლოდ საშინელ ფაქტს და ჩაუფიქრდნენ თვით სიცოცხლის არსების პრობლემას, ისინი დიდ დროს უთმობენ იმას, რომ პასუხი გასცენ კითხვაზე, გამოძინარეობს თუ არა სიკვდილი თვით ამ არსებიდან. ბევრს (პლატონს და სხვ., აგრეთვე ქრისტიანობას) სიცოცხლე მიაჩნია სულის დროებით ყოფნად “საკანში” – სხეულში. ასეთი შეხედულების თანახმად, სიკვდილი სულის გასვლაა სხეულიდან უკვდავებაში. სტოელები და ეპიკურე ისწრაფოდნენ ეჩვენებინათ სიკვდილის წინაშე შიშის უაზრობა. “სიკვდილი ჩვენთვის არარაა, ვინაიდან ვიდრე ცოცხლები ვართ, იგი არ არის, ხოლო როცა ის მოვა, ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით” (ეპიკურე).

სიკვდილი მხოლოდ იმ ორგანიზმების დამახასიათებელია, რომლებიც მარტოდენ სქესობრივი გზით მრავლდებიან, ე. ი. მაღალგანვითარებული ცოცხალი არსებებისა, მაშასადამე, მიწიერი ისტორიის თვალსაზრისით სიკვდილი, არც ისე დიდი ხანია არსებობს. ჩანასახოვანი პლაზმა პოტენციალურად უკვდავია; მემკვიდრეობითობის მეოხებით იგი თაობიდან თაობაზე გადადის. გამრავლება, განხილული გვარის არსებობის თვალსაზრისით, არის სიკვდილის უარყოფა. თეოლოგიას სიკვდილი მიაჩნია სასჯელად ცოდვებისათვის. ღვთის წყალობა აღდგომას გვპირდება. ყველა ცდა – საიმედო საფუძველი შეუქმნან ადამიანის უკვდავების რწმენას – თავი მარცხისათვის აქვს განწირული და “მიზნად ისახავს “მეს” თავიდან ააცილოს სიკვდილის გარდუვალი საფრთხე, ანუ მომთხოვნი ღვთის ნება იმით, რომ “მეს” აცხადებს მიუდგომელ ზონად, რომელშიც ეს ნება არის ღმერთი” (ტილიკე).

ჰაიდუგერის ეკზისტენციალიზმში ადამიანის არსებობა გვეკლინება როგორც სიკვდილისაკენ მიმავალი ყოფიერება, ე. ი. არსებითად ეს



არის შიში. ადამიანის არსებობა შიშს განიცდის – არარას, მისი არსებობის შესაძლებელი შეუძლებლობის წინაშე. სიკვდილი ყოფიერების შესაძლებლობაა, რომელმაც შეიძლება მოიცვას თვით ადამიანის არსებობაც კი (ასე მიაჩნია რილკესაც). ამიტომ პირადი არსებობა სიკვდილის პრელუდიაა. მხოლოდ სიკვდილის მეოხებით გარდაიქმნება ადამიანის არსებობა ფაქტიურ მთლიანობად. სარტრი უარყოფს ასეთ თვალსაზრისს და “რომანტიკულ-იდუალისტურს” უწოდებს მას. “ჩვენ ყველა შანსი გვაქვს მოვკვდეთ უფრო ადრე, ვიდრე შევასრულებთ ჩვენს ამოცანას, წინააღმდეგ შემთხვევაში – ამოვწუროთ ისიც და საკუთარი თავიც. სიკვდილი წარმოადგენს არა ჩემს შესაძლებლობას – არ განვახორციელო შემდგომაც ჩემი ყოფნა სამყაროში, არამედ ნებისმიერ შესაძლებელ გაქრობას, ჩემ შესაძლებლობათა გადაქცევას არარად... უაზროა ის, რომ ჩვენ ვიბადებით, და უაზროა ის რომ ჩვენ ვკვდებით“. (ყოფნა და არარა, 1943). თანამედროვე მედიცინის ახალმა შესაძლებლობებმა გადაავადონ სიკვდილი (გადაწყვეტილებები ორგანოების

ამოკვეთისა და გადასანერგად) გავლენა მოახდინეს სიკვდილისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე.

სინდიკალიზმი (ბერძნ. sundikos – რწმუნებული) – პრუდონიდან მომდინარე სოციალურ-რევოლუციური მიმართულება, რომლის წარმომადგენელი მოგვიანებით ყველაზე გარკვეული ფორმით იყო სორელი. სინდიკალიზმი ამოცანად ისახავს მუშების მიერ წარმოების საშუალებათა განსაზოგადობას უშუალო (არაძალდატანებითი) აქციებით. ესენია: საყოველთაო გაფიცვა, ბოიკოტი, საბოტაჟი და მათ გადაცემას მწარმოებელი ამხანაგობისათვის (სინდიკატებისათვის). კაპიტალისტური სისტემა უნდა მოისპოს არა სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებათ, არამედ ქვემოდან შესყიდვის მეშვეობით. ამასთან იდეოლოგიის ფანატიზმი არ იძლეოდა საშუალებას შექმნილიყო ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ უნდა მიეყვანა ახალთაოსნობას მიზნამდე. სინდიკალიზმის განხორციელების ცდები იყო საფრანგეთსა და ესპანეთში. მოგვიანებით სოციალიზმს ჩამოსცილდა თვით სორელიც.

სინდისი — ადამიანის სულის უნარი — შეიმეცნოს ეთიკური ღირებულებანი მათს რეალობასა და მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებთან ერთად; წესი, რომლითაც ღირებულების გრძობა მნიშვნელოვნებას იძენს ადამიანისათვის, უფრო ვიწრო აზრით — ზნეობრივი ცნობიერება, იმის გრძობა ან ცოდნა, თუ რა არის კარგი და რა — ცუდი, სამართლიანი ან უსამართლო; ზნეობრივ ღირებულებებთან საკუთარი ქცევის შესაბამისობის ან შეუსაბამობის სუბიექტური შეგნება. სინდისი როგორც დასამაბიერი ზნეობრივი სტიმული თანდაყოლილია; მაგრამ გარეგანი გავლენის მეოხებით შეიძლება განვითარდეს ან ჩაკვდეს. ქრისტიანული ეთიკის მიხედვით, სინდისი “სარკმელია, რომლიდანაც ჩვენში შემოდის ღვთის ნება” (ვიუნში). კანტისათვის “სინდისის ავტორიტარული მსაჯულია იდეალური პიროვნება, რომელსაც თვით ქმნის გონება”.

ჰაიდეგერის ფუნდამენტალურ ონტოლოგიაში სინდისი არის ზრუნვის მოწოდება. იგი უხმობს ადამიანს და აბრუნებს მას უპიროვნების დაკარგულობიდან

არარას საფუძველზე თავისუფლებასთან. ეს მოწოდება შესაძლებელს ხდის საკუთარ თვითდადგენას. “სურვილი — გქონდეს სინდისი, აყალიბებს არსებობის ნამდვილი ყოფიერების შესაძლებლობას” (ბრეხტი). “ეკზისტენციალური ფილოსოფიის შესავალი“, 1948 წ. “მომწიფებული კულტურული ადამიანისათვის არსებობს არა მარტო ზნეობრივი, არამედ ლოგიკური და ესთეტიკური სინდისი, მან უწყის ვალდებულებანი როგორც თავისი ნებისა და ქცევისათვის, ისე თავისი აზროვნებისა და გრძობისათვის, და ამავე დროს იცის, გრძობს გულის ტკივილითა და სირცხვილით, მისი ცხოვრების ბუნებრივ-აუცილებელი სვლა რა ხშირად არღვევს ამ მოვალეობებს” (ვინდელბანდი). ფროიდისათვის, პირიქით, სინდისი არსებობს იმ დროიდან, როცა “ზემე” წარმოიქმნება.

სინთეზი (ბერძნ. synthesis — შეერთება, შეხამება) — სხვადასხვა მოვლენის, ნივთის, თვისების, წინააღმდეგობის ან წინააღმდეგობრივი სიმრავლის შეერთება ერთიანობად, რომელშიც წინააღმდეგობრიობა და დაპირისპირებულობა წაშლილი და

მოხსნილია. საპირისპირო ცნებაა ანალიზი. სინთეზის შედეგია სრულიად ახალი წარმონაქმნი, რომლის თვისება არის არა მარტო კომპონენტების თვისებათა გარეგნული ჯამი, არამედ აგრეთვე მათი ურთიერთგამსჭვალვის და ურთიერთგავლენის შედეგი.

სირცხვილი (ბერძნ. systema) – ზოგადი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სირცხვილი ეწოდება მხოლოდ ადამიანებისათვის დამახასიათებელ გრძნობით რეაქციას, გაწითლება, გულისცემა და სხვა. უმეტესად ვეგეტაციური დარღვევების თანხლებით, რაც პიროვნულ ინტიმურ სფეროში ყოველგვარი ჩარევის არიდებას ემსახურება. “სირცხვილის გრძნობაში ვალიარებ, რომ ვარ ისეთი, როგორც სხვები მხედავენ” – სარტრი. ჰეგელის აზრით სირცხვილი იყო ის აქტი, რომელითაც ადამიანი ცხოველთა სამყაროს გამოეყო.

სისტემა – გარკვეული მრავალფეროვნების გაერთიანება ერთიან და მკაფიოდ დანაწევრებულ მთელად, რომლის ელემენტებს მთელისა და სხვა ნაწილების მიმართ მათი შესაბამისი ადგილები

უკავიათ. ფილოსოფიური სისტემა პრინციპული და ფუძემდებლური ცოდნის შეერთებაა გარკვეულ ორგანულ მთლიანობად, დოქტრინად. პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური ურთიერთობანი ხელისუფლების ხასიათითა და შინაარსით განისაზღვრება. მეცნიერულ მუშაობაში სისტემა არის წესრიგის (მოწესრიგების) ნაცადი პრინციპი.

სიცოცხლე – უძველესი დროიდან ადამიანები თვალსაჩინოდ, გრძნობადად წვდებოდნენ სიცოცხლეს, მასში უწინარეს ყოვლისა ხედავდნენ იმას, რითაც ორგანიზმების სამყარო (ე. ი. მცენარეულობა, ცხოველები, ადამიანები) განსხვავდება დანარჩენი სინამდვილისაგან. ასეთია ამ სიტყვის მთავარი აზრი, რისგანაც ვითარდება მისი მთელი რიგი მნიშვნელობანი, რომლებიც ხშირად ერთმანეთს რიცხავენ.

სიცოცხლე – მეტაფიზიკური აზრით, არის მსოფლმხედველობრივი აზროვნების, როგორც ადამიანის განცდის შინაარსის ძირითადი მოტივაცია, ცხოვრებისეული ბედისწერა საერთოდ. აქ

დგება სიცოცხლის საზრისის ღირებულებებისა და მიზნის საკითხები და მასზე პასუხს იძლევიან ძირითადი არსებული მსოფლმხედველობრივი წანამძღვრების საფუძველზე. სიცოცხლის ჭვრეტა; სიცოცხლის ფილოსოფია.

სიცოცხლე – ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით “სულიერის ანუ სულის ცხოვრების” აზრით, ნიშნავს მთელი მსოფლიო ისტორიის მანძილზე იდეების არსებობას და მოქმედებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიცოცხლის საბუნებისმეტყველო ცნებებს, სოციალურ-ისტორიულ მოვლენებს, კერძოდ სახელმწიფოს ასახსნელად.

ბიოგრაფიული თვალსაზრისით “ერთი ადამიანის სიცოცხლე” არის მთელი მისი სხეულებრივ-სულიერ-გონითი ქმნალობა, ქცევა და ბედისწერა სამყაროში, დაბადებიდან სიკვდილამდე, ამასთან ემატება საკითხები საზრისის შესახებ, რეფლექსიები პიროვნულ ყოფიერებაზე, სიკვდილზე და სხვა.

სლავიანოფილობა – იდეური მოძრაობა რუსეთში. წარმოიშვა 30-იან წლებში და მეთაურობდნენ

კირეევსკი, ძმები კონსტანტინე (1817-1860) და ივანე (1823-1886), აქსაკოვები და ალექსი ხომიაკოვი (1804-1880). ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიისა და სლავი ხალხებისადმი ჰერდერის ინტერესის საფუძველზე ისინი ცდილობდნენ განესაზღვრათ სლავური მსოფლგაგებისა და ცხოვრების ყაიდის მისია, დანიშნულება, მაგრამ მალე დაიკავეს შეუწყნარებელი პოზიცია დასავლეთევროპული აზროვნების წესის (“მედასავლეთელობის”) და არაორთოდოქსული ქრისტიანობის მიმართ.

სმითი ადამ – ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი. დაიბ. 5. VI. 1723 (კოერკოლდი, შოტლანდია) – გარდ. 17. VII. 1790 (ედინბურგი). თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის შემქმნელი, 1751 წლიდან პროფესორი გლაზგოში. ემხრობოდა იუმს და ზნეობრივ შეფასებათა წყაროდ სიმპათია მიაჩნდა: “მოიქეცი ისე, რომ სიმპათიურად გეკიდებოდეს დაინტერესებული ადამიანი”. იგი იბრძოდა როგორც ასკეტური, რელიგიური მორალის წინააღმდეგ ისე ეგოიზმის მორალის წინა-

აღმდეგ, და ახლოს იყო კანტიანურ პრინციპებთან.

ეკონომიკური ცხოვრება გამოკყავდა ინდივიდის პირადი ინტერესების საფუძველზე. სრულყოფილი სამეურნეო ცხოვრების ძირითად პირობას სმითი ხელავდა რეგლამენტირებულ თავისუფლებასა და თავისუფალ კონკურენციაში. აქ იგი გვევლინება თანამედროვე თავისუფალი ეკონომიკის იდეოლოგიურ წინამორბედად.

სოლიდარობა (ახალ. ლათ.) – ურთიერთკუთვნილების გრძნობა და მისი პრაქტიკული განხორციელება; ერთმანეთის მტკიცე მხარდაჭერა საერთო ამოცანებსა და მოთხოვნების განხორციელების დროს.

სოლოვიოვი ვლადიმერ – რუსი ფილოსოფოსი და პოეტი. დაიბ. 16. I. 1853 (მოსკოვი), გარდ. – 31. VII 1900 (ს. უზკოე) მოსკოვთან ახლოს. მისი ყოვლადერთობის ფილოსოფია დასავლეთევროპული და აღმოსავლური რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების სინთეზია. ყველაზე დიდი გავლენა ამ ფილოსოფიის ფორმირებაზე მოახდინეს პლატონის, პლოტინის,

ეკლესიის მამების: ორიგენეს და ავგუსტინეს მეთაურობით – ფილოსოფიამ და გერმანულმა მისტიკამ (ბოემე); სოლოვიოვი შედარებით ნაკლებად განიცდიდა გერმანული იდეალიზმის გავლენას. ძირითადი ნაწარმოებებია: “კითხვა ღმერთადამიანობის შესახებ“, 1877; “განყენებულ საწყისთა კრიტიკა“, 1880; “თეოკრატიის ისტორია და მომავალი“, 1887; “რუსეთი და საეკლესიო კრება“, 1889 და სხვა.

სოკრატე – (469-399 წწ. ჩვენს ერამდე, მიესაჯა სიკვდილი საწამლავის მიღებით). ანტიკურობის ყველაზე განთქმული ფილოსოფოსი (არისტოტელესა და პლატონთან ერთად), რომლის შესახებ დავა დღემდე გრძელდება. ზოგს იგი მიაჩნია პირველ დიდ მორალისტად, ზოგს კი (მაგ. ნიცშესა და ჰეგელსაც) ეთიკის კანონების განმანადგურებლად. სოკრატესთან ბერძნების კოსმოლოგიურ ნატურფილოსოფიას ცვლის ანთროპოლოგიური ეთიკა, მაგრამ ამავე დროს უარყოფს სოფისტების რელატივიზმს. მისი ფილოსოფია იმას ემყარება, რომ ზნეობრივი შეიძლება შევიცნოთ, შევითვისოთ, ხოლო ზნეობრიობის

ცოდნას ყოველთვის მოსდევს მისი შესაბამისი მოქმედება. ამ აზრით სოკრატე ცდილობდა ყოველი ცალკეული შემთხვევის მაგალითით ადამიანისათვის შეექმნა გარკვეული ცნება ჭეშმარიტად ზნეობრივის შესახებ, მაგრამ ასეთია ის მოქმედება, რომელიც გვაძლევს ჭეშმარიტ სარგებლობას და ამასთან ერთად გვანიჭებს ჭეშმარიტ ნეტარებას. ამიტომ პრაქტიკული შემგუებლობის წანამძღვარია თვითშემეცნება. თუ ვიცო, რა ვარ, მაშინ სოკრატეს თანახმად, ისიც ვიცო, რა უნდა ვიყო, მაგრამ თავის თავში სოკრატე პოულობს აგრეთვე რაღაც შინაგან ხმას, რაღაც დემონს, რომელიც მას კარნახობს, თუ რა უნდა იყოს იგი და რას არიდებდეს თავს. ყველაზე დიდი სათნოება ზომიერებაა: რაც უფრო ნაკლებით კმაყოფილდები, მით უფრო ახლოს ხარ ღმერთთან, მაგრამ მხოლოდ იმას, ვინც შეისწავლა საკუთარი თავის მართვა და უკლებლივ ყველა შემთხვევაში სწორი გაგების საფუძველზე მოქმედებს, შეუძლია უბრძანოს სხვებსა და იყოს სახელმწიფოს მეთაური. არასოდეს არ ვანდობდი, ამბობდა სოკრატე,

ჩემს ცხოვრებას იმ მესაჭეს ან ექიმს, რომელსაც არ შეუსწავლია თავისი ხელოვნება, მაგრამ ადამიანთა უმნიშვნელოვანეს საქმეებში – პოლიტიკასა და სახელმწიფო საქმეებში – რატომღაც ყველას მიაჩნია, რომ უფლება აქვს იმსჯელოს და მონაწილეობდეს მათში. ბოლოს და ბოლოს სოკრატეს, რომელსაც ბრალად დასდეს სახელმწიფო ღმერთების ურწმუნეობა, ახალი ღვთაების თაყვანისცემა და ახალგაზრდობის გარყვნა, მიუსაჯეს სიკვდილი და დასაჯეს, ვინაიდან კანონის პატივისცემის გამო მან არ ისურვა გაქცევა, სასჯელი სისრულეში მოიყვანეს.

სოკრატეს არ დაუტოვებია თავისი თხზულებანი. სოკრატეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ჩვენი ცოდნის უმნიშვნელოვანესი წყაროებია მისი მოწაფეების პლატონისა და ქსენოფონტეს თხზულებანი.

სოკრატეს მეთოდი – სოკრატეს მიერ შემოღებული სწავლების წესი კითხვა-პასუხის ფორმით.

სოციალიზმი – ტერმინი, რომელიც პირველად გამოიყენეს 30-იან

წლებში საფრანგეთში ისეთი სოციალური წყობის იდეალისა და სინამდვილის აღსანიშნავად, სადაც ერთობის სიკეთეა განმსაზღვრელი და არა ცალკეული ადამიანების, კლასების, პარტიების, სამეურნეო ჯგუფების, ფენების “ინტერესები”. მარქსიზმის გავლენით და მისგან აღმოცენებული მისი მონათესავე პოლიტიკურ მსოფლმხედველობრივ მიმართულებათა გავლენით სოციალიზმის ცნებამ შეიძინა შინაარსი, რომელიც მტრულია ცნებისა “ინდივიდუალურ-კაპიტალისტური, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი და სამეურნეო წყობა”. იმ პოლიტიკური იდეოლოგიების უმრავლესობის რევოლუციურ მისწრაფებათა საპირისპიროდ, რომლებიც სოციალიზმს წარმოადგენენ, ქრისტიანული სოციალიზმი ცდილობს აღადგინოს ამ ცნების თავდაპირველი მნიშვნელობა და შეუგუოს იგი ადამიანთა ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ ცხოვრებას, რომლისთვისაც უცხოა სიძულვილი, შური და ავმეხსიერება.

სოციოლოგია (ლათ. Socius – ამხანაგი და ბერძნ. logos – მოძღვრება) – მოძღვრება ადამიანთა,

აგრეთვე ცხოველთა და მცენარეთა ერთობლივი ცხოვრების ფორმებისა და ცვლილებების შესახებ. იგი არის მოძღვრება სოციალურის შესახებ, იქნება ეს საყოველთაო, ფუძემდებლური სოციალური მეცნიერება თუ კერძო მეცნიერება. როგორც სისტემა იგი მოიცავს სოციალურ წარმონაქმნებს და სოციალურ პროცესებს. ამრიგად, იგი იკვლევს ისეთი საზოგადოებრივი მოვლენების მთელ ერთობლიობას, როგორცაა ხალხი, წოდება, ტომი, მამაკაცთა კავშირები; გვარი, ოჯახი, ქორწინება, საზოგადოებრივი წარმონაქმნების სხვადასხვა სახეობა, მათი მიზეზები, ფორმები, განვითარება, მათი წარმოქმნა და მოსპობა...

სოციოლოგიური აზროვნება სათავეს იღებს ბუნებრივი სამართლიდან, რომელიც თავდაპირველად მოძღვრებაა სახელმწიფოს შესახებ, მაგრამ უკვე სქოლასტიკაში ვრცელდება მთელ საზოგადოებრივ სინამდვილეზე, ხოლო XVII საუკუნეში სულ უფრო მჭიდროდ ერთიანდება მორალის ფილოსოფიასთან; ადამიანები თავიანთ ცხოვრებაზე ფიქრობენ იმ დროიდან, რაც ისინი

საერთოდ აზროვნებენ (შეად. ძველბერძნული კლასიკური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, სოციალური ეთიკის სიბრძნე), ისე, რომ “სოციალურ-მეცნიერული აზროვნების მთელი ისტორია მიმდინარეობს სინამდვილეში აზროვნების მთელი ისტორიის მანძილზე“ (ფრაიერი). მაგრამ სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების დასაწყისი მიეკუთვნება XIX საუკუნეს, ხოლო მისი შემქმნელია კონტი, რომლის ექვსტომიანი “პოზიტიური ფილოსოფიის კურსის” უკანასკნელ სამ ტომში გადმოცემულია სოციოლოგია. კონტმა შემოიღო ხმარებაში აგრეთვე თვით სიტყვა “სოციოლოგია”. მან განავითარა სოციოლოგია როგორც საბუნებისმეტყველო დისციპლინა თავისი ემპირიული ფილოსოფიის საფუძველზე, რომელსაც “პოზიტივისტური” უწოდა, ამის შესაბამისად სოციოლოგია არის მეცნიერება ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, რომელიც განხილულია როგორც ინდივიდებს შორის ურთიერთქმედების ერთობლიობა.

კონტის მიმდევრები იყვნენ ინგლისში ჰერბერტ სპენსერი

(“სოციოლოგიური გამოკვლევა”, 1873) და ჯონ სტიუარტ მილი, აგრეთვე ფრანგი, ამერიკელი და იტალიელი სოციოლოგები. გერმანიაში განსაკუთრებით ალბერტ შეფელი (1831-1903) („სოციალური სხეულის აგებულება და ცხოვრება“, 4 ტომად 1878). გერმანულ სოციოლოგიაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჰეგელის სამართლის ფილოსოფიამ და ისტორიის ფილოსოფიამ, რომლებიდანაც კ. მარქსმა განავითარა თავისი ისტორიული მატერიალიზმი.

უახლეს სოციოლოგიაში განასხვავებენ შემდეგ მთავარ მიმართულებებს: მათემატიკური მიმართულება (უწინარეს ყოვლისა პარეტო), სადაც მათემატიკური მეთოდები გამოყენებულია იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახადოს მოპოვებული ცოდნა; ფიზიკური მიმართულება (სოციალური ფიზიკა, სოციალური მექანიკა, სოციალური ენერგეტიკა). თუ უკვე სენ-სიმონი სოციოლოგიის სფეროში მექანიციისტი იყო, XIX საუკუნეში ეს მიმართულება ძლიერ განავითარეს კონტმა, სპენსერმა და ჯ. სტ. მილმა. ოსტვალდის მიერ სოცი-



ალური პროცესების ენერგეტიკულმა ახსნამ გამოიწვია განსაკუთრებული სკოლის შექმნა: სოციალურ-ბიოლოგიური მიმართულება ცოცხალ არსებათა გაერთიანებას განიხილავს მისი ფუნქციონირების თვალსაზრისით, როგორც სოციალურ სხეულს და მოქმედ ორგანოლოგიურ ორგანიზმს; ორგანიზმი, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა, შერჩევა, შემგუებლობა, ბრძოლა არსებობისათვის ძირითადი კატეგორიებია აზროვნების ამ წესისა, რომელიც უახლოვებს ერთმანეთს ბიოლოგიურს და სოციალურს. თუ უკვე პლატონი, არისტოტელე, თომა აქვინელი, მაკიაველი, ალთუზიუსი, ბოდენი და სხვები იყენებდნენ შედარებებს ორგანული სამყაროს სფეროდან, კანტმა და ბევრმა სხვა მოაზროვნემ მათ შემდეგ ორგანიზმის იდეები გადაიტანეს სახელმწიფოზე. რომანტიკოსები, შელინგი და ჰეგელი ჩვეულებრივ მიმართავდნენ ანალოგებს ორგანიზმთან. კანტი, სპენსერი და სხვები სოციალურ-ბიოლოგიური მიმართულებების წარმომადგენლები არიან. სოციალურ-ანთროპოლოგიური მიმართულება იკვლევს პრობლემებს მასებსა და

სოციალურ წარმონაქმნებს შორის, განსაკუთრებით სოციალურ ჯგუფებს შიგნით თვისებათა მემკვიდრეობის პრობლემებს. აქ დიდი გავლენა ჰქონდა გობინოსა და ფ. გალტონს. ანთროპო-გეოგრაფიული, სოციოგენეტიკური და ეთნოლოგიური მიმართულება დასაბამს იღებს ჰიპოკრატედან, და ბერძენი და რომაელი მოაზროვნეების შემდეგ მას ავითარებენ ბოდენი, მონტესკიე, ჰერდერი, ა. ჰუმბოლდტი, ჰეგელი, ბოკლი და სხვები. მასვე მიეკუთვნება ეთნოლოგიურ-ხალხთმცოდნეობის მიმართულება, აგრეთვე ხალხთა ფსიქოლოგიის მიმართულება, რომელიც წარმოდგენილია ა. ჰუმბოლდტის, ლაცარუსის, შტაინტალის, ბასტიანის, ვუნდტის, მორგანის, ტურნვალდის და სხვათა ნაშრომებში. ისტორიულ-ფილოსოფიური, უნივერსალურ-ისტორიული და ისტორიული მიმართულება ადამიანს განიხილავს როგორც ისტორიულ არსებას, ხოლო საზოგადოებრივ ფენომენს – როგორც კულტურულ მოვლენას. აქ ყურადღების ცენტრშია სოციალური პროცესის ისტორიულ გაშლაში და მისი შეფასება ისტორიული განხილვის

ფარგლებში. ამ მიმართულების წარმომადგენლები არიან უწინარეს ყოვლისა კონდორსე, სენსიმონი, კონტი, პაულ ბარტი, ოპენჰაიმერი, აგრეთვე ალფრედ ვებერი, კ. მანჰაიმი, შელერი, ტროელჩი, ე. რიუსტოვი და პ. ფრაიერი. ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მიმართულების ამოსავალია ის, რომ მთელი სოციალური სინამდვილე განპირობებულია ფსიქიკურად და ამიტომ სწორედ შინაგანითა და ფსიქიკურით შეიძლება მისი გაგება. თუ კონტთან და სპენსერთან სოციოლოგია ფსიქოლოგიისკენ იხრება, ხოლო ტარდის მიბაძვის თეორია და ლებონის მასების ფსიქოლოგია სოციოლოგიაში ფრანგული ფსიქოლოგიზმის გავლენის დასაბუთებაა, ამერიკული სოციოლოგია თავისი მთავარი წარმომადგენლების სახით ორიენტაციას იღებს უწინარეს ყოვლისა ფსიქოლოგიაზე; იგივე ითქმის ბიჰევიორიზმზე, სილრმისეულ ფსიქოლოგიაზე, აგრეთვე ისეთ მკვლევრებზე, როგორც არიან მაკდუგალი, ფრინკადეტი, ტენიესი, ზიმელი. უნივერსალისტური მიმართულება ანტისუბიექტივისტურია,

იგი ემყარება სოციალური წესრიგის მთლიანობით განხილვის აუცილებლობას და მიმართულია მთელისაკენ, უნივერსალურისკენ. მისი წინამორბედი თომა აქვინელი, ხოლო მთავარი წარმომადგენელი ო. შპანი – ადამ მოულერის, რომანტიკოსი სოციალ-ფილოსოფოსის მიმდევარი. სოციალურ სინამდვილეს ისინი განიხილავენ პრინციპულად ზევიდან, როგორც დანაწევრებულ გონს: საზოგადოება გონითი სისტემაა. კლასების თეორიები სოციალური დიფერენციაციის პროცესს განიხილავენ ქვემოდან, იმ ფაქტორების დახმარებით, რომლებიც ინდუსტრიალიზაციის საუკუნეში მოქმედებენ ეკონომიკასა და საწარმოო ძალებში, იმ ინტერესების დახმარებით, რომლებსაც ეს ფაქტორები განსაზღვრავენ. საშუალო წოდების თეორიები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სოციალური ძალების (მდიდრები, ღარიბები, შეძლებულნი, უქონელნი) შეჯახება მოსპობით ემუქრება სოციალური კიბის საშუალო ფენებს და რომ მთელი საზოგადოების თვალსაზრისით მთავარია შევინარჩუნოთ საშუალო წოდება, საშუალო ფენა (ვ. პ.



რილი და სხვები). ფორმალური, ანუ წმინდა, სოციოლოგია ესწრაფვის, ყველა აქამდე განხილული მიმართულების საპირისპივროდ, ჰქონდეს მეთოდურად ცალსახად განსაზღვრული ობიექტი და იკვლიოს იგი კონკრეტულ დამოუკიდებელ მეცნიერებაში ძირითადი სოციოლოგიური კატეგორიის "ფორმის" დახმარებით. მთავარი წარმომადგენელია ზიმელი, რომელიც საზოგადოების ფორმისა და შინაარსის განსხვავების საფუძველზე ფორმალურ სოციოლოგიას განიხილავს როგორც ემპირიულ დისციპლინას, როგორც მეცნიერული კვლევის დამოუკიდებელ მეთოდს სოციალური კავშირების ფორმების შესახებ მოძღვრებას, რომელიც ემყარება ცენტრში ურთიერთმოქმედების პრინციპს. ამ მიმართულებასთან ახლოს დგანან შტამლერი, ფირკანდტი და ლ. ფონ ვიზე, ლ. ფონ ვიზეს მოძღვრებაში კავშირების შესახებ ურთიერთქმედების ცნება, რომელიც დამძიმებულია ბუნებათმეცნიერული აზრით, იცვლება "ურთიერთკავშირის" ნეიტრალური ცნებით. ფენომენოლოგიური მიმართულება წარემოიშვა ფილოსოფიიდან და მას

განსაკუთრებით ამუშავებდნენ ჰუსერლი, შელერი, ჰაიდეგერი. მისი ჩანასახია ჰეგელის "გონის ფენომენოლოგია", ხოლო მისი წარმომადგენლები სოციოლოგიაში – პირველ რიგში შელერი, ლიტი და ფირკანდტი. სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება თავისი კვლევის ძირითად საგნად აქცევს მეურნეობას (ეკონომიკას) და საზოგადოებას, რომლებსაც განიხილავს მათს ურთიერთგანპირობებულობაში, ხოლო ეკონომიკურ სამყაროს განიხილავს სოციალურთან ერთიანობაში. ამ მიმართულების დამმუშავებელი არიან მაქს ვებერი, ზომბარტი, ოპენჰაიმერი და სხვა. თავის თხზულებაში გაგებითი "სოციოლოგიის ზომიერი კატეგორიის შესახებ", მაქს ვებერი საფუძველს უყრის ახალ მიმართულებას, რომელთანაც ახლოს დგას აგრეთვე ზომბარტი. კულტურულ-ფილოსოფიური და კულტურულ-სოციოლოგიური მიმართულება ცნებას "კულტურა" (როცა განასხვავებენ მეცნიერებებს ბუნების შესახებ და მეცნიერებებს კულტურის შესახებ – ვინდელბანდი, რიკეტი) განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სოციოლოგიაში ისტორიული სამყაროს სტრუქ-

კტურების შესახებ მოძღვრების ფარგლებში. ცნება “კულტურა” ბეკონმა და ჰობსმა გადაიტანეს ალზრდაზე, ხოლო პუფენდორფმა – საზოგადოებაზე. ვიკომ, რუსომ, მონტესკიემ, ვოლტერმა, ჰამანმა, ჰერდერმა და კანტმა მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი მეცნიერებაში გონით-ისტორიული ცნების – “კულტურის” შეტანას. დილთაიმ, ბურჰარდმა, ნიცშემ, შპრინგერმა, შოპენჰაუერმა, დემპმა, მანჰაიმმა და უწინარეს ყოვლისა ალფრედ ვებერმა კულტურის ფილოსოფია და კულტურის სოციოლოგია შემდეგ აქციეს მეცნიერებად, რომელსაც ვებერი ყოფს სამ სფეროდ – საზოგადოებრივი პროცესი, ცივილიზაციის პროცესი და კულტურის პროცესი. ინდუქციურ-ანალიზურ მიმართულებას საქმე აქვს უწინარეს ყოვლისა ემპირიულ-სტატისტიკური მეთოდის მეოხებით კონკრეტული ცდიდან მიღებულ მასალასთან. ეს მიმართულება განსაკუთრებით განვითარებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი დევიზია პრაქტიკული მუშაობა კონკრეტულ ობიექტებთან ამისათვის წინასწარ მომზადებული კვლევის მეთოდებით

(მაგალითად, ტესტები). მიღწეული შედეგების გრაფიკული გამოსახულება ხორციელდება სოციოგრაფებისა და სოციოგრაფიკული პირობითი გამოსახულებების დახმარებით. ყველაფერი ამის ძირითადი მიზანია პრაქტიკული გამოყენება. სპეციალური სოციოლოგიური დისციპლინებია: კულტურის სოციოლოგია, სამართლის სოციოლოგია, ხელოვნების სოციოლოგია, ლიტერატურის სოციოლოგია, მეურნეობისა და წარმოების სოციოლოგია, ამხანაგობის სოციოლოგია, ფინანსთა სოციოლოგია, პედაგოგიური სოციოლოგია, ცოდნის სოციოლოგია და ა. შ. გამოყენებითი სოციოლოგია ზოგადი სახელწოდებაა ყველა იმ ცდისა, რომ პრაქტიკულად გამოიყენონ სოციოლოგიის შედეგები და შეაფასონ ისინი სოციალურ-რეფორმისტული და სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით. თუმცა სოციოლოგიას შინაარსით მდიდარი წინაისტორია და სისტემატიკა აქვს, ის როგორც ჰუმანიტარული დისციპლინა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ჩანს, რამდენადაც ჯერ არ არსებობს ერთიანობა მის საგანზე და მისი სხვადასხვა მეთოდის

ნაყოფიერებაზე. დასასრულს უნდა დავასახელოთ ფუნქციონალური მიმართულება, რომელსაც საქმე აქვს სოციალური სისტემის წარმოშობისა და შინაგანი სტრუქტურების და გაწონასწორებული მდგომარეობის, აგრეთვე მათი ელემენტების ფუნქციონალური დამოკიდებულებების საკითხებთან. მისი მთავარი წარმომადგენელია ტალკოტ ჰარსონი. (სოციოლოგიური თეორიის გამოყენების წესები, 1949).

სპინოზა ბენედიქტ (რელიგიური სახელი ბარუხი) – ფილოსოფოსი. დაიბ. 21. XI. 1632 (ამსტერდამი) – გარდ. 21. II. 1677 (ჰააგა). მისი წინაპრები პორტუგალიიდან გამოსახლებული ებრაელები იყვნენ. თვით იგი განდევნეს ებრაელთა თემიდან “საშინლად ცრუ მოძღვრებისათვის”. თავისი მთავარი თხზულების “ეთიკის” შექმნისას (1677) სპინოზამ თანამიმდევრულად გამოიყენა დეკარტეს მიერ შექმნილი მეთოდი. მხოლოდ აზროვნების მათემატიკურ მეთოდს მივყავართ ჭეშმარიტებისაკენ. რაც უფრო მეტი იცის ადამიანის გონმა, მით უფრო ადვილად შეიმეცნებს იგი საკუთარ ძალებს და ბუნების

წესრიგს, მით უფრო ადვილად შეუძლია უხელმძღვანელოს თავის-თავს, დაადგინოს თავისთვის წესები და თავი შეიკავოს უსარგებლო საქმეებისაგან. სპინოზა მკაცრი დეტერმინიზმის წარმომადგენელია. ადამიანებს თავიანთი თავი მიაჩნიათ თავისუფლად იმდენად, რამდენადაც არ შეუცვნიათ თავიანთი განპირობებულობა. სიკეთე და ბოროტება იმ კავშირების მახასიათებლებია, რომელთაც ჩვენ ვამყარებთ ნივთებს შორის. არ არსებობს არავითარი ბოროტება.

სუროგატი (ლათ. surrogaze – სხვის ადგილზე დაყენება) – შემცვლელი, ერზაცია; გადატანითი აზრით იხმარება არასრულყოფილი ფსიქიკური თვისებების აღსანიშნავად.

სუნ-ძი – ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჩინელი ფილოსოფოსი (III საუკუნე ჩვ. ერამდე). მუნ-ძის საპირისპიროდ ქადაგებდა, რომ ადამიანი ბუნებით ბოროტია. კეთილი კი შეიძლება იყოს გარედან ზემოქმედების მეოხებით, ისეთი საშუალების ზემოქმედებით, როგორიც არის აღზრდა. შესაძ-

ლებლად მიაჩნია ადამიანის ბუნების შეცვლა საუკუნეების განმავლობაში.

- ტ -

ტალანტი (ბერძნ. talanton – სასწორი, წონა, აწონვა) – ინდივიდის თანდაყოლილი და ვარჯიშით უაღრესად განვითარებული დიდი უნარი, არაჩვეულებრივი ნიჭი რომელიმე დარგში, რაც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს უაღრესად წარმატებით შეასრულოს ესა თუ ის საქმიანობა. ტალანტს ხშირად უპირისპირებენ გენიას. თავისი თავისუფალი შემოქმედებითი ძალით, როგორც უფრო ნაკლებად ღრმა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო სასარგებლოს, რომელიც მოცემულ მომენტში ხშირად უფრო ძლიერ გავლენას ახდენს თავის თანამედროვეებზე, ვიდრე გენიოსი.

ტარდი გაბრიელ – ფრანგი კრიმინალისტი და სოციოლოგი. დაიბ. 12. III. 1843 (სარლა) – გარდ. 19. V. 1904 (პარიზი). იქვე იყო პროფესორად კოლეჯ დე ფრანსში. მისი აზრით სოციალური ცხოვ-

რების ძირითადი ფუნქციაა ინიციატივა (სიახლეები) და მიბაძვა (მოდა, ტრადიციები).

ტანტრიზმი – I ათასწლეულში ბრაჰმანიზმსა და ბუდიზმში წარმოშობილი საიდუმლო მეცნიერება რიტუალის შესახებ, რომელიც გადმოცემულია ტანტრებსა (სანსკრ. – ქსოვილი, ე. ი. ტექსტი) და სხვა წიგნებში, მისი მომხრენი ჭეშმარიტებად რომ აცხადებენ. ტანტრიზმთან მჭიდროდ არის დაკავშირებული შაქტიზმი, რომელიც განსაკუთრებულ როლს ანიჭებს საერო და წმინდა მოვლენებში ქალღმერთ შაქტის სახით წარმოდგენილ “ძალებს”.

ტელეოლოგია (ბერძნ. felos – ბოლო, მიზანი, დასასრული და logos – მოძღვრება) – მოძღვრება მიზნის ან მიზანშეწონილების შესახებ; მოძღვრება იმის შესახებ, რომ არა მარტო ადამიანის მოქმედება, არამედ ისტორიული ამბებიც და ბუნებრივი მოვლენებიც მიმართულია გარკვეული (ტელეოლოგიური) მიზნისაკენ; საგნების განხილვა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. ტელეოლოგია

ანთროპოცენტრულია, თუ ემყარება იმას, რომ ყველაფერი არსებობს ადამიანისათვის; მეტაფიზიკურია, თუ მისი ამოსავალია საბოლოო მიზანი, რომელიც ბატონობს მთელ მსოფლიო პროცესზე; ტრანსცენდენტურია, თუ ემყარება სამყაროს გარეშე მყოფი მიღმური მიზანდამსახავი არსების აღიარებას; იმანენტურია, თუ აღიარებს, რომ მიზანი თვით ნივთებშია. კანტის მიხედვით, ტელეოლოგია მხოლოდ რეგულატიური, ევრისტიკული პრინციპია, ე. ი. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გარე სამყაროს შეცნობის წესისთვის, მაგრამ არაფერს ამბობს თვით ამ სამყაროს შესახებ. ქრისტიანული თეოლოგიური თვალსაზრისით ღმერთი მოვლენების ერთადერთი, უზენაესი და საბოლოო მიზანია. დაახლოებით ასევე განიხილავს ტელეოლოგიას გერმანული იდეალიზმიც.

ტერმინოლოგია (ლათ. terminus – სასაზღვრო ნიშანი და ბერძნ. logos – მოძღვრება) – მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში გამოყენებული სპეციალური ენა, სპეციალური და ხელოვნური ნიშნების ერთობლიობა.

ტენდენცია (ლათ. tendere – მისწრაფება რაიმესკენ) – მისწრაფების ან მოვლენის განვითარების მიმართულება; განზრახვა, მისწრაფება, მიზანი, ტენდენციური – გარკვეული განზრახვით.

ტენი იპოლიტ – ფრანგი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და კრიტიკოსი. დაიბ. 21. IV. 1828 (ვუზიერი) – გარდ. 5. III. 1893 (პარიზი), პროფესორი (1865 წლიდან), პოზიტივისტი, რომელმაც განიცადა კანტის გავლენა; თავის ისტორიის და ხელოვნების ფილოსოფიაში, რასიული კუთვნილებისა და არსებული ისტორიული პირობების გარდა, ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გარემოს როლს (ფსიქიურ, გონითს, კულტურულ, სოციალურ გარემოცვას) ლოგიკასა და შემეცნებით თეორიაში იხრებოდა ნომინალიზმისაკენ.

ტიპიური (ბერძ.) – ის, რაც შეეხება პირველსახეს, პროტო-ვტიპს, რომელიც წარმოადგენს ნივთიერებას, წარმოდგენების ან მოქალაქეთა გარკვეულ კლასს, საპირისპირო – ატიპური, არა-ტიპიური.

ტოლერანტობა (ლათ.) – შემწყნარებლობა, უცხო სხვაგვარი შეხედულებების, ზნეობის, წესჩვეულებებისადმი. ტოლერანტობა აუცილებელია სხვადასხვა ხალხის, რელიგიის თავისებურებათა მიმართ. იგი არის თავის თავში რწმენისა და საკუთარი პოზიციების საიმედოების ნიშანი, იმის ნიშანი, რომ ღიაა ყველა იდეური მიმდინარეობისათვის, რომელსაც არ ეშინია სხვა თვალსაზრისებთან შედარებისა და არ ერიდება გონით კონკურენციას.

ტონიესი ფერდინანდ – სოციოლოგი; დაიბ. 26. VII. 1855 (შლეზვიგი) – გარდ. 9. IV. 1936 (ბერლინი). აქვე იყო პროფესორად 1891-1923 წწ. თავის ნაწარმოებში “ერთობა და საზოგადოება” (1887) განასხვავებდა ისეთ ძირითად სოციოლოგიურ ელემენტებს, როგორიცაა თემი და საზოგადოება. პირველი წარმოადგენს ოჯახსა და ხალხში ერთობლივი ცხოვრების ხანგრძლივ და ნამდვილ ფორმას. განვითარების პროცესში იგი ნაწილობრივ იღვენება საზოგადოების მიერ, რომელიც მექანიკური მიზანშეწონილი კონსტრუქციაა და გამოხატულებას პოულობს დიდ

ქალაქებსა და სახელმწიფოში: აქ ბატონობენ ეგოიზმი, გამიჯვნა, კონტრასტები, მოხვეჭის სურვილი, ექსპლუატაცია და ა. შ. საზოგადოების გადაგვარება ხდება ერთობაში ცხოვრების სხვადასხვა ფორმის გაქრობის კვალობაზე. ძირითადი ნაწარმოებებია “თომას ჰობსი”, 1925; “საზოგადოებრივი აზრის კრიტიკა”, 1922; “სოციოლოგიური შტუდიები და კრიტიკები”, 3 ტომი, 1925-1929 წწ.

ტოტალიტარიზმი (ლათ. totalitas – ერთიანობა, მთლიანობა, სისრულე) – ცნება, რომელიც აღნიშნავს XX საუკუნის მთელ რიგ სოციალურ რეჟიმებს, სადაც ეკონომიკას, კულტურას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას მთლიანად გამსჭვალავს სახელმწიფო იდეოლოგია. პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი ტოტალიტარიზმი 20-იან წლებში შემოიტანა ბენიტო მუსოლინიმ იმ მოძრაობისა და რეჟიმის მახასიათებლად, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. ამასთან მან გამოიყენა ჯენტილეს იდეები, რომლებსაც შეიცავდა ფაშისტური მოძრაობა. ტოტალიტარული სახელმწიფოს, როგორც ხალხის



ზნეობრივი სულისკვეთების განსაზღვრება, რომელშიც ინდივიდუალობა ერწყმის ტოტალურ – პოლიტიკურ სტრუქტურებს. ე. ზამიატინის ანტიუტოპიურ ნაწარმოებში “ჩვენ” (1920) და ო. ჰეგუსლის “საოცარი ახალი სამყარო” (1932) ტოტალიტარული წყობილება აღწერილია, როგორც ჩაკეტილი რაციონალურ-ტექნოლოგიური საზოგადოება, რომელიც ხლიჩავს ადამიანს და აქცევს მას ჭანჭიკად ფსიქოფიზიოლოგიური ინჟინერიის საფუძველზე, სპობს მორალს, სიყვარულს, რელიგიას, ნამდვილ ხელოვნებასა და მეცნიერებას. 30-იანი წლების შუა ხანებიდან ტოტალიტარიზმის სხვადასხვა კონცეფცია ვრცელდება სოციალურ-ფილოსოფიურ და მხატვრულ ლიტერატურაში, როგორც ნაციზმისა და სტალინიზმის პრაქტიკის გააზრება. ა. კოსტლერი, მალრო, ჯ. ორუელი, ფ. ბორკენაუ, ნ. ბერდიაევი და სხვები სხვადასხვა ფორმით აღწერენ ტოტალიტარიზმს, როგორც საზოგადოებას, როგორ თვისებრივად განსხვავდება ყველა იმათგან, რომლებიც არსებობდნენ ისტორიაში. ტოტალიტარული რეჟიმი მათ კონცეფციაში

ყალიბდება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან: ყოვლისმომცველი იდეოლოგია, რომელიც ემყარება არა გონებას, არამედ ინსტინქტებს; მონოლითური მასობრივი პარტია, როგორც ამ იდეოლოგიის მატარებელი და ამავე დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორმაზე ბატონობის უსახო მანქანა; განუწყვეტელი მასობრივი ტერორის აპარატი. ომის შემდგომ დაიწყო ტოტალიტარიზმის იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური წყაროების და წანამძღვარების სისტემური კვლევა. ცნობილი ეკონომისტის ფ. ხაიკის წიგნში “გზა მონობისაკენ” (1944) ტოტალიტარიზმის გენეზისი დაუკავშირდა XIX საუკუნის II ნახევრის ანტილიბერალურ და სოციალისტურ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს, რომლებიც უარყოფენ პიროვნების აბსოლუტურ ღირებულებებსა და ადამიანი მიაჩნდათ რაღაც კოლექტიური მიზნისათვის მოძრაობის მომენტად. არენდის ნაშრომში “ტოტალიტარიზმის წყაროები” (1951) ავტორი ტოტალიტარიზმს განასხვავებს სახელმწიფოებრივი ძალმომრეობის სხვა ფორმებისაგან,

როგორცაა: დესპოტია, ტირანია, დიქტატურა; ამავე დროს განხილულია პიროვნების გადაქცევა ტოტალიტარული სისტემის ელემენტად, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ბრმა რწმენის შეხამება უკიდურეს ცინიზმთან. “ტოტალიტარული ადამიანი” არის ატომიზირებული განსხვავებული ინდივიდი, “მასის” წარმომადგენელი, რომელიც შეკავშირებულია კოლექტიურ სოციალურ სხეულში ძალმომრეობითა და ტოტალურ იდეოლოგიური მანიპულაციებით. ტოტალიტარიზმის იდეურ მოდელად ტ. არენს მიაჩნია გერმანული საკონცენტრაციო ბანაკი, რომელშიც ადამიანს ერღვეოდა ქცევის ჩვეულებრივი მოტივები, მორალი (ქრებოდა საზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის), შემდეგ კი შიმშილისა და წამების გამო იშლებოდა ნორმალური ფსიქიკური და სხეულებრივი რეაქციები. კოლექტიურ გამოკვლევაში “ავტორიტარული პიროვნება” (1950) გამოვლინდა ამ ადამიანთა საერთო თვისებები, რომლებიც იჩენენ დიდ მიდრეკილებას ნაცისტური პროპაგანდისადმი. მათ ახასიათებთ ჭრადი-

ციულ ღირებულებათა ერთობა, არ ახასიათებთ მდგრადი სოციალური შეხედულებანი; არ გააჩნიათ საკუთარი მე, ასეთ ადამიანებს უყალიბდებათ “ტოტალიტარული სინდრომი”, არ შეუძლიათ თვითმოქმედება და მზად არიან მთლიანად დაემორჩილონ იმას, ვინც პირდება სტაბილურ არსებობას. უფრო ფართო პლანით, ტოტალიტარიზმი ხშირად უკავშირდება XX საუკუნეში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულ “მასობრივ ადამიანს” (შპენგლერი, ორტეგა, ი.გასეტი, ბერდიაევი), რომელიც ადვილად ექცევა ნაციონალიზმის, ანტისემიტიზმის, ხალხური მითოლოგიის, როგორც ნატურალურ-ორგანული ერთობის პროპაგანდის ქვეშ.

ტოტალიტარიზმის ეკონომიკური საწყისები შეიმჩნევა იმ მისწრაფებაში, რომ ექსტრემალურ პირობებში გადაწყვიტონ ეკონომიკური პრობლემები მმართველობის ცენტრალიზაციის და სახალხო მეურნეობაზე კონტროლის მეშვეობით. სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ტოტალიტარიზმი წარმოადგენდა დიქტატურის მოდერნიზაციის შედეგს. ეს საზო-

გადოებანი აწყდებოდნენ იმ ამოცანას, რომ ტექნოლოგიური ჩამორჩენის და განათლების დაბალი დონის, ადამიანთა პოლიტიკური და ეკონომიკური ჩამორჩენის პირობებში განეხორციელებინათ ფორსირებული ინდუსტრიულიზაცია და მოეხდინათ ეკონომიკური გარღვევა. ასეთ სიტუაციაში აქცენტი იყო გაკეთებული ძლიერ ხელისუფლებაზე, საბაზრო ეკონომიკის დათრგუნვაზე, იდეოლოგიური მითებისა და ძალმომრეობის მეშვეობით განეხორციელებინათ ეკონომიკური სასწაული. ყოველივე ამან დაარღვია ტრადიციული სოციალური ინსტიტუტები და გამოიწვია საზოგადოების მილიტარიზაცია. საბოლოო ანგარიშით კი საზოგადოება ჩიხში მოექცა. ტოტალიტარიზმის იდეოლოგია უპირისპირდება პლურალიზმსა და პერსონალიზმს, პოლიტიკური დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებს.

ტოტემიზმი – ბევრი პრიმიტიული ხალხის და უწინარეს ყოვლისა ჩრდილო ამერიკელი

ინდიელების რწმენა, რომ ისინი წარმოშობილი არიან რომელიმე ცხოველისაგან, მცენარისაგან, ვარსკვლავისაგან, სახმარი საგნისაგან. და ა. შ. და ნათესაობენ მათ.

ტოტემი – ეწოდება თვით ნივთს, რომელსაც თაყვანს სცემენ, როგორც ტომის ძლიერ მფარველს და მისი შინაგანი ერთიანობის სიმბოლოს. ტოტემი ეწოდება აგრეთვე ამ ნივთის უხეშად დამუშავებულ ნიშანს, რომელსაც ბელადი იყენებს ხელმოწერად.

ტონუსი (ლათ. ტონუს) – დაძაბვა; ქსოვილების, განსაკუთრებით კუნთების, ნორმალურად დაძაბვა ნერვული სისტემის მუდმივი ზემოქმედებით. ტონუსის განაწილებას ადამიანის ორგანიზმში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სივრცის აღქმისათვის.

ტრადიციონალიზმი – ტრადიციების როლის გაზვიადება მეცნიერებაში, ხელოვნებაში, რწმენასა და ზნე-ჩვეულებებში; საფუძვლად უდევს ყოველ კონსერვატიულ აზროვნებას.

- უ -

უტილიტარიზმი (ბერძნ. *utilis* — სასარგებლო) — სარგებლიანობის თვალსაზრისი, ეთიკური მიმართულება, რომელსაც მიაჩნია, რომ ადამიანის ქცევის მიზანი უნდა იყოს სარგებლიანობა, კეთილდღეობა, იმის მიუხედავად, საქმე ეხება ინდივიდს თუ საზოგადოებას. ზნეობრივი ნორმების წარმოშობა უტილიტარიზმს გამოჰყავს ნაწილობრივ მაინც სარგებლიანობის მოსაზრებიდან. უტილიტარიზმი, როგორც ფსევდო-ეთიკური სისტემა, რომელიც ემყარება სიკეთისა და სარგებლიანობის იგივეობას, შექმნა იერემია ბენტამმა, რომლის მიხედვით უნდა ესწრაფვოდეს “ადამიანთა რაც შეიძლება დიდი რაოდენობა, რაც შეიძლება მეტ ბედნიერებას, რომ საზოგადოების სიკეთისათვის ხელშეწყობით, ამავე დროს ხელს ვუწყობთ ჩვენს საკუთარ სიკეთეს”.

უტოპია (ბერძნ. *ou* — არა და *tonos* — ადგილი) — “ქვეყანა, რომელიც არსად არის”. აზრობრივი კონსტრუქცია, რომელიც

გამოხატავს უპირატესად ჰუმანიტარულ-კომუნისტური ელფერის ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების იდეალურ მდგომარეობას. ყველა უტოპიის პირველსახეა პლატონის “სახელმწიფო”. სიტყვა და ცნება “უტოპია” შემოიტანა თომას მორმა (“უტოპია”, 1518). უტოპისტი — ადამიანი, რომელიც ქადაგებს საზოგადოების გაუმჯობესების განუხორციელებელი გეგმების განხორციელებას.

- ც -

ცივილიზაცია (ლათ. *civis* — მოქალაქე) — ბარბაროსობის მომდევნო კულტურის საფეხური, რომელიც თანდათან აჩვევს ადამიანს გეგმიან მოწესრიგებულ ერთობლივ მოქმედებას თავის მსგავსებთან, რაც ქმნის კულტურის უმნიშვნელოვანეს წანამძღვარს. შპენგლერი ცივილიზაციას როგორც მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ-მექანიკურ ერთობლიობას უპირისპირებდა კულტურას როგორც ორგანულ-სასიცოცხლო სამეფოს და ამტკიცებდა, რომ კულტურა მისი განვითარების მსვლელობაში ქვე-

ითდება ცივილიზაციის დონემდე და მასთან ერთად დაღუპვისაკენ მიდის. ასეთ გაგებას ახლა ყველა იზიარებს. ამჟამად ცივილიზაცია — ეს არის ის, რაც იძლევა “კომფორტს”, ეს არის ტექნიკის მიერ შემოთავაზებული კეთილმოწყობა. კომფორტი (მისი შექმნა და გამოყენება) ისეთ მორალურ და ფიზიკურ მოთხოვნებს უყენებს ცივილიზებულ ადამიანს და მისი მეოხებით ადამიანი იმდენად უპირისპირდება ტექნიკურ კოლექტივს, რომ აღარ რჩება აღარც დრო, აღარც ძალა კულტურისათვის და ხშირად აღარც გრძობს შინაგან მოთხოვნილებას იყოს არა მარტო ცივილიზებული, არამედ კულტურულიც. ფრანგულ და გერმანულ ენებში სიტყვა “ცივილიზაცია” სიტყვა “კულტურის” ტოლფარდია.

- ძ -

ძალაუფლება — ფიზიკური ძალმომრეობისაგან განსხვავებით, ძალა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს სხეულზე, სულსა და გონებაზე, მსჭვალავს მათ, თავისი ნების კანონს უმორჩილებს სხვას.

თავისი არსებით იგი ავტორიტეტს ჰგავს. მისი კორელატია პატივისცემა. მას ეთიკური ღირებულება აქვს, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ისე წარმართავს მის პატივისმცემელს, რომ მას შეუძლია განახორციელოს მრავალი უფრო მაღალი ღირებულება, ისე რომ არ განიცადოს უშუალო ზემოქმედება ძალაუფლების მხრივ. ძალაუფლება საჭიროებს გამართლებას და ამგვარი გამართლების ცდები შეადგენს ისტორიის არსებით ნაწილს. ძალაუფლებას ახასიათებს რაღაც დემონური “ჭეშმარიტად ეს არის ძალაუფლების დემონური არსება, იგი იქაც კი არის, სადაც ადამიანი იდეალისთვის იბრძვის უდიდესი თავგანწირვით და წარმატებას მტკიცედ მაშინ თვლის, როცა განსაკუთრებული სასიცოცხლო ძალით იცავს თავის საკუთარ ინტერესს, გადაჭრით ახორციელებს თავის საკუთარ სურვილს და მგზნებარე სწრაფვას. “ვისაც უპყრია ძალაუფლება, იგი შეპყრობილია მისით” (გ. რიტერი), ამიტომ ძალაუფლება ორთოდოქსული ქრისტიანული გაგებით ყველა გარემოებაში ცოდვია.

- 3 -

ჰუმანიზმი (ლათ. humanitas — ადამიანურობა) — რეფლექტირებული ანთროპოცენტრიზმი, რომლის ამოსავალია ადამიანის ღირებულება, გარდა იმისა, რაც ადამიანს აუცხოებს თავის თავისაგან, უქვემდებარებს მას ზეადამიანურ ძალებსა და ჭეშმარიტებებს ან იყენებს მას ადამიანისათვის უღირსი მიზნების მისაღწევად. ჯერ კიდევ რომაელები, განსაკუთრებით ციცერონი ჰუმანიზმს უწოდებდნენ ადამიანის უნარების უმაღლეს კულტურულ და ზნეობრივ განვითარებულობას ესთეტიკურად დასრულებული ფორმით, რომელშიც შეხამებულია ღმობიერება და ადამიანურობა. მოგვიანებით ჰუმანიზმს უწოდებდნენ მოძრაობას, რომელიც მეტნაკლებად უპირისპირდებოდა სქოლასტიკას და ეკლესიის სულიერ ბატონობას, ცდილობდა ახალი დროის დამდეგს წმინდა ადამიანური განათლებისა და ქცევის იდეალი ეპოვნა ძველი დროის ახლად აღმოჩენილ ნაწარმოებებში. ჰუმანიზმის საუკუნე გზას უნათებდა რენესანსის საუკუნეს. ისტორიულად ჰუმანიზ-

მის შუამავლები იყვნენ ბიზანტიიდან იტალიაში გაქცეული ბერძნები: მანუელ ქრიზოლორასი, კარდინალი ბესარიონი, გიორგი გემის ალექტონი; იტალიელები — ენეო სილვიო პიკოლომინი (პეპი პიუს II), ლორენცო ვალა, კარდინალი პიეტრო ბენზო, იტალიის გარეთ — ესპანელი ვივენსი, ფრანგი რობერტ ესტიენი, ჟან ბოდენი, მიშელ დე მონტენი, ბრიტანელები თომას მორი, ჯონ კოელი, ფილიპ სიდნეი, თომას ელიოტი, გერმანიაში — რუდოლფ აგრიკოლა, ულრიხ ფონ ჰუტენი, იოჰან რაიხლინი, კონრად ცელტისი და სხვა. გერმანიაში ჰუმანიზმი საბოლოო ანგარიშით საეკლესიო რეფორმაციაში გადავიდა, რითაც ბოლო მოუღო ჰუმანიზმს. ნეოჰუმანიზმს უწოდებენ ჩვენი კლასიკოსების ეპოქაში — XVIII ს. დამდეგს — XIX ს. დამდეგს კვლავ გაღვიძებულ ინტერესს ჰუმანიზმისადმი. ნეოჰუმანიზმის წარმომადგენლები არიან უწინარეს ყოვლისა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, შემდეგ — ლესინგი, ჰერდერი, გოეთე, შილერი.

ჰუმანიზმი — ადამიანურობა, ჰუმანიზმის განსხვავებული მიმარ-

თულებების იდეალი. მთავარი მიზანი: ადამიანისათვის დამახასიათებელი გრძნობისა და გონების ღირებულებებითი უნარის (რომლებიც ასე ჯერ კიდევ ციცერონმა განსაზღვრა) ჰარმონიული განვითარება ადამიანის კულტურისა, ზნეობის და მისი სხვა ადამიანებისა და ყველა ქმნილებისადმი მისი შესაბამისი ქცევის უმაღლესი განვითარება. თავისი დასაბუთება და გაფორმება ჰუმანიზმის იდეებმა პოვეს XVIII საუკუნეში, ნეო-ჰუმანიზმის ეპოქაში. კანტისათვის ჰუმანიზმი – ეს არის “სათნოების

გრძნობა სხვებთან ურთიერთობაში; ერთი მხრივ, თანაზიარობის საყოველთაო გრძნობა, მეორე მხრივ, იმის შესაძლებლობა, რომ შინაგანად და საყოველთაოდ დაამყარონ კავშირი სხვებთან, თვისებები, რომელთა ერთობლიობა ქმნის კაცობრიობის შესაბამის ამხანაგობას, რომლის მეოხებითაც იგი განსხვავდება ცხოველური შეზღუდულობისაგან”. გოეთეს მიხედვით “ჰუმანურობა .სულს დებს ტკბობაშიც კი, გონს – მოთხოვნილებაში, გრაციას ძალაში, გულს – სიდიადეში”.



ქართული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოს“ სტამბაში. თბილისი, კოსტავას №14.
ტირაჟი 700. შეკვეთა № 17
ფასი სახელშეკრულებო

F 22.952
საქართველოს
საქართველოს
გ